

# ხმარებაში

№ 2 (15)



სოფელ ბიხიანის აღაფიქრი  
ბიანი შპს საფუძვლები

# მისამხმრეობა - 105

## რთველი არის თუ მინდობა?

ვანო, ლამაზო, ფესვო ნაკურთხო,  
ვანო, ქართველი კაცის დიდება,  
ფერით ზურმუხტო, ბარაქით უნვო,  
შენით სამშობლო ხართბს, ირთვება,  
ნანო ქალწულო, დალაღდაწულო,  
ვანო, შენს გამო არ ვართ მოცლილი...  
შემოდგომასზე, გვითხარ, ასულო  
რთველი არის თუ შენი ქორწილი?!

ოჯახს დოვლათად დაეხედები,  
ყველა დაგხარის, თავზე გეველება.  
ნერვო კეთილო ქართულ ედემის,  
გუნდი ვარსკვლავთა გმუნის მტევნებად.  
ვანო, მცხეთაში ჯვარად შეკრულო,  
ლეკლო, ქალწულის თმებით გამთხარო,  
შენით ჩუქურთმა არის შემკული  
წრომს თუ გუდარებს, გარეჯს, სამთავროს...

ვანო, ვართ შენით წელგამართული,  
ლხინში ამყად თასი გვიპყრია,  
ვით არ დალოცონ ვანი ქართული  
ოქ, სადაც ღვინის ქებას იტყვიან.



მინდობზე, სერზე თუ მთის კალთაზე –  
ყველგან სიცოცხლის შუქად შრიალებ,  
წყაროვ დოვლათის, ლხინის სათავევ,  
მზით ავსებ გულებს, როგორც ფიალებს,  
ნანო, ქალწულო, დალაღდაწულო  
ვანო, შენს გამო არ ვართ მოცლილი...  
შემოდგომასზე, გვითხარ, ასულო  
რთველი არის თუ შენი ქორწილი?!

\* \* \*

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,  
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი...  
წუთისთფელს კაცად შერჩე ბოლომდე,  
თურმე ესეც გმირობას დიდი



# ლევანის ხსოვნა

## ლევან ალავერდაშვილი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი ლევან ალავერდაშვილი. ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა შემოქმედი, რომლისთვისაც ქართული პოეზიის, ქართული ლექსის მსახურება არსებობის თითქმის ერთადერთ გამართლებას წარმოადგენდა.

ლევან ალავერდაშვილი დაიბადა 1971 წლის 2 ივლისს წითელწყაროს (ამჟამინდელი დედოფლისწყაროს) სოფელ სამრეკლოში.

1988 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ლევან ალავერდაშვილი ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტად, რომელიც არ დაუსრულებია.

ლევან ალავერდაშვილი ქართველ პოეტთა იმ გუნდს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ლექსით სულდგმულობდნენ, ლექსში ცხოვრობდნენ და თუნდაც იმით იყვნენ ბედნიერნი, რომ ქართველებად მოეკლინენ სამყაროს და, რაც მთავარია, საქართველოში.

ლევან ალავერდაშვილს ერთადერთი პოეტური კრებული დარჩა. „ნუ დამაჯერებთ“ ჰქვია ამ კრებულს, რომელშიც დაივანა ამ თხემით ტერფამდე პოეტური სულის მქონე შემოქმედის ნაზრეკმა. იგი რაღაცით ნიკო ფიროსმანაშვილს გვაგონებდა, რომლისთვისაც უცხო იყო სწრაფვა ამქვეყნიური სიამისაკენ, განცხრომისაკენ. მისი გული, გადამთვრალი, გადათელილი, დაფლეთილი გული სიობლისაგან ჩუმად კენესოდა და თანამოძმეთ შეახსენებდა, რომ სიკეთისა და მაღლის ქმნა, გულმოწყალება უფლის მიერაა კურთხეული...

წავიდა ჩვენგან მშვენიერი პოეტი და მოქალაქე, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ ქართველ მწერლებს, მისი შემოქმედების თავყანისმცემელთ.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*



## ჯუბა ლეხელი

წავიდა კიდევ ერთი ქართველი პოეტი – ლევან ალავერდაშვილი, – ნაღდი პოეტი, გულის კაცი, სიყვარულის ადამიანი... ქართველი თხემით-ტერფამდე, პოეტი სულით სორცამდე... ნათელი საიქაო ჩვენს ლევანას!..

\* \* \*

შენც რა უცბად წახვედი,  
გაიხურე კარი,  
შენი თითო ბწკარედი –  
თითო პეშვი დარდი...  
დაგვიტოვე სათქმელად,  
გრძნობებისგან დაცლილთ,  
ახლა შენთან დაღევდა,  
ბოთლა ღვინოს კაცი!..

მაგრამ უკვე გაწვიმდა,  
ისე ჟინჟლავს იქაც,  
თითქოს მთელი მთაწმინდა,  
მაგ ბეჭებით მიგაქვს!.

23.05.2023.

### ცობნე სივსივპაქ

#### ლეკან ალავერდშვილის ხსოვნა

შენი სიდიდით უმრავლესთა გონება მიხდა...  
ველარ გავიგეთ სად გვექებნა სიგრძე – სიგანე  
და ძებნაც მხოლოდ სივიწროვის იმ კიდე მისწვდა,  
რომ საბოლოოდ ერთიანად ყველამ გიგანეთ.  
ვერ გავაღწიეთ საცოდავი ჩვენზე ბინდიდან,  
გული რომ ცოდვის მოურჩენელ თაღხით მობანა  
და დავიწყებულ, სხეულსგარეთ გასულ სინდისთან,  
ვთამაშობთ მორიგ სამარცხვინო დამალობანას.  
ახლა აღარ ხარ (სინანული გულის ძარღვს კენწლავს),  
გადავმალე ქვეგამხედვარ თვალებს, გესლიანს,  
გადადი, ძმაო (არ დაყოვნდე, არც მოიხედო),  
სადაც მართალი პოეტების რიგში გელიან.  
სადაც არ გელის მარტოობის მტანჯველი შიში,  
იქ, სადაც მხოლოდ თავმდაბლობით მოვლენ შენამდე,  
სადაც სიყვარულს, ერთგულებას ფიცით შეკრავენ  
და სითბო-ღიმილს ნამის ქარვად დაგაბერტყავენ.  
შენ თქვი სიმართლე! შეარყიე „სიცრუის ეტილი“,  
საფსალმუნეზე სანთელივით დაანთე სიტყვა  
და ამიტომაც, შიში ნუ გაქვს, შხამი და გესლი,  
შენს სიახლოვეს, დღეის იქით, ვერასდროს მივა.

21.05.23

### მანა ღიანონიქ

ძალიან გული დამწვივითა ასეთი კარგი პოეტის, კეთილ-  
შობილი ადამიანის გარდაცვალებამ! ნათელში იყოს მისი  
სული!

#### ლეკან ალავერდშვილის!

შენ ტყუილად არ იყავ ალავერდშვილი  
(გვარიც რომ საუფლო გქონია!),  
სამშობლოს უმღერდი დაღლილი არწივი,  
მარად უბერებელს, თოვლიანს.  
გზად გეფინებოდა ვარდები გაშლილი,  
გეზი რომ ზეცისკენ აიღე,  
ამქვეყნად სიყვარულს ითხოვდი ბავშვივით,  
ვაი, რომ ღროზე ვერ გაგიგეთ.

ამგვარად მიდიან ნაჯაფი ბიჭები  
და სიტყვას ტოვებენ მაღლიანს,  
რომ მერე გვაწამონ დარდით და იჭვებით,  
რომ მიწას სიკეთე აკლია.  
შენ ტყუილად არ იყავ ალავერდშვილი  
(გვარიც რომ საუფლო გქონია!),  
სამშობლოს უმღერდი დაღლილი არწივი,  
მხეზე მოლივლივე თოლია.

30.05.2023

#### ლეკან-ექსპრომტი პასუხად ლეკან ალავერდშვილის ლექსზე „ვარდები“

სიყვარული რომ გასაყიდა,  
არ შემპარვია არასდროს ეჭვი,  
რადგან სამშობლოს ისე ვიდიან,  
არ შეგერჩეს მიწაც ჩვენ ერთი პეშვი.  
ვარდი კი ვარდი, აის-დაისი,  
ასე რომ მოჰგავს ღრუბლების ზეფირს,  
იმ სიყვარულის ბაღში გაგიშვით,  
და არც უნდოდა მაგ შენს გულს მეტი...

28.05.2023

### მარიამ ბოხიშვილი

#### ლეკან ალავერდშვილის ხსოვნას

სამზადისი აქვთ სასუფეველში  
პოეტებს, მწერლებს (უხმალო გმირებს) –  
ლეკანს ელიან დიდი პატივით,  
დაახვედრებენ ვარდებსაც მცირეს!..  
შირაქი ტირის, ელიას სტკივა... –  
შეილი დაკარგა ფრთებად გაშლილი...  
უავდრო სეზონს ავდარი მეფობს,  
შავი ღრუბელი, სამტროდ აშლილი!  
წვიმა ნუგეშით გვიქარვებს სევდას  
პოეტის ხვედრით გულში დაჭრილებს...  
დაუწერელი სტრიქონებივით  
გამოვიგლოვებთ რითმის აჩრდილებს...  
მაშინ გვანიშნებს სული სპეტაკი,  
გაგვიმეორებს კვლავ თავის თხოვნას –  
უნდა ვიხადოთ მწერლობის ვალი,  
ასე უკვდავყოფთ მის დიად ხსოვნას!..

03.06.2023

**ლევან ალავერდაშვილის**

მომხვიე ხელი, მე აღარ შემწევს ორისთვის ძალა,  
სიცოცხლე დაიწვა ვითარცა თივა, ვითარცა ჩალა.  
სიკვდილი მარად გიერთგულებს, შენთან იქნება,  
გინდ გაგიტაცონ წამიერად სიცოცხლის ფიქრებმა.  
პკართ ძლიერად, მარჯვე ხელებით, ბუკსა და ნაღარას,  
რა გააჩერებს გაძლევებულ ჩემს ცხენს – საღარას,  
წუთის კი არა, ეს ყოფილა წამის სოფელი,  
მარადისობის შევსვი ფიალა ცხოველმყოფელი.

20.05.23

**ლევან ალავერდაშვილის**

დაშრა ლექსი, ვით ანკარა წყარო,  
ხის წვეროკინებში მზე იძალევა,  
გავლექსე რითმები, ვითარცა კალო,  
ძილს მივეცეთო, მთხოვეს თვალეებმა  
და თუ სიზმრების რითმებმა ივარგეს,  
ვასაკებივით რომ ხტიან წყეულნი,  
ყვავილმოხატულ მინდორს თუ მივაგნე,  
იქ თუ შემხვდება მუზა გრძნეული  
მაშინ გაეყვები წყალს ლურჯი ზღვისას,  
თუ გინდ სიკვდილი დაარქვან ამას,  
თუ რამ დაწერე ამ ქვეყნად ვლისას,  
აქ დაგიტოვებთ ვითარცა წამალს

26.05.23

**მარიამ გიგაური**

**ვერ ვგუებო, შენს აქ არ ყოფნას,  
დიდო ადამიანო, დიდო პოეტო,  
ძმაო, მეგობარო...**

**ლევანას**

მჯილით ვიწმენდდი, ცრემლებს მილეულს —  
დაშრა... და მაინც ფეთქავდა გული.  
რამდენჯერ შევხვდი სიკვდილს შენეულს,  
გფიქრობდა შენივ ნატანჯი სულით,  
გფიქრობდა, როგორც ახლო  
შინაურს —  
უფრო ფერმკრთალი, გუმანით...  
რიდით,  
არ ჰგავდი, თითქმის... ყველა აქაურს,  
ისე უბრალოდ,  
მოდის და მიდის!

**პოეტის სიკვდილი.**

...სამწუხაროდ ჩვენი დაბადების დღიდან ჩვენშივე ცხ-  
ოვრობს სიკვდილი, სად დაგვიდებს ფეხს და სიცოცხლის  
რომელ წლებში დაგვიმტკიცებს თავის სიძლიერეს ეს არ  
ვიციოთ მხოლოდ.

დედოფლისწეაროს სიამაყეს, პოეტს ლევან ალავერ-  
დაშვილს სიკვდილთან ჭიდილში ბრძოლა არ წაუგია,  
ვინაიდან მისი სული განაგრძობს სიცოცხლეს დედამი-  
წაზე, იმიტომ რომ მისი ნამოღვაწარი პოეზია ძვირფასია  
ქართული ლიტერატურისთვის.

არ მახსოვს ავტორი, სადღაც ამოვიკითხე: „ზოგი ქე-  
ბა-დიდების ღირსია იმიტომ რომ კარგად წერს, ზოგი კი  
იმიტომ რომ საერთოდ არ წერს“...ლევანი შესანიშნავად  
წერდა, მისმა ლექსებმა ხომ მთელი საქართველო მოიარა  
და ლიტერატურულ წრეებში დიდი აღიარება მოიპოვა.

მაგრამ სათანადოდ მაინც ვერ მივხედეთ თავმდაბალ,  
ალალ და უნიჭიერეს პიროვნებას.

ადამიანის მთელი ღირსება ხომ მისი აზროვნებაა...  
ამიტომაცაა ჩემო მეგობარო რომ ახლა გაფასებთ! რო-  
გორც ჩვენ, ადამიანებს გჩვენებია — სიკვდილის შემდეგ!  
სოციალური ქსელებით უკვე პირადად შენ გიძღვნიან  
ლექსებს ნაცნობი თუ უცნობი...ვინც კი შენს სულიერ  
სიღრმეს ჩასწვდა. უღრმესი მადლობა მათ!

მშვიდობით ლევან. მიუხედავად ყველაფრისა ბედნიერი  
მიდიხარ ამ ქვეყნიდან, იმიტომ რომ თან მიგაქვს უდიდესი  
სიყვარული ხალხისგან.

დღეს, შენს დაკრძალვაზე შენივე ლექსით დაგემშვი-  
დობები...

**სიკვდილისპირული.**

შეესუტავ ცივ ჰაერს, წვედიაღში არეულს,  
ვარდიდან მოვხვრებავე საყურეს ნამისას,  
ლანდებიც მიფრთხიან შემლილს და მივარეულს,  
შენს მეტი ვინ მომკლას ამ შუაღამისას!  
შენს მეტი ვინ მითხრას – არ გელის სიბერე  
და – ვაი! რითმებიც მაგასა ყვირიან...  
თუ მოსვლით სიკვდილისპირული მიმდერე,  
არმოსვლით რომ მომკლა, რა გასაკვირია.

**P.S.** მახსოვს ლევანის და მის მეუღლეს ჯვარი დას-  
წერა საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სოფელ  
ჯაფარიძის, წმინდა სერაფიმ საროველის სახელობის  
ტაძარში..

გავიდა სამი ათეულ წელზე ცოტა მეტი.  
თითქოს გუშინ იყო ყველაფერი.  
რა ძალიან ეჩქარება სიცოცხლეს...

23.05.23

ამ წარმოგიდგენთ სხვადასხვა ავტორების ლევანასადმი მიღწილ ლექსებს მისი სიცოცხლის პერიოდში:

## ბია გარსანიშვილი

### ლეკან ალავერდაშვილს

აღარ გათენდა. იწვის სანთელი.  
 უტყვი გრძნობები უხმოდ მღერიან,  
 თუ ამაოა სუყველაფერი,  
 სადარდებელი არაფერია.  
 ამ ღამეს ვერსად დავეძალები,  
 ხმა ისმის, თითქოს ზარებს რეკავენ  
 და ღიმილისფერი სანთლის ალები  
 ცეცხლის სხეულით თრთოლით ცეკვავენ.  
 ძილისთვის მოვცდე – რატომღაც არ მწამს,  
 მე არ დავწვი – თუმც დავიდალე,  
 შავ საფერფლეში ჩავაქრობ ნამწვავს  
 და კვლავ ვუკიდებ ახალ სიგარეტს.  
 ნეტავ სადაა ახლა ლევანა,  
 იქნებ ზეცაში ვარსკვლავებს დასდევს,  
 იქნებ ვინმესთვის ლექსი ევალა...  
 და რითმით ამსხვრევს მოწოლილ დარდებს.  
 იქნებ ჩემსავით ახლა ღვინოს სვამს  
 და გულს უთქერავს ვაების ეტლი.  
 იქნებ დაეძებს ნიკო ფიროსმანს  
 და ქარის წისქვილს ჩემსავით ებრძვის.  
 იქნებ თამბაქოს კვამლში ეხვევა  
 და ოცნებებით გასცქერის სივრცეს.  
 იქნებ აწამებს შველის ფეხება  
 და გულს რძისფერი ნისლებით ივსებს.  
 იქნებ ჩემსავით ახლა მარტოა  
 და ღუმს, ვით სოფლის ძველი საყდარი.  
 იქნებ წუხილმა დაიმარტოვა  
 და გაუთხარა ლექსში საფლავი.  
 დავიფერფლებით ათას ფერებად,  
 ჩვენს თავს გავუჭვრით ლექსში სამარეს,  
 ჩვენ ჟამთა ღენა ვერ მოგვერევა,  
 ჩვენ თვით სიკვდილსაც დავასამარებთ.

### ეს იყო ქარი

#### ლეკან ალავერდაშვილს

ღამე სიფხიზლეს ვერა გუობდა  
 და გულს ვწურავდი, ვით ყურძნის მტევანს,  
 მე კი არა ვთქვი – ქარი ღმუოდა,  
 ქარი ღმუოდა, სადა ხარ ლევან?!

მე კი არა ვთქვი, ეს იყო ქარი,  
 რომელიც ფლეთდა ღამეულ ლანდებს  
 და ანჯამებზე მიბმული კარი  
 ჭრიალ-ჭრიალით ამსხვრევდა ღამეს.  
 მე კი არა ვთქვი, ეს იყო მთვარე  
 ცაზე მიკრული შოთი პურივით,  
 ნისლი მოჰქონდათ ჭკვამეშლილ ქარებს  
 და წუხდა ღამე წიწამურივით.  
 თითქოს ისმოდა გუგუნის ზარის,  
 რომელიც ღამის უკუნში გმინავს,  
 ეხეთქებოდა ცივ მინას ქარი  
 და მომბლაოდა – არც ლევანს სძინავს.  
 კთოდა სანთელი ღიმილის ფერი  
 და მივხვდი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვგვევართ,  
 ღვინოს ვისხამდი და დოქის ყელი  
 გაიძახოდა – სადა ხარ ლევან?!  
 რაღაც უსაზღვრო ვიყავ იმ ღამით,  
 გაიჭრიალა ოხვრით კარებმა.  
 მე კი არა ვთქვი, ეს იყო ქარის  
 ამოუხსნელი იღუმალება.

### ანტავონიზმი

#### ლეკან ალავერდაშვილს

გესლივით ვადვრი ბოლმას ამ ფურცელს,  
 იღუმალებით ავსილა არე,  
 ახლა ღამეა, არაყს ვსვავ, გუცქერ  
 ლამფის შუშაში დამწვევდელ მთვარეს.  
 არაყის ეშხი აღარ მიზიდავს,  
 არაყის ტრფობით აღარ ვიწვიები,  
 აღარც ამური, აღარც იზიდა,  
 აღარც ბავშური წრფელი მიზნები.  
 ათასგვარ ფლირტებს რა დამაიწვევს,  
 უძირო ღამით როცა ვიღლები,  
 ეგ ასულები სადღაც წავიდნენ,  
 მათ ადგილზე კი დარჩა ნიღბები.  
 მე უკვე გამცდა – ჯერი სხვისია...  
 ჩემს დაულამქრავ გავყურებ ბექობს.  
 ერთხელ ვითხოვე ტრფობა ნისიად...  
 სიტყვა გადიქა გაბზარულ ექოდ.  
 მწყაზარ ქალწულთა ცეცხლში გამოვლილს  
 სიძვა-ფლირტებმა ვერა დამაკლონ.  
 მე უკვე გამცდა ნავით ქარონი  
 სისხლი, ცხედრები და სასაკლაო.  
 ვერ შემაჩერონ, ისევ მოვდივარ  
 იქცევა ზეცა, მთლად უპატრონო,  
 ჟამთა დინებას როგორ მოვზიდავ,  
 მალე გაიგებ, ლევან ბატონო!

შემოდგომა

ლევან ალავერდაშვილს

დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...  
 დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...  
 ჩამოიხედე სულში, წვევდიადო  
 და შემოდგომის გადაჰყევ ღუმილს.  
 მე უშენოდაც მგვემენ ქარები  
 და სიცოცხლისას ვერ ვიკლავ წყურვილს,  
 დანისლულია ცრემლით თვალები,  
 დაბზარულია კედლები სულის.  
 დაჰქრის ველური ლექსების ჯოგი,  
 ზოგი უმიზნოდ გრიგალებს უხმობს,  
 თუ ეს სიშლეგე დღეს დიმილს მოგგვრის,  
 ზვალ უსათუოდ გატირებს უხმოდ.  
 დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...  
 დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...  
 მე ესეც მომკლავს, წადი, წვევდიადო  
 და მოწყენისფერს გადაჰყევ ღუმილს.

ბექა ცირიაიძე

ლევან ალავერდაშვილს

შენი სხეული დაღლილია, დროა სიმშვიდის,  
 არყოფნის ჟამი ყოფიერში სხივებად ელავს,  
 ბოლო წამები ოცნებებში შერწყმული მიდის,  
 უცხო მთიბველი ოცნებებსაც უცებ მოცვლავს.  
 თანმდევი, თეთრი ზმანებები განადგურებენ,  
 ზეცისფერეთში მიასვენებ საკუთარ ცხედარს,  
 თვალებში ჩვილი ანგელოზნი ისადგურებენ,  
 როს აღმართავენ დედაბოძად მცხეთაში კედარს.  
 შეშლილი დამე... სულშეშლილი სულს ეთხოვები  
 და მომაკვდავსაც საკუთარი ჩაგესმის კენესა,  
 გზადაგზა ალბათ დიმილებსაც მისთვის ტოვებდი,  
 რომ გაღიმებულს სასიკვდილო სამსალა გესვა.  
 არავინაა! გეშინია! გადაფითრდები...  
 ეძებ მიწაზე მიტოვებულ მაცხოვრის სხეულს,  
 მკვდრეთით აღდგომას იესოსაც ისე პირდები,  
 თითქოს არასდროს გინატრია სიკვდილი წყეულს...  
 მირონმდინარე ხატებიდან უცხო სახება,  
 უცხო სხეული, რომ ჩააცვეს ღმერთებმა შენს სულს  
 და სასოებით, სათაყვანოდ მიეახლება  
 შენი თვალები ნაზარეთში მარიაშს ორსულს...  
 მერე თენდება... ვერ პოულობ საკუთარ თავსაც,  
 გესმის საზარი შეკვივლება რიჭრაჟის ბინდის,  
 ზვდები იპოვე, მიაგენი ეძებდი რასაც,  
 შენი სხეული დაღლილია, დროა სიმშვიდის.

ლევანს

ლევან, ცხენზე თუ შეჯდები, ნუ ენდობი უზანგებს,  
 ვერ გაიგებ, კაცი ვართ და ბედი ვის რას უშნადებს?!  
 ლევან, გირჩევ მეგობრულად ლამაზ თვალებს მოეშვი,  
 თორემ გადაგახტუნებენ, ლევან კუპრის მორევში.  
 ლევან, ნაღდი პოეტი ხარ (ვიცი არ გაქვს ფულები),  
 ამიტომაც გიპრანჭავენ თვალებს „მზეხათუნები“,  
 ტრფობის ცეცხლში თუ ჩაგაგდეს, მოიკრიფე ძალები,  
 ჩაგწვავენ და ჩაგნაცრავენ, ლევან, ალვატანები...  
 ლევან, მერე არ გიშეულის მოფრენილი მუზები,  
 ბედის ვარსკვლავს შეაგინებ, ისე „დაიგრუნები“,  
 შემოგბედავ, მომაგონებ ფიროსმანის „მიკიტანს“,  
 „მწიფე მსხალს“ თუ ვერ შეწვდები, დალევ დიდი ჭიქიდან.  
 ლამაზების ყურებაში ჩაგიჟამდა თვალები,  
 კურდღელს სტაფილო რომ უყვარს, ისე გიყვარს ქალები.  
 თუმც ამური არა გწყალობს, მაგრამ, ლევან, თუ გინდა,  
 ლამაზ ლექსებს გადმოსახამ კამენების\* თუნგიდან.  
 უცებ შემოგვეპარება ეს სიბერე ვერანი,  
 ლევან, წლები ისე მიჰქრის, როგორც ტატოს მერანი.  
 რად გვინდოდა მიწის ბურთი, ლევან, ადამიანებს?  
 გასკდება და...მგონი ის დროც აღარ დაიგვიანებს?!

\*კამენები – მუზის ღმერთები რომაულ მითოლოგიაში.

ნანა ქარლავა

ჟურნალ „რიწის“ მთავარი რედაქტორი,  
მწერალი, პუბლიცისტი

ლევან ალავერდაშვილზე

2023 წლის №1 ნომერი უნდა გამოსულიყო ჟურნალ „რიწის“. კოლაბორაციული გამოცემა გვქონდა ჩაფიქრებული მე და გიორგი ნატროშვილს – ჟურნალ „ხორნაბუჯის“ რედაქტორს. შევთანხმდით, ავტორები გაგვეცვალა და შერჩეული ავტორის ორი-სამი ლექსი დაგვებეჭდა. გიორგიმ გადმომიგზავნა დედოფლისწვაროელები, ლამაზები, ნიჭიერები, შემოქმედები. ვეცნობი, ვარჩევ საგულდაგულოდ და ვფიქრობ – აქედან ორი და გინდაც სამი როგორ შევარჩიო?! ვველა საუკეთესო! ვველას ვერ დავბეჭდავ, მაინც უნდა გამოვყო განსაკუთრებული.  
 ჰოდა, გადავარჩიე დასაბეჭდად რამდენიმე ავტორი, მათ შორის ლევან ალავერდაშვილი. მესინჯერშიც მივწერე ბატონ რედაქტორს, აქამდეც წამეკითხა, მაგრამ ახლა, ამ



ჯერზე, პროფესიული თვალთ წაკითხული, ახლებურად დაჭაშნიკებული ალავერდიაში ხომ დიდი შემოქმედია, ხომ დიდი პოეტია-თქო! დამეთანხმა, რასაკვირველიაო. ვარჩევ... ხან ეს ლექსი მომეწონება, ხან ისა. მეც ბევრი არ მიფიქრია და ცამეტი ლექსი დაებეჭდე, შეპირებული სამის ნაცვლად.

„რის“ პრეზენტაცია დედოფლისწყაროში შედგა. ღონისძიების მსვლელობისას გავიგე, რომ პოეტის არდასწრების მიზეზი მისი ავადმყოფობა იყო. გული დამწყდა, მინდოდა პირადად მეთქვა, რომ ის დიდი ხელოვანია, რომ მე ძალიან მიყვარს მისი შემოქმედება. თუმცა, როგორც უმეტესად ხდება დამაგვიანდა სამუდამოდ და...ვერ ვუთხარი. ამდენად, ეს პატარა წერილიც, ეგებ, შეცდომისა და შეცოდების გამოსწორების მცდელობა იყოს.

წერის ნიჭი რომ მიჰქმდებოდა ღმერთმა, თავადაც მაღლიერი იყო: „დღეს კაფეში ვკითხულობდი ლექსებს, გამაღიანებ ღმერთო, მომეც წერის ნიჭი“ („ოცდაათი თერთი“) საქართველოში ლექსებით ვინმეს გაკვირვება ძნელია, აქ უფრო სულიანისთვის წერენ სულიდან ამონაძახს. ლექსით ჩვენთან ვერ იცხოვრებ – მეღვინეობა და პოეტობა უფულობის სინონიმია ჩვენში. ეგებ ამიტომაც ამბობს ერთგან: „ვარდი მომეცით, ნამის ქარვებით, დაე, შემერგოს თუნდაც არამად... ისე მაჩუქეთ, ნუ დამზარდებით, პოეტი ვარ და ფული არა მაქ!“ („ვარდები“) ლევან ალავერდიაში თანადაც თავისი და ზოგადად – პოეტის უპირატესობაც კარგად იცის, ვიღაც ობიექტულთან, ვიღაც „მამას ბიჭთან“ და ამაყად ამბობს: „მასაც მიხვდა, ცარიელი ჯიბით მასზე დიდი და მდიდარი ვჩანდი“. ეს მარადიული თემაა: ჩინოვნიკი და შემოქმედი; ვიღაცა და ხელოვანი... და საფიქრალი აქ არაფერია: ხელოვანი დროის შემქმნელია, ხოლო ჩინოვნიკი – დროის პროდუქტი! ამას გვეუბნება, ყველა მართალი პოეტი, მათ შორის ალავერდიაშიც!

„შუამთის შუალამე“ წაკითხეთ, გთხოვთ, მკითხველებო! შეგნებულად არ მოვიყვან ნაწევრებს, ვერაფრით დავანაწევრებ ამ დიდებულ „შ“ ასონანსს! „შველის შემლილი ჯიში“-ს არ იყოს, ყველა სიტყვა ამ ლექსში იწყება, ან შეიცავს თანხმოვან „შ“-ს და მშვენიერ პოეტურ აზრს და კომპოზიციურ ჰარმონიულობას კიდევ უფრო ღრმას ხდის.

ჩემ ახალგაზრდობაში, გოგონებს გვქონდა ლექსების რვეული, რომელშიც რჩეული სატრფიალო ნიმუშები გვეწერა. რად უნდა თქმა, ამ ხელნაწერებში ლიდერი გალაკტიონი იყო. ჩემი რვეული შანდორ პეტეფის „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი“ – ამ ლექსით იწყებოდა. რვეული ჩემ პირველ მოთხრობებთან ერთად სოხუმში დარჩა. გადარჩენილმა მეზობელმა მომიყვა, როგორ დაწვეს მომხდურებმა ჩვენი ქართული ბიბლიოთეკა ჩვენსავე ეზოში. ალბათ, იქ ჩაიფერფლა ჩემი ხელნაწერი ლექსების კრებულიც. ახლა ხელთ რომ მქონდეს, აუცილებლად მივაწერდი ბოლო, ცარიელ ფურცელზე

ლევან ალავერდიაში ლექსი: „ქალბატონო“. იმდენად მომეწონა ზეპირად ვისწავლე. იყო დრო ადვილად ვსწავლობდი ლექსებს, ახლა გამიჭირდა. მაგრამ დაზეპირებაში ისევ და ისევ ლექსის კეთილზმოვანება, მუსიკალობა და გულთან მიტანილი სათქმელი დამეხმარა.

„ვიდოდა ქვეყნად კაცი ობოლი და მიეძინა სიმართოვეში“ წერს ლ. ალავერდიაში ლექსში „ლოთი მხატვარი“, რომელიც ფიროსმანის ხსოვნას მიუძღვნა და დარწმუნებული ვარ, საკუთარი სევდაც, საკუთარი თავიც იგულისხმა. თუმცა, ამ უნაპირო სევდასა და პესიმისმს, ბოლო სტრიქონის ჭეშმარიტება, სიხარულისა და სიცოცხლის უალტერნატივო გამარჯვება აქარწყლებს:

**„ვინ სთქვა სიკვდილი უკვდავებისა,  
ნეტა ვინ ეძებს ნიკალას საფლავს,  
ის ახლა ისევ მთვრალია ღვინით  
და მარგარიტას წამწამებს ხატავს...“**

ლექსი „ასე თუ ისე“, როგორც ჩანს, ცხოვრების თანამგზავრისთვის მიუძღვნია, ხოლო ლექსი „ლოლოიანში თათრის ასული“ – შემთხვევით ნანახი მწვემსი ქალისთვის. ორივე ლექსში პოეტი ღირსებით საგსე ქართველი კაცია, ერთნაირად მოსიყვარულე სამშობლოსი, ქალის და ლექსის. ამ, ერთი შეხედვით, პატარა ლექსში, სულ რამდენიმე სტრიქონში, რამხელა გრძობას ატეხს:

**„ეჰ, შენ რა იცი, ერთი მუჭა ამ მიწისათვის,  
სისხლისგან როგორ იცლებოდნენ გურჯთა მარღვები.  
თათრის ასული, მოზამბახე ბაგე რომ გიკრთის,  
თითქოსდა ჩემში დაეძებდე სუსტსა და უძლურს,  
არა! ამ სისხლში არ დამშრალა გენი დავითის,  
მე ქეთევანი მაწოვებდა დაშანთულ ძუძუს...“**

შეუძლებელია პოეტის გარდაცვალება, დაუჯერებელი! რადგანაც არაფრით მინდა წარმოვიდგინო, რომ არ იქნება ქვეყნად ადამიანი, რომელიც ზუსტად ისევე განიცდის სიტყვის ხიბლს, სიყვარულსა და მარცხის სიმწარეს, როგორც მე. დაუჯერებელი რაა? ისიც ხომ უბრალო ადამიანია, ამ მაღლიანი მიწის შვილი, ოღონდ ზეცის მიერ დაჯილდოვებული ნიჭითა და ფრთებით. მას შეუძლია გულშიამწვლომად სამუდამოდ დაგვემშვიდობოს, რათა სამუდამოდ ჩვენს ხსოვნაში დარჩეს:

**„გეტყვი, მშვიდობით, მერე დაგტოვებ,  
ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,  
ოღონდ ავსებდეთ ჩემ სიმართოვეს —  
შენა და დამე ბეთანიისა.  
გეტყვი, წუთები შენით ნაფერნი,  
როცა აშვებულ რაშებად ჰქრიან,  
რა გვიანია სუვეველაფერი  
და არაფერი არ არის გვიან.“**

მშვიდობით, უცნობო მეგობარო, დაუვიწყარო პოეტო – ლევან ალავერდიაში.

ლევან ალავერდაშვილის ლექსები და ჩანახერხები

ძილისფერ თოვლში

ამ საინტერესო წერილის შემდეგ კი ლევან ალავერდაშვილის პოეზიას დაინტერესებული მკითხველისთვის უფრო ვრცლად წარმოგიდგენთ.

ლევანას ეს პირველი ლექსი – „ჩემი თეთრი მიცვალება“ გარკვეული თვალსაზრისით წინასწარმეტყველურია, რადგან წლების წინ არის დაწერილი და გარდაცვალების დროს და მოვლენებს თითქმის დაზუსტებით გადმოგვცემს; დანარჩენი ლექსების დიდი ნაწილი ალმანახ „ხორნაბუჯში“, რომელთანაც სისტემატურად თანამშრომლობდა ავტორი, ქვეყნდებოდა, ზოგი კი ახლად აღმოჩენილია და აქაც კიდევ გთხოვთ, თუ ვინმეს გაქვთ ლევანას ლექსი, რომელიც არაა ცნობილი და გამოქვეყნებული, მოგვაწოდოთ, რადგან გვსურს ლევან ალავერდაშვილის შეძლებისდაგვარად სრულყოფილი კრებულის მომზადება და გამოცემა.

ჩემი თეთრი მიცვალება

თეთრად გადამოსილ კუბოს მოვერგები,  
თეთრად გადამოსილს, სხვაი არ მჭირდება,  
მუჭით მომაყრიან ლექსებს პოეტები  
და ხმა მგლოვიარი ლექსად ატირდება,  
თეთრად დაპკრძალავენ, შეშლილ-მიცვალებულს,  
ქალებს დაინახავთ თალხი თავსაბურთით,  
ვიღაც შემოიტანს ლექსთა ობოლ კრებულს,  
ღმერთო, ეს კი როდის,  
ღმერთო, გაზაფხულით.  
ვიღაც დაობლდება, გულით დათალხდება,  
ვიღაც იმარტოვებს, ალბათ მართლა სულით,  
ვიღაც მესაფლავეს კვლავ არ დათანხმდება,  
ღმერთო, ეს კი როდის,  
ღმერთო, გაზაფხულით.  
ვიღაც გამიხსენებს, ისევ დილა-სისხამს,  
ვიღაც მომიგონებს ჟამით გარდასულით,  
ვიღაც ჭბარაზე ღვინოს გადაისხამს,  
ჩემი მიცვალების თეთრი გაზაფხულით,  
ვიღაც შესანდობარს მძიმე ცრემლით მოსცლის,  
ვიღაც ლექსსაც იგლოვს, ჩემგან არდაწერილს,  
ვიღაც მიწაყრილზე იებს გადაკონცის,  
ცრემლით დამძიმებულს, ქარით გადაწვენილს,  
მე კი თოვლისფერულ კუბოს მოვერგები,  
ხორციით დავეცემი, ხორციით, განა სულით,  
საგზლად ჩამატანენ ლექსებს პოეტები,  
ღმერთო ეს კი როდის?!  
ალბათ გაზაფხულით!

როცა ძილისფერად მღელავ მიმოხეხს  
მშობლიურ თოვლში მზე ეწვიათ წინათ,  
მათ სივრცეები გადაილოცეს  
და თეთრ საბანში უსამნოდ სდინავთ...  
მაშინ წამწამებს მოჰკვარა ძილმა  
გადაფითრების ლანდი – მსახური  
და ჩაესვენა ასეთი ხილვა  
თვალეებს უდროო და უსახური.  
ეხლა კი თოვის თეთრი კვირტები  
აწ გარდასულის როცაა განცდა,  
თითქოს იმავე თოვლს ვაკვირდები  
შენი სურნელის დაღი რომ აჩნდა...  
და მონანავე დაფნათა ნებზე  
მხოლოდ წამების ვრჩები უფლებით  
ვინც ანგელოსთა დამტყვევლ ფრთებზე  
შანდლებთან ღემონს ვესაუბრები.  
წელიწადებმა – ზღვად მეამბოხეს –  
შეფარებულმა ცისფერ მანტიებს,  
ნააღსარები „ან აქ რად მოხველ!“  
სცადეს და... მაინც ვერ მაპატიეს.  
როგორ იწამა სულმა ამაზე,  
უწინ უძველეს ღვინის მხლებელმა  
რომ ვერ დაფარა ის სილამაზე,  
სხვა, დიდთოვლობის ნელსაცხებელმა.  
რომ აქავეა რაც კვალში მსდევდა,  
პოეზიათა ვარდისფერ თაღში,  
ვით ერთი მგოსნის ძვირფასი სევედა  
„ღღეს გოგონები არ წავლენ ბაღში!“  
ცივ უდაბნოში რომ გადაენთო  
რასაც სიმშვიდე საკმელად იხვევს...  
და მხოლოდ ეჭვის ეხლება ექო,  
ბევრ, უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს...  
და ვით ბუალო ვჭყდელი ჭიანურს,  
ვეტოლებოდი ჰანგით ბუნებას,  
ვეტებდი იმ ზეადამიანურს  
რითაც ვპოვებდი განადგურებას.  
მეკარგებოდა გზად ნაბიჯები  
თუმც პორფირები მესხა სამეფო,  
სულს დაბინდებით ვიმახინჯებდი,  
რომ ძეწმინდისა უკეთ გამეგო.  
მე, სიყვარულის ჩაწვეტილ სიმაღ  
ვესიზმრებოდი მღელვარე ქალებს,  
როცა ნამქერნი იმკობდნენ მძივად  
მეტყველი მზერით დახუჭულ თვალეებს  
და თეთრ ხელთათმანს ისევ მესვრიან  
მწვანე ნაძვები ძველი ცღუნებით  
მგოსნის სიცოცხლე ერთი ლექსია

ყოველდღიური სათაურებით.  
რომ დუელშია სულთან ფარულად  
მგოსნის გენია ეტლებად მქროლი,  
და მზემოკლეობს უსიყვარულოდ  
ვით მირჰაკანით მოსული თოვლი.  
მაშინ შხამისაც შეგებაა მირქმა,  
დაუნანებლად ცოდვილი თავის,  
როცა დაცემულ ფარდების მიღმა  
აპრილმისჯილი ზამთარი ბლავის.  
მაშ მდუმარებას რატომ ვერ არღვევს,  
ნებზე ნებივრად მწოლი ნაგანი,  
თუ ეყვავილა უცხო მებაღეს,  
ერთი პრინცესა იმათთაგანი;  
ან დაღუპული ხომალდის აფრების  
დღეის ქროლვები საიდან ხრიან,  
რად მოდის თოვლი ყოველთვის ადრე,  
გაზაფხული კი ძალიან გვიან.  
ან ამ მოთქენას ვისთვის მავალებს,  
გველთა ეპოქა ცურვებციბიერი,  
რომ ვათაყვანო ჯორდანო ალებს  
და გილიოტინს რობესპიერი.  
მახსოვდეს თოვლი შორი და მშვიდი  
იმ წუხილების თანამეთოვე,  
შენს ნაფეხურებს სუნთქვით რომ ვშლიდი,  
რათა ჩემს მეტი ვერვის ეპოვე  
და დღეს ჩვენებაც, ელამ-როიში  
მზერას სერავდეს ავლებად დაშნის,  
რომ შენ მიდიხარ ძილისფერ თოვლში  
და შენს ნაკვალევს არავინ არ შლის.

**სათვალე**

გუშინ ლურჯ ძარღვებს სითბო უვლიდა,  
დღეს კი დავექებ მხოლოდ ნაკვალევს...  
და შთაგონებით გახსნილ შუბლიდან  
„ბრმა თვალებისკენ“ ვუშვებ სათვალეს,  
რომ მოგიწერო, შენს ძვირფას ბაღში,  
რა მხვევდა თავბრუს მოტკბო-მომწარეს,  
რომ მარადიულ ტკივილად დამრჩი,  
აი აქ, მკერდში, მარცხენა მხარეს,  
რომ მე სათვალე გზებს მისანთელებს,  
ლამობს თვალების მოვლას, თუ დაცვას  
და უფრო მისთვის მიყვარს სათვალე,  
რომ თვალში ვერვინ შემაყრის ნაცარს...  
და როს პოეტის დავტოვ საბუღარს,  
მარტის თოვებად გადავითოვებ,  
მაშინ სათვალეს, როგორც საკუთარ  
თვალების თვალებს აქ დაგიტოვებ...  
და ბოლოს, როცა დამის რტოები

ვამს სასიკვდილოდ გამისამართლებს,  
მაშინ შენ მოხვალ განმარტოებით  
და ყველაფრისმთქმელს მომხსნი სათვალეს.

**6-ს**

მიყვარს ბახუსის ხელადა  
მაგ ტუჩებივით ცვრიანი,  
მკერდის ზღვაურად ღელვა და  
ზედ კაბა იისფრიანი.  
გულით ნალგარი რითმები,  
სიტყვა თაფლიან-რძიანი,  
თითები, შენი თითები  
ბროლ-ბადანშ-მინანქრიანი.  
ბილიკი შენსკენ სავალი,  
მე, მგზავრი დანაგვიანი,  
დალალი, შენი დალალი,  
გაუვალ მაყვალისანი.  
წარბთა მომთვარო რკალები,  
შუბლი ავდრიან-მზიანი,  
თვალეები, შენი თვალეები  
ზეაწვდილ წამწამიანი...  
და ისევ ღვინის ხელადა,  
მაგ ბაგესავით ცვრიანი,  
მკერდის ზღვაური ღელვა და  
ზედ კაბა იისფრიანი.

**სარკესთან**

**„ვიცი დამღუპავს მტვერი დაფნისა,  
და მოძალემა ისეთი ცრემლის,  
რომელსაც ახლავს სიტკბო თაფლისა,  
თან მომწარობა ისრიმი მტვენის“.**

*ლ. ალავერდაშვილი*

როცა სიბილწემ ყველა ლექსი დამიკლა ფერხთან,  
გამკვირვებია, ვით ვიგუებ პოეტის ტიტულს,  
ვლგავარ სარკესთან მე (ცოდვილი) კაცთან თუ ღმერთთან  
და ვაჩერდები დორიანის მანკიერ ფიტულს.  
დულს ანარეკლი და როგორაც ბნელ ხრამში ზვაგი  
ჩემში იხრწნება მოძალემა გრაციულ ფერთა,  
ეს მე არა ვარ, მე ასეთად არ მახსოვს თავი  
და იმ „ვარდებზეც“ ეს კი არა ლევანა წერდა.  
აზრებს მიგველავს ატეხილი ჟინის ძახილი,  
ძარღვწაწვევტილი საფეთქლების ვნებდები როკვას,  
მეგონა, მძლავრი პოეზიის ერქვა სახელი  
გარყვნილ გენიდან გამოწოვილ ზებილწ ეპოქას...  
ჰოდა, თუ იშვა სულგაცილი ჩემი სხეული,

ჩქამი ნუგეშიც არ მომიგლოთ, თუნდაც სამადლოდ,  
ღმერთს ვერ შევხედო, გამათრიეთ თვალახვეული,  
რომ ტაძრის კარზე „კახპასავით“ გამასამართლოთ.

**კორიდა**

შენი სიცოცხლე არის კორიდა,  
სადაც ჭიდილი და სისხლი გმართებს,  
სად ეთხოვები ყველას შორიდან  
როგორც სამხრეთით გაფრენილ ბატებს.  
დასიცხულ მიწას მგელივით დახრავ,  
მოპარული ხარ ეჭვებით ისე,  
თითქოს სამყაროც გაჩოქებს, მაგრამ  
სიცარიელეს ვერაფრით ივსებ.  
ირიბად უშხერ აყრილ მაგიდას,  
ვით მათიანეს მძიმე წლებისა,  
კითხულობ „მერის“ და მხრებთან გიდგას  
„ბედი, რომელიც შენ არ გელირსა“.  
თითქოს წარსული ნოტები ქარის  
აგიცახცახებს უფერულ თითებს  
და აგატირებს, რაც აღარ არის,  
ღრო, შურდულით რომ დასდევდი ჩიტებს.  
სიოც დაგლუნავს ნაშტორმალ აფრას,  
საფეთქლებს ცივი გაჟონავს სისხლი,  
ღღე ხვალინდელი გაირდება დაფნას,  
მაგრამ იმ დაფნას რა თავში იხლი,  
როცა სიცოცხლე შენი – კორიდა,  
შემოგახსენებს, რომ სისხლი გმართებს  
და ეთხოვები ყველას შორიდან,  
როგორც სამხრეთით მინაფრენ ბატებს.

**ვაშლი**

ყველაფერი მაშინ თეთრად ჩანდა,  
რა ვქნა წარსულს ღღეით ვედარ წავშლი,  
ის ბავშვობა დამიბრუნე, ან და  
იმ სიბავშვით მოპარული ვაშლი.

\* \* \*

მითხარ, რად ბორგავ გულო ამჯერად,  
ვინ გაგიწონა ცოდვის ბოძალი,  
ისევ ფეთქავ და მაინც არ გჯერა,  
რომ ისევ იბრძვი და ხარ ცოცხალი.  
ნეტავ შენ, თვალო, რაღას ამჯერად  
ამაო ცრემლი რაღატომ ღვარე,  
ზეცას უშხერ და მაინც არ გჯერა,  
რომ მზე მზეა და მთვარე კი – მთვარე.  
იქნებ შენც მყევდრი სისხლო ამჯერად,  
თუ მგოსნის ძარღვებს თბილად ეგები,

ღედას გაფიცებ, შენ კი არ გჯერა,  
რომ სადიდგოროდ შეიმედები.  
შენ რასღა იტყვი, ლევან, ამჯერად?!  
მონავ ზეცის და მიწის მშვენების...  
გმადლობთ, გმადლობთ! რომ თქვენით არ მჯერა  
ქართლის დაჩოქებ-გადაშენების.

**გაზაფხული**

შენი სუნთქვით რა ახლოა ზეცა,  
შენი სუნთქვით ავდარს შეცვლის ღარი,  
შენი სითბო მკერდზე გადამექცა  
და მოვითქვი სული ყინვით მკვდარი,  
მაგრამ რად ხარ ძნელად საქმენელი?!  
ტკბილო დარღო, ნექტრად დანაგუბო,  
უშენობით მელოდება ბნელი,  
მესაფლავე, საფლავე და კუბო...  
გაზაფხულით მოეფერე ატმებს,  
შენი სუნთქვით ავდრებს შეცვლის ღარი...  
არ სთქვა – ვცნობო – თუ მიპოვეს საღმე  
შენს ქუჩაზე უშენობით მთვრალი.

**აღსარება**

*დედოფლისწუაროს ღვთისმშობლის მიძინების  
ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ ნიკოლოზს(ლომსაძე)*

შემომადამდა და დავბრუნდი „უძღები შვილი“,  
ხელს ნუ გამიშვებ შემოქმედო გამრიყავს ბნელი,  
თუ არ ვიყავი არასოდეს გულგადაშლილი  
და არც აროდეს თვინიერი აღმსარებელი...  
სულმოდულშულმა სიჩუმესთან ხშირად ვილოცე,  
აზრს უწმინდური მიფლეთავდა, როგორაც სვავი  
და თუ ბერების წმინდა ფარჩით ვერ შევიმოსე,  
არც ხომ ეშმაკთან დამიდვია არასდროს ზავი...  
არაღმსარები არ დამინდო საწუთრომ შმაგმა,  
სულზე ცოდვები ჯოჯოხეთურ ღვარად მედინა,  
მე მაშინ მოგკვდი, სულიერად, როს რომ ეშმაკმა  
არარსებობა თვით ეშმაკის მარწმუნებინა  
და ნეტარ ვიყავ, როს ვიცანი თავი ცოდვილი,  
თითქო თვალეები ღვთას ფსკერზე ბნელად ღნებოდა,  
მაშინ მე ვიდექ გოლგოთაზე წამოჩოქილი...  
და ავაზაკის ამადლება მენატრებოდა...  
ახლა კი აქ ვარ, დაგიბრუნდი „უძღები შვილი“,  
თან გარდასული აკვნესება მომაქ ხარების,  
მოველ, რომ შენ წინ დავიჩოქო თვალეებშემლილი,  
თუძცა კი გულით მართლმორწმუნე მოალსარების.

**ნინოს**

*ეძღვნება ტრაგიკულად გარდაცვლილ  
19 წლის ნინო კიკილაშვილს*

დაგცქერიან ანგელსნი, ჩამოშლიათ თმები,  
რომ დაჰკეცე მტრედის დარად მოფარფატე ფრთები,  
სულ პატარავ, ერთო ციდავ, საით მიიქარი?  
აღბათ ცაში გელოდება ნინოს ვაზის ჯვარი,  
ვაი! შენდა დასატირალ დედასა და მამას...  
იქ გიშვილებს ღვთისმშობელი, ის გიმღერებს ნანას,  
სადელოფლო ამჯობინე კაბას შავი ნისლის,  
ისევ ისე მოჰყევ ჟღურტულს, ცელქობას და კისკისს,  
ნუ, იმ ბილიკს ნუ წაჰყვები დანაწყვევარ ეტლით,  
ისევ ტოლებს გაეჯობრე სინაზით და ეშხით,  
ისევ თბილად მოიგონე ის ბავშვობის ხანა,  
მამის მოალერსება და დედის თქმული ნანა,  
თვალნიც ისევ აინათე, როგორც უწინ გენტო,  
სამოთხისკენ გაფრენილო ყელგაწვდილო გელო...  
დაგყურებენ ანგელოსნი, ძილშიც ხომ არ კრთები,  
რად დაჰკეცე მოფართქალე მტრედისფერი ფრთები?!...

\* \* \*

ვერ ითმენს გული უსისხლო გემოს  
და გამირბიან ცისკენ ხელები...  
არ დაანებოთ ზარები ღემონს,  
არ გააკართო ბარძიმს გველები...  
მე წინამურში ათასჯერ გახლდით  
და ღირდა ბედი გადამტყერებად,  
სად პოეზია არსთა სიმაღლით  
სუფევს წყვდიადის გაცამტყერებად.  
სად ვერ სცნობს გული უსისხლო გემოს  
და მიიწვევენ ზეცად ხელები...  
არ დაანებოთ კალამი ღემონს!  
არ გააკართო მელანს გველები!

**რაცომღარ**

რატომღაც მარტო დავრჩი ოთახში,  
რატომღაც გარეთ უკვეა გვიან,  
შენ შემახსენე, რომ ვარ პოეტი,  
თორემ რატომღაც ლევანა მქვია...  
თორემ რატომღაც გაგრძელდა ღამე,  
თუმცა იმ ქალზე აღარ ვღონდები,  
რატომღაც მინდა არ აზამბახდეს  
ღამე, რომლითაც შენ მაგონდები...  
უგონო თრობა მძა პოეტებთან  
ზეციურობა ლექსის მონათა,  
იქ, რუსთაველზე აპრილის კვდომა  
და ბეთხოვენის „მიყვარის სონატა“...

ახლა კი, მარტო შევრჩი ოთახებს,  
გარეთ კი, ისევ ისეა გვიან,  
მოხეალ და მეტყვი, რომ ვარ პოეტი,  
თორემ რატომღაც ლევანა მქვია.

**მიყვარს**

(ნ - ს)

მიყვარს ფიქრები წვიმიან ღამით,  
ოცნების ტალღა როცა გამრიფავს,  
მე, შენთან ერთად, მიყვარს სიცილი,  
მე, შენთან ერთად, ტირილიც მიყვარს.  
მიყვარს ზაფხულში ტირიფის ცრემლი,  
შემოდგომისას ღვინობა მიყვარს,  
მიყვარს, როდესაც გვერდით მომყვები,  
როცა მშორდები, მე ისიც მიყვარს,  
მიყვარს ზამთარში რძისფერი თოვლით  
დახრილ ტოტების სიმძიმე მიყვარს,  
მიყვარს, როდესაც შეშლილი მკოცნი,  
როცა მიწერები, მე ისიც მიყვარს.  
მიყვარს სიბნელის ელვით გაკვეთა,  
მიცვლილ დღეებთან ამბორი მიყვარს,  
მე, შენთან ერთად, მიყვარს სიცოცხლე,  
მე, შენთან ერთად, სიკვდილიც მიყვარს.

**ექსპრომტი ძვირფას მეგობარს  
გიორგი გაჩეჩილაძეს**

კარგი ხარ და, ეგრე კარგი  
დარჩი მტრების ჯინაზე...  
ას დაეარცხნილს მირჩევისხარ  
ერთი გაჩეჩილაძე.

**უსათაურო ზალენი**

*გიორგი გაჩეჩილაძეს*

როცა მზე ვინვეს ამოახველებს  
და წავა ბალით ძვირფასი ლედი,  
გაეტირება ყვავილთა ხელებს  
ღედიშობილა პოეტის ბედი...  
მაშინ ვიხსენებ, შორეულ ჩქამით,  
ანა პერენას მშობლიურ ლივლივს  
და სააპნისო, აღმაცერ ღმით,  
თხემით-ტერფამდე სიკვდილი მივლის...  
ღღეთა ღღეობას რჩება სიალით  
გარდასულ წელთა შანდლები ჩადი,  
სადაც ვარდობის ღრმა იდეალით  
უსათაურო ჰყვაოდა ბალი...  
და იყო რაღაც ლამაზიც ჩემში,

რითაც მიწიერს არაფრით ვგავდი,  
 იაღონისფერ ნისლევის ჩქერში  
 ნარების ახლოს ვარდებსაც ვრგავდი...  
 იწვოდა ბაღი ელვის ციურში,  
 ქარონის წარბთა დანახედარი,  
 როს ელსინორის ელიზიუმში  
 იწვა ჰამლეტის ცივი ცხედარი...  
 სადაც დუელში დაშნას თუ ნაგანს  
 ადევს სიცოცხლის ალთა ნაზობა,  
 ის, შერჩენილი, ლამაზი რადაც,  
 თვალდაურული ახალგაზრდობა...  
 და ჟამი მალრიბს სადაც ახვედრებს  
 მზეს საბარძიმე ღვინით დაფერილს,  
 პოეზიაში გულწასულ მხედრებს  
 ვხედავ ბაღებში მიმოდაფენილს...  
 იქ გეგნიის გასაოცრება  
 გადაიღმურებს მგოსნეულ ბაგეს...  
 დიდ პოეზიას ბაღებს ოცნება,  
 პოეზია კი სიმაღლეს ბაღებს...  
 და როცა მზეებს ამოახველებს  
 ყინვა და ბაღში შემოვა ლედი...  
 გადაეგება ყვავილთა ხელებს  
 ხელგაშვებული პოეტის ბედი.

**არ დაიჯერო**

არ დაიჯერო ხარი წაიქცა,  
 გულის ღალატი გენს ვერ დაღუნავს.  
 არაა შენთვის ლეთა და მიწა,  
 შენ სამარეშიც ზეცა გახურავს.  
 ზეცა, რომელიც სუდარად ახდა,  
 ნეტავ არ იყოს ასე ძვირფასი,  
 ლექსად კენესება თსუ-ს ბაღთან  
 თუ ათოვება სოფელ წიფასი.  
 სადაც უჟამოდ გაქარტყნილდა,  
 ჟამი სიამის ჯერ არ ნაშობის...  
 „მზეც შუაგულში გადატყენილა“  
 და იქ ოცნება დაგვრჩა ბავშვობის,  
 ეხლა კი, ეხლა სუნთქვაც კი არ მსურს,  
 როცა უდროო მადირსე ტყვია,  
 როცა ლექსებში დარჩენილ წარსულს  
 „უსათაურო ბაღები“ ჰქვია.

**წყალობა**

თ-ს

ამაღამ მგოსანი იტირებს,  
 გედებით მიმოფენს მთა-გორებს...  
 ეს ღამე დაღუპვას მიპირებს,  
 სიღრმით რომ შენს თვალს მავონებს.

არსაით შემწე და მფარავი,  
 ბნელები მიღრჩობენ იმედებს,  
 შენს მეტი არავინ, არავინ,  
 წყალობას არავინ იმეტებს...  
 და სულში გვირილად განორჩდი,  
 მაშრიყით რომ გამოაშუქე...  
 მითხარი, საიდან გამოჩნდი?!  
 ხვალის დღე რისათვის მაჩუქე?!

**„მორჩილი“**

ამ მორჩილებას სიძლიერის მოსავს მანტია,  
 რა დაგიფიცო,  
 ასე ახლოვ, ქცეულო სხვისად,  
 შენა და ლექსი,  
 აი, განძი, რაც მახადია...  
 შენს ერთ კულულს და  
 ერთ ცრემლს არვის დაუთმობ, ვფიცავ!  
 ეს მორჩილება არ მორჩილებს ლეთას და ქარონს,  
 რჩება უმწეოდ,  
 შენი კდემის კართან მთევველი,  
 ბედს გადვეხვევი,  
 ოღონდ ჩემებრ სხვამ შეგიყვაროს  
 და ცრემლით დაგტოვ,  
 როგორც ტაძარს კათაკმეველი.

**გაწიღებ**

თ-ს

შენ გსურდა ალერსი მარტოლა,  
 გართმევენ ნეტავი რისათვის...  
 და ახლა უაზრო მარტილა  
 გაცილებს უცნობი გზისათვის.  
 ეძლევი ლოცვიან სიმორეს,  
 მოწყენილს თანაბედ დასავით,  
 დაკარგე?! უჩოქებ ღვთისმშობელს,  
 პასუხი არსაით, არსაით...  
 და სულში ნაღველი იღვარებს,  
 ვით ქროლვა ულაგმო ცხენების...  
 იღამებს, რა ჩქარა იღამებს,  
 აღარსად იმედით თენების...  
 და გინდა სიმშვიდე მარტოლა,  
 გართმევენ, არ ვიცი რისათვის...  
 და მხოლოდ გამწვრალი მარტილა  
 გაცილებს შორეთის გზისათვის.

**ეს ზოლო იყოს...**

თ-ს

ეს ბოლო იყოს, მაპატიე, რაც რამ მოგწერე,

ეხლა ყოველი ამაოა, ბინდით ნაფერი,  
 სული მარადი ყინულია და ამის მერე,  
 აღარაფერი აღარ კენესის, აღარაფერი...  
 შემომხვევიან ტკივილები ყვითელ გველებად,  
 მიმაქვს ცრემლებით მონიაღვრე მკრთალი დაწვები,  
 აქ კი რჩებიან, იმა დღეთა უკვდავ ხსენებად,  
 მწვანე ნაძვები, მარადისად მწვანე ნაძვები  
 და მერე, როცა გამიტაცებს მორევი სეველის,  
 სადღაც შეწყდება მრუმე ბედის სრბოლა-დინება...  
 ფიქრად ვიელვებ და თვალებით მომაკვდავ გედის  
 ჩაგეძინება, აცრემლებულს ჩაგეძინება,  
 ჩავლიან წლები მოგონებათ ცისფერ ხეივანებს,  
 ჭკნობას წაჰყვება მომზისფერო მაღალი ვარდი...  
 და მერე ნანად მიუძღვრებ ძილისპირ შვილებს,  
 როგორ მიყვარდი, ერთადერთო, როგორ მიყვარდი.  
 ეხლა კი მორჩა, ამაოა, რაც რამ მოგწერე...  
 ესაა ბოლო მუხათ ღელვა შენგან ნაფერი,  
 გული მკვდარია საფიცარი და ამის მერე  
 აღარაფერი აღარ მტკივა, აღარაფერი.

**ჩუმაღ! უსმინე!**

ჩუმაღ! უსმინე!  
 რაა იგი ამდარად ტკბილი,  
 ოდეს მწუხარში სიზმარეულ ვარდთა მორევით  
 ჩვენც იქით მივალთ, ასე წყნარი და ასე თბილი  
 და იმ მძინარეს მოწინებით ვეამბორებით...  
 იყო წარსული...  
 ახლა გვტკივა ყოველი წუთი,  
 მოვა მერმისი  
 და აწმყოთა ცოდვით იალეებს,  
 დაიხლართება ეშაფოტი დემონის ხელით  
 და ვიღაც მწარედ აღსარებას დააგვიანებს.  
 ჩუმაღ! უსმინე!  
 რაზედ ოხრავს ძველი ტაძარი,  
 მე ავტირდები,  
 ცრემლი ედოს თვალებს ხუნდებად,  
 ჩქარა ზარები! ძარზე ცეცხლი!  
 ეს არს, რაც არის,  
 იგი წავიდა, იგი გაქრა, არ დაბრუნდება;  
 და შენც ნუ მიშლი,  
 მე ეს შხამი წარსულშიც შევსვი,  
 წარსულშიც ვიგრძენ ზურგის ქარად გემო ტყვიისა;  
 ეს კი სუნთქვაა, რაც ჰგონიათ სხვებს მარტო ლექსი,  
 სუნთქვა შენი და მიმწუხრება ბეთანიისა.  
 ჩუმაღ! უსმინე!  
 განწირულის მომაკვდავ ძახილს,  
 დამეს, რომელიც მიძინების ცრემლით ივსება,  
 თუნდაც იმ აჩრდილს,

მწვანე ნაძვთა უშობელ აჩრდილს,  
 რომელსაც შობა საუკუნოდ არ ეღირსება.  
 ჩუმაღ! უსმინე!  
 ის ტაძარში ბინდისას ვედრებს,  
 ჰაერს ლანდებად მოსდებია იგი ვედრება,  
 რა საბრალოა, ჰანგი ამოდ რომ ჩავლის კედლებს  
 და ხშირძილიან სასაფლაოს გადაედვრება.  
 ჩუმაღ! უსმინე!  
 მომლოდინეს სასწაულს ღვთისას,  
 ვინაც არ ნაღვლობს, ისევ ბავშვი განშორდეს სოფელს  
 და რა დიდია იგი მაშინ, რომ არა თვისას,  
 სხვის სულს ავედრებს  
 მუხლმოყრილი ქალწულ ღვთისმშობელს.  
 ჩუმაღ! უსმინე!  
 სამრეკლში ზარების გრგვინვას,  
 ოდეს მიწაზე ქერუბითა სუნთქვა ვარდება,  
 დამე რომ იმკობს თეთრ მნათობთა ელვარ გვირგვინებს  
 და ჩვენს ყოფაზე შეშლილივით ახარხარდება...  
 პოდა, ნუ მიშლი,  
 თუ ეს შხამი წარსულშიც შევსვი,  
 წარსულშიც ვცანი უტკბესისგან გემო ტყვიისა,  
 ეს კი სუნთქვაა, რაც ჰგონიათ სხვებს მხოლოდ ლექსი,  
 სუნთქვა შენი და  
 სუნთქვა დიდი ბეთანიისა.

**აის ვარსკვლავია შენი ორეული**

ემაგ თოთო თვალთა მშვიდი გაცოცებით  
 ბაღად განაზღვები, იად აკვირტლები,  
 რავი, ვის ეძლევი ქალურ დამორცხვებით,  
 როცა სურათიდან შეელად მაკვირდები.  
 რავი, ვისი ხდება მზერა შორეული,  
 ასე მოძალულად სულში შენადვრევი,  
 აის ვარსკვლავია შენი ორეული,  
 როს რომ, არა ჩემი, ჩუმაღ მენატრები.  
 იქნებ მომიღამდა ქვეყნად დასარჩენი,  
 ოდეს იმედცვლილი ხვალეს დღეს დავტირი,  
 რავი, ვისად მოგრთავს დილა გასათენი,  
 ცრემლი მომძალვია შენდა შესაწირი;  
 როცა თოთო თვალთა ნელი გაცოცებით  
 ბაღად განაზღვები, იად აკვირტლები,  
 რავი, ვის ეძლევი ქალურ დამორცხვებით,  
 როცა სურათიდან შეელად მაკვირდები.

**ჭიაკოკონა ჩვენს ეზოში**

ბავშვობის წლები ცოცხლდებიან ეტიუდებად,  
 მე ეს საღამო სადღაც სულის სიღრმეში მტკივა,  
 რომ ჩემი ბიჭი პაპას ისევ ეჯიუტება,  
 ჩამქრალ კოცონზე დააყაროს გამხმარი თივა.

ჭიაკოკონა, წყნარი ეზო დობილი ბზებით  
 და ჩემი სული პოეზიის უქრობი კერა,  
 ადრე მოსილი გადარევის ფანტაზიებით,  
 ამ საღამოთი შიშველია, როგორც ჰეტერა.  
 ქუჩას ირეკლავს ცრემლიანი გუგები თვალის,  
 ღამე დახსნილი უფსკრულების სიღრმეში გორავს,  
 ვამბობ – აღსრულდეს მარადისი ნება უფალის  
 და ბაღურ ჟინით გადაუფრენ ჭიაკოკონას....  
 თან სიყრმის წლები მომტირიან ეტიუდებად  
 და ეს საღამო ისევ სულის სიღრმეში მტკიავა,  
 რომ ჩემი ბიჭი პაპას მაინც ეჯიუტება,  
 მინავლულ ღაღარს დააყაროს გამხმარი თივა.

თ-ს

შენ ქალაქს ითმენ, მე მთასა, ვერ მხედავ მგლოვიარესა,  
 როსნამდის უნდა მოგტირდე, ვიდენდე მწარე ღვარებსა,  
 ტატანს გაეხედავ, მოვლანდავ ხშირწამწამიან თვალებსა,  
 რომ ედრებიან მნათობით დღითი მზეს, ღამით მთვარესა,  
 ღრუბლებს ვაყოლებს ამბორებს მოძეურავთ ქართლის მხარესა,  
 დამღონე ფიქრი მიმონებს, ვახთუ სხვა შეგვიყვარებსა,  
 ჩაგაცმევს დარაიასა, კოცნასაც შეგაპარებსა,  
 ყვავილს დაგთონის კულუხზედ ნაკრეფს ედემის კარებსა,  
 მოჯარავს ეჯობ-მეჯვარეთ დიაცთ ყელღილიანებსა,  
 დელოფლის გვირგვინს მოგახდენს, ფერხითი გაგიფუნს ხალებსა,  
 მე კი უკლოს და უხანოს არცა ვინ შემობრალებსა,  
 საღმე ობლობით მომკვდარზე ყვაგ-ძერა გაიხარებსა,  
 უგლოვ-უცრემლოდ დატოვილს მიწაც არ ჩამიფარებსა,  
 ტყით მგელი აყმუილდება, მთები ეტყვიან ზარებსა,  
 ღამე იუბნებს ჩემს სიკვდილს კაცთათვის შესაზარება,  
 აიყრებიან მწვემსებიც, ბარს ჩააფუნენ ფარებსა,  
 დაიზამთარებს, დაბარდნის თეთრად არავის ჭალებსა,  
 მაშინ სულ ცალად დავრჩები, ქეთინს მოგვევები მწარესა,  
 ვინ ააჩქამებს სიათას, ჩახმანს ვინ ატრიალებსა?!  
 ცხენსაც არავინ დარახტავს, არ დააჭედებს ნალებსა...  
 ნეტავ ვინ ჩამოითალხებს, ან და ვინ გაიხარებსა,  
 ვინ მოიგონებს უდროოდ ღამეშენასვამ თვალებსა?!  
 შენ კი თუ მაინც მიხსენებ, დამტირებ შესაბრალებსა,  
 ვფიცავ, იქაც კი გავიგებ, მკვდარ გულიც გაიხარებსა.

მუზა

მარიამ ტოხიშვილს

მაშინ როცა აგტიკვდება მკერდში,  
 რაღაც უცხო, მშობლიური თუმცა  
 არ გააგლო, ნურც ნურაფერს ერჩი,  
 ის პენია – პოეზიის მუზა.

ხან რომ მზეობს, ხან ღვარობს და ტაღობს,  
 ჩაიკონე არ გაუშვა ხელი...  
 ის შენ ბევრჯერ-ბევრსაც მოგცემს „ბაღლო“,  
 თუმცა საკმარს ნურასოდეს ელი.  
 ძილს გაგიფრთხობს, ვით მწვევარი ირმებს,  
 შეგეჩვენა – დაგაჩოქოს ვინძლო,  
 ბრმა შემლამდე შეგაყვარებს ვინძეს,  
 რომ დაკარგვის მწუხარებაც იგრძნოს.  
 ის არ ყურობს განწირულის ძახილს  
 და შეკითხვებს – რატომ? როგორ? რისთვის?  
 ნეტარ ტანჯვის ეფარება სახელს,  
 შებრალება უცხო არის მისთვის...  
 მაგრამ, მაინც, არ გაუშვა ხელი,  
 არ დაკარგო მგოსნეული ალღო,  
 თუმც საკმარისს მისგან ნურას ელი,  
 ის შენ მაინც შეგიყვარებს „ბაღლო“.

სიზმრის სიყბაღე

წუხელ სიზმარი მოვსინჯე,  
 თითქოს გაღმისკენ გავეო...  
 მძინარს ნუ მებრძვი სიკვდილო,  
 მო, ცხადში გამათავეო.  
 ვერ შემაშინებ წამიყვა  
 გინდა ღღე, გინდა ღამეო,  
 ანდა რად შემეშინდება,  
 შენთან ფიც-ვერცხლი ვჭამეო.  
 ორწყალს გადავალ, გადმომყევ,  
 ქართლისკეც მომედავეო...  
 ოღონდ ზურგიდან ნუ მოხვალ,  
 პირისპირ გამათავეო.

ჩანაცირი ერთი ღამისა ანუ  
მინისტრების გადასასვლელი...

ისევ დაეწვიმა ქალაქს,  
 ქარიც შემოაწყლა ავი,  
 ვეძებ „უბედურთა ალაგს“,  
 იქნებ შევაფარო თავი.  
 ყველა სარკმელიდან შუქი  
 მწუქნის გაცივებულ სითბოს,  
 გულშიც ნაღველია მუქი,  
 იქაც გაეავდროს თითქოს...  
 მიწას დაენარცხა ჭიქაც  
 (მახსოვს ქეიფებიც არღნით)  
 და, პა, ჩემი ბედის ვიღაც,  
 მლოცავს დაუსხმელი არვით.  
 თითქოს ოცნებაც კი ახდა,  
 ღამე იმნაირად მათრობს,  
 ისე ვბედნიერობ ახლა,



ძალი რომ იპოვის პატრონს.  
ისეთ სითბოებში მძირავს,  
თითქოს მოებეროს ივლისს,  
ახლა ყველა თქვენგანს ძინავს,  
მე კი ვეფერები თბილისს.

**ფატუმი**

სავლად მერგო ხიდი ბეწვის,  
ღრო კაემანს კეცავს  
თვალზე უფრო გული მეწვის,  
როცა ვუშხერ ზეცას.  
უსაშველო აგონია  
ღალატია ფლირტის,  
ჯერ მოსულიც არ მგონია,  
ის კი, უკვე მიდის...  
და ფატუმო, რას დამმართებ  
აწისაგან კიდევ?!  
გენი?! სისხლი?! ნიჭი მმართებს?!  
სამთავ ფერხითთ გიდევს.  
მუმილი აწევს მუხის ხეს და  
მზეს უცვლია გვერდი...  
კლდეზე ამირანი კენეს და  
ჯვარზე ქრისტე ღმერთი.  
უღონიოდ გსურს დამქოლო,  
ტანჯვას უქმნა ლხინი,  
თეთრი ცხენით გააქროლო  
ჩემი ბალდახინი.  
ტრაგედია ხდება ლექსის  
ძუძუსავსე ღელა,  
მომავალი როცა კენესის  
როგორც ანტევერტა.\*.  
სავლად მრჩება ხიდი ბეწვის,  
ღრო ფრთებს მშვიდად კეცავს  
თვალზე უფრო გული მეწვის,  
როცა ვუშხერ ზეცას.

\* რომაული ღვთაება წარსულის მოგონებისა.

**ასეა როწყა**

(საკუთარ თავს)

„ნიჭით აღმატებულნი უსაქმობით იღუპებიან“  
*მიშელ მონტანი*

ღრომ მწუხრისფერი მოგზავა ხელი,  
სულს დაგფენია სიყვითლე ობის,  
ასეა, როცა ვიღაცას ელი,

ასეა, როცა არავინ მოდის.  
წლების გადაღმა მაისებს გაუდი,  
ღღეს ძარღვებს გივსებს მძიმე ქაოსი,  
ასეა, როცა ხარ მწუხრის ლანდი,  
მეფე მუხების სასაფლაოსი.  
ხარ უქარობით ბედი აფრების,  
დამრეტილ თვალთა უმუქო მზერა,  
ასეა, როცა გჯერა ზღაპრების,  
იცი ტყუევები და მაინც გჯერა.  
ასეა, როცა შეშლილ ძახილზე  
გპასუხობს ექო ხავსიან ლოდის,  
ასეა, როცა ისიც გახიზნეს  
და არც სიკვდილი არსაით მოდის.

**აღტყუება**

(ნ.-ს)

ღმერთო რამდენი ღარდი თუ იჭვი,  
დაუთვალავი დაფნა-იები,  
ღრმა იდეალი გენი და ნიჭი,  
ღიმილი, ცრემლი, ემოციები...  
სამარადისო ცისკენ გაქცევა,  
აჩრდილთა ლალი გამოიკიდება,  
მაგრამ რა არის ეს აღტაცება,  
უსიყვარულოდ რაა ღიდება?!

**ლოდო ასათიანის სურათთან**

ხან ზეციური ჰანგით ვირთვები,  
ხან თალხიანი გამსუღრავს რითმა,  
ეგ ჭლექმა დახრა შენი ფილტვები,  
თუ სისხლჭარბ ლექსის დახეთქა ზვირთმა?!  
მზე ჩასვენია ყვიციან სახეს,  
არ შემოგხედო უფროლე მიჯობს,  
აუჰ! რა წლები წასულან, ნახე,  
რომ ასაკითაც გაგასწარ ბიჭო...  
ცხრა ღარახტული დაგლეჯავს ლაგამს,  
ცხრა ფურირეში დაიწყებს ბლავილს,  
მალე კრწანისსაც დაათოვს, მაგრამ  
აქ ხომ ყაყაჩო ზამთრადაც ჰყვავის.  
სისხლის ღალადი ძარღვს რრომ ამიწვაავს  
და გარღასულის გამახვევს ბურში,  
მეც ღავემზობი ტფილისის მიწას  
და კოცნი ვიდრე ჩამიდნობს გულში...  
ხან ზეციური ჰანგით ვირთვები,  
ხან თალხიანი გამსუღრავს რითმა,  
ჭლექმა კი არა, შენი ფილტვები,  
სისხლჭარბი ლექსის დახეთქა ზვირთმა.

**ჩემი ლურჯი „დემონები“**

რახანია რა ქარია,  
 ასეთ ხილვას ვემონები,  
 ქრის და თავზე დამხარიან  
 ჩემი ლურჯი დემონები,  
 როცა სული-მარტოსული  
 მავსებს სუფთა გემონებით,  
 ხან უფსკრული, ხან ცადსული,  
 მგოსნეული დემონებით,  
 ყველა სიტყვა – მოთქმა, მითქმა,  
 რაიც მითქვამს ხელოვნებით,  
 შურით ლეთას ვერ დაინთქა  
 გემონების დემონებით;  
 ყველა ქალებს – მანგთა დარებს  
 საფიცარებს მგოსნის ენებით,  
 არ გავატან მღვრიე ღვარებს  
 ლურჯზე ლურჯი დემონებით  
 და თუ ცრემლი ჩამომექცა,  
 მთვრალი ნურვის გვეონებით,  
 სავსე არის ჩემი ზეცა  
 ზეციური დემონებით...  
 რახანია რა ქარია,  
 ამ სტიქიას ვემონები,  
 ქარია და აქ არიან  
 ჩემი ლურჯი დემონები.

**მე მინოღებდნენ...**

მე მიწოდებდნენ დემონს და გულქვას,  
 უღმერთოდ დამგმეს, მიმტრეს, მიშარეს,  
 მიშლიდნენ სიცილს, მიშლიდნენ სუნთქვას,  
 ლექსი წერა კი ვერ დამიშალეს.  
 მე აბლავლებით უნდა ვტიროდე,  
 ბელმა იმდარად გამადუხჭირა,  
 სხვას ვკლავდი – მაშინ არ მპატიობდნენ,  
 თუ თავს ვიკლავდი – არა უჭირდა.  
 მაინც არ ვთხოვდი მე მოწყალებას,  
 თანახმა ვიყავ ამ განაჩენზე,  
 რომ ჩამოეხრჩოთ სულის წვალება,  
 რომ ყველა ტყვია ეცადათ ჩემზე.  
 ცილისწამება დღისით და ღამით,  
 თუმცა ვერაფრით ვერ გამაოცეს,  
 დიდების გზები მომირწყეს შხამით,  
 გზა ქვესკნელისა ღვინით დალოცეს.  
 მაინც ვერ მოკლეს გული ბოლომდის,  
 ძარღვებში სისხლი ვერ დამიდინჯეს,  
 ვერ გადმაჩვიეს მუხის მოლოდინს,  
 კალაშზე ფეხი ვერ დამიბიჯეს.

უნდოდათ მკერდზე შემხლოდა ტალღა,  
 აქაფებული და გამორიყავი,  
 შუბლს ვერ დაატყვევს შიშისგან დაღლა  
 და შევრჩი აწემოს ის, რაც ვიყავი...  
 თუმც მიწოდებდნენ დემონს და გულქვას,  
 დამგმეს, დამცინეს, მიმტრეს, მიშარეს,  
 მიშლიდნენ სიცილს, მიშლიდნენ სუნთქვას,  
 პოეზია კი ვერ დამიშალეს.

**დეკემბერები**

დეკემბერების ლურჯი ფოთლები  
 შემეფარებია სიცოცხლის ფასად,  
 როს იკარგება ბოროტი წლები  
 მიზანს აცდენილ ტყვიების მსგავსად.  
 როგორც ყვითელი, საჭურჭლე თიხა,  
 აზელილია სისხლში დარდები  
 და რომ მკითხავენ – შენ პოეტი ხარ?  
 დემონიურად ავხარხარდები.  
 ზოგნი ვერ გრძნობენ, სანანურია  
 რაა მგოსანი. დაე იცოდნენ,  
 ის მღუმარეა როგორც მუშია,  
 მაგრამ მეტყველი როგორც სიცოცხლე....  
 დეკემბერების ლურჯი ფოთლები  
 აი რად მიფარს სიცოცხლის ფასად,  
 როს ეცემიან მიწაზე წლები  
 მიზანსდაცდენილ ტყვიების მსგავსად.

**ვარდები**

ვარდი მომეცით, ნამის ქარვებით,  
 დაე, შემერგოს თუნდაც არამად...  
 ისე მაჩუქეთ, ნუ დამზარდებით,  
 პოეტი ვარ და ფული არა მაქ!  
 ლექსზე გაგიცვლით, არ შემრჩა გროში,  
 ვარდი ხომ ტრფობის გზა და ხილია!  
 ნუ დამაჯერებთ, ჩემს სამშობლოში  
 რომ სიყვარულიც გასაყილია!

**მე, შენა და ქარი**

შენს ფეხებთან აბეზარი ქარი გაიშრიალებს,  
 ურცხვად მოგეპარება და კაბას აგიფრიალებს,  
 აუჰ! თვალებს აგარიდებ, მაინც გამთქვევს თვალებმა,  
 რადგან შხერა უნებურად შენკენ გამეპარება.  
 უი, დედა! დაიმორცხვებ, კაბას იჭერ ხელებით,  
 მარწვევის ბაგეს დაიშაქრავ დათაფლული წვევლებით.  
 მიხაროდენ; წვევლით მლოცავ, ტოკავს გულის გალია,  
 ეგე ქარი, ეგ დაწვევლე, ჩემი რაღა ბრალია?!  
 მე რაც მსურდა აქამომდე, შენს თვალებშიც ვხედავდი,  
 ქარს კაბა არ აეწია, რა, არ შემოგხედავდი?!

ნეტავ ქარი კვლავ მოვიდეს, კვლავაც გაიშრიალოს,  
 ურცხვად შემოგეპაროს და კაბა აგიფრიალოს,  
 ნეტავ იმ წუთს, საფიცარო,  
 თუ სხვა კიდევ მერჩიოს,  
 უკვე დედა ყოფილიყავ, ხელში პირმშო გეჭიროს;  
 უი, დედა! წამოწითლდე,  
 ხელს რომ ვედარ ახმარებ,  
 თვალხუჭველა მოგაგნებ და კაბას ჩამოგაფარებ;  
 შენ კი ისევ „დამწყველი“ და ისევ დაიქუფრები;  
 კარგი, ფეხებს თუ მიძალავ,  
 თვალებს რაღას უშვრები?!

**ობლენი ყინვაში**

ჩემში დემონი ვინ ჩაასახლა?!  
 რამ შეიწირა წარსული სახე?!  
 ღმერთო! ბუხრისწინ რა მინდა ახლა,  
 როცა ყინვაში ობლები ვნახე...  
 ეს რა ასპიტი მეფობს ქუჩებში,  
 ამდენი გესლი საიდან გერგოთ,  
 რომ წინგამოწვდილ დამხრალ მუჭებში  
 ბინდგარეული გულები გედოთ.  
 მინდა თქვენს ფერხითი გაეთავდე დღესავ,  
 ვინემ ამ ცოდვის ბურუსი ვზილო;  
 ვინ გაიანდერძათ ამდენი კენესა!  
 ამდენი ცრემლი საიდან, შვილო!..  
 მაგრამ თავს რადღა დაწვამო ცილი,  
 გავიავთვალო ძალისძალ დარი,  
 როცა თქვენს ქუჩას ვერ გამოვცილდი  
 და ეხლაც იქვე ვაგდივარ მკვდარი.

**ოყდაათი თეთრი**

დღეს კაფეში ვკითხულობდი ლექსებს  
 გმადლობ ღმერთო მომეც წერის ნიჭი,  
 პოეზიით რა სიმდიდრეს ეძებ?!  
 დამცინოდა ვიღაც „მამას ბიჭი“.  
 თუმცა იგრძნო, შურითა და ჯიბრით,  
 ვერ დაცხრება მგოსნეული ჩანგი,  
 მასაც მიხვდა, ცარიელი ჯიბით  
 მასზე დიდი და მდიდარი ვჩანდი.  
 სიხარულმა დამიცრემლა თვალი,  
 მხრებთან მედგა ანგელოსთა გუნდი.  
 ის თუ ამდამ, სულ გაძარცვეს მთვრალი,  
 მე ერთ ლექსსაც ვერ მომპარავს ქურდი.  
 ხიდზე შევდექე, ავიხედე მადლა,  
 მთვარის სახე დამემა გულზე,  
 პოეზიით შეიძლება დაღლა,  
 პოეზიას ვერ იყიდი ფულზე.  
 რაა ფული?! ზიზღმა გამკრა თავში

თუ არ, სულის უკურნელი კეთრი,  
 და ხიდიდან გადავყარე მტკვარში  
 შერჩენილი ოცდაათი თეთრი.

**ქალბატონო**

რატომ გგონიათ ქალბატონო, თითქოს წუხელის  
 თქვენით შემშლილი მივეძალე ასე კონიაკს,  
 არა, ეს მხოლოდ ახირება იყო წუხილის,  
 თქვენ კი გგონიათ,  
 ქალბატონო, თქვენ კი გგონიათ,  
 რომ მარტოოდენ თრობისათვის უაზროდ ვსვამდე,  
 ან სასიკვდილოდ შევეითოვე მეშვიდე ტყვია;  
 მე შემიძლია გიერთგულთ იმ სადგურამდე,  
 რომელსაც ბოლო, ან უბრალოდ, სიკვდილი ჰქვია.  
 მიეძინება ამ ვნებასაც დროის მირაჟში,  
 მიეძინება როგორც შხისგან ნაგმობ ფოლიანტს,  
 თქვენ მომდიმარი დაბრუნდებით მეყდრო ბინაში,  
 მე კი სად წავალ, ქალბატონო, როგორ გგონიათ?!  
 ეს არც ფიცია, არც ღაღადი, არც აღსარება,  
 თუ თქვენი კდემა გავიხადე სიგიჟის ძეგლად...  
 და ყველა მზერა, თუ უსიტყვო ამკენესარება  
 იკმარეთ ჩემი თავხედობის მოსატყვევებლად...  
 და ნუ გგონიათ, მარტოოდენ თრობისთვის ვსვამდე,  
 ან საფეთქლისთვის ჩავარჩინე ლულაში ტყვია;  
 არა! უბრალოდ ერთგულება მწამს სადგურამდე,  
 რომელსაც ბოლო, ან უბრალოდ, სიკვდილი ჰქვია.

**ლოლოიანში თათრის ასული**

ყარა ცხენები ჯირითობდნენ ტყის განაპირას,  
 ღოლოიანში თათრის გოგო ძროხას მწყემსავდა,  
 ნაგუთნი მიწა სათოვარი ღრუბლის ნატირალს  
 შავი ტუჩებით ჟინმოსული სვამდა და სვამდა.  
 ბელტზე ჩამოეჯექე, გულს მოაწვა მომწარო შური,  
 აღსდგა წარსული წინაპართა მითის მთხრობელი;  
 ნეტავ ამ ფურებს მომწყემსავდეს ქალი ხევსური,  
 უფრო ამაყი, მშობლიური და მახლობელი.  
 თათრის ასული, მომაჩერდი ასე რისათვის,  
 ფიქრობ მაგ თვალთა სიმუქეში ჩავიქარგები?!  
 ეჰ, შენ რა იცი, ერთი მუჭა ამ მიწისათვის,  
 სისხლისგან როგორ იცლებოდნენ გურჯთა ძარღვები.  
 თათრის ასული, მოხამბახე ბაგე რომ გიკრთის,  
 თითქოსდა ჩემში დაეძებდე სუსტსა და უძღურს,  
 არა! ამ სისხლში არ დამპრალა გენი დავითის,  
 მე ქეთევანი მაწოვებდა დაშანთულ ძუძუს...  
 ვიჯექი დიდხანს, პანორამა სთვლემდა მეფური,  
 არე ველური, ლურჯი ნისლით შემოგარსული,  
 ლამაზი იყო, ღმერთო ჩემო, თექვსმეტი ფური,  
 ღოლოიანში ოცნება და თათრის ასული.

შენა და ღამე ბეთანიისა

ლოთი მხატვარი

(ფიროსმანს)

გეტყვი მშვიდობით, მერე დაგტოვებ,  
 ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,  
 ოღონდ ავსებდეთ ჩემს სიმარტოვეს –  
 შენა და ღამე ბეთანიისა.  
 გეტყვი, წუთები შენით ნაფერნი,  
 როცა აშვებულ რაშებად ჰქრიან,  
 რა გვიანაა სუყველაფერი,  
 და არაფერი არაა გვიან.  
 გეტყვი საუფლოს ღრმა დარბაზებში  
 ხატად მოეძებნი შენს ძვირფას სახეს,  
 სისხლისფერ ვარდებს დავეყრი ბაღებში  
 და ლექსებს – შენი თითებით ნახებს...  
 გეტყვი ნუ მოხვალ! მაგრამ რისათვის?!  
 უკვდავ მოლოდინს მაინც გაბრდები  
 და იმ ღამაში წყენებისათვის  
 ხელში ბავშვივით აგიტირდები.  
 გეტყვი, დემონურ წარსულს მათოვებს –  
 ნამი – უშენოდ მორცხვი იისა...  
 ნუ მიმატოვებთ! ნუ მიმატოვებთ! –  
 შენა და მწუხრი ბეთანიისა.  
 გეტყვი, შვებაა შენს ხელში კვდომა  
 და რომ შენს შხამსაც ტკბილი აქვს გემო,  
 ღმერთმა შეგინდოს ცოდვა – შეცდომა,  
 მოურჩენელო ტკივილო ჩემო.  
 გეტყვი, დამთავრდა! ეხლა მშვიდობით,  
 ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,  
 ოღონდ ნუ მომკლავთ უამინდობით,  
 შენა და ღამე ბეთანიისა.

შუამთის შუაღამე

შუაღამისას შუამთას,  
 შუქი შეადნა შორით,  
 შემომეშენენ შინდები,  
 შრიალით, შარა-შურით.  
 შემოდგომისას შიშველი,  
 შამბში შეეხვა შარა,  
 შველს შიგ შავარდნა ვუშაღე,  
 შველმა არ დაიშალა.  
 შორი-ახლობით შავყევი,  
 შეინავარდა მშვენად,  
 შევნიშნე შურმა შემიპყრო,  
 ეშობილიყავი შველად.  
 შვიდჯერ შავობამ სიშავის,  
 შემომავება შიში,  
 მეშურნებოდა შუამთის  
 შველის შემლილი ჯიში.

ბნელი სარდაფი, ღვინის ჭიქები,  
 მხოლოდ გოლგოთა, აღარსად მდგელო  
 და როცა შედგა იგი მწვერვალზე,  
 მაშინ იხილა ის საქართველომ.  
 თორემ, ვინ იყო, ვინ სცნობდა ნიკოს,  
 სარდაფში ობლად დუღდა მაჭარი,  
 და მოგონებებს შემორჩა ცოცხლად  
 მირზაანელი „ლოთი“ მხატვარი.  
 ნიკო მოკვდაო, იქ, კიბის ძირში,  
 საღებავების ცრემლი სდიოდა,  
 რას ქეია მოკვდა! მან მიატოვა  
 ეს უსუსური კაცობრიობა.  
 გული დამთვრალი და დაფლეთილი  
 სიობლისაგან ჩუმაღ კვნესოდა,  
 შეველას ითხოვდა თურმე ნიკალა,  
 მაგრამ მისი ხმა არვის ესმოდა.  
 ბოლო ფერები გაკრთა ტილოზე,  
 მიმქრალ თვალებში მწუხრმა იძალა,  
 ღვინის რუმბები ჩაიკრა გულში,  
 დაემხო პირქვე და მიიცვალა.  
 არსად არღანი, არსად ღუღუკი,  
 არც განბანება ცრემლთა მორევიში,  
 ვიდოდა ქვეყნად კაცი ობოლი  
 და მიეძინა სიმარტოვეში...  
 მერმე უეცრად განათლდა ბნელი,  
 ფრთები აეშვათ დაბმულ არწივებს  
 და კიბისძირში მკვდარი ნიკალა  
 ანგელოსებმა გამოაცილეს...  
 ვინ სთქვა სიკვდილი უკვდავებისა,  
 ნეტა ვინ ეძებს ნიკალას საფლავს,  
 ის ეხლა ისევ მთვრალია ღვინით  
 და მარგარიტას წამწამებს ხატავს..

ასე თუ ისე

ასე უბრალოდ და გასაგებად  
 თავს გაიმართლებ წყევლისგან მყისვე,  
 თუ მოსახდენი დღეს არ მომხდარა –  
 ხვალე მოხდება ასე თუ ისე.  
 ალბათ რამდენჯერ, მუწამტკივანმა,  
 უძილო ღამით თვალი აივსე,  
 მერე კი მაინც, გინდა თუ არა,  
 ჩაგძინებია ასე თუ ისე.  
 ჩაგძინებია, მაგრამ უშაღვე,  
 სიცხადის ეტლი, ცრუ და მერყევი,  
 შეგატორტმანებს და ბურანიდან  
 ასე თუ ისე გამოერკვევი.

გამოიღვიძებ, ზეცის ანთებას  
 იგრძნობ და გრძნობაც იყოს დღეგრძელი,  
 რომ სინანული და პატიება  
 ასე თუ ისე მაინც შესძელი.  
 არ გამიჯავრდე, არა ღმერთმანი  
 თუ ამ სიტყვებით გაგაგულისე,  
 არაფერია, ჩვენ ერთმანეთის  
 ბევრი რამ გვესმის ასე თუ ისე.  
 ასე თუ ისე შენ ხომ ქალი ხარ,  
 ამაღ ვჩუმდები ისევ და ისევ,  
 სულის სიღრმეში შენც მართალი ხარ  
 და არც მე ვტყუი ასე თუ ისე.  
 ღმერთმა გიშველოს! უღრუბლო სახით  
 სულ იზამბახე და იმაისე;  
 ასე თუ ისე ხომ მაინც მოველ,  
 ხომ მაინც შევხვდით ასე თუ ისე.

**გულის ჭრილობა**

გოგონას თვალში ცრემლები გაღვდა,  
 მშობლის გულში კი შეიჭრა ელდა...  
 სათუთი თითი გაიჭრა ბაღღმა,  
 მოვა და ფრთხილად შეუხვევს დედა.  
 მიეფერება თვალთა სიღურჯეს,  
 რბილად ჩაუშლის კულულს აფრებად,  
 ამოუკოცნის გაბუტულ ტუჩებს  
 და თითის ტკეპნაც საღღაც გაქრება...  
 და როცა წლები გავიდა მკაცრი,  
 ეწვია რაღაც საოცრად ურჩი,  
 მას შეუყვარდა ყმაწვილი კაცი  
 და სულ სხვაგვარად დაიჭრა გულში.  
 რაც აღარ იყო ის გულჩვილობა,  
 არც იმ გოგონას ნაცნობი ელდა,  
 ეს იყო ისე მძიმე ჭრილობა,  
 რასაც რომ ვეღარ შეუხვევს დედა.

**სიზმარეული თოვა**

(ქ. დ.-ს)

მაშინ მთელ ღამეს არ გადიოვო,  
 გულის ღვთაებად რომ გარდაგსახე

და სულ არ იყო შემთხვევითობა  
 სიზმრად ზაფხულის ბაღში რომ გნახე...  
 ცამ მოწყალების სხივით დამხედა,  
 მაშინ წუხილნიც ქარად ქრებიან...  
 მე შენ ზაფხულის ბაღში გნახე და  
 მას შემდეგ აღარც დამზამთრებია.

**მაინც როდემდე**

*თუნო ავსაჯანიშვილს*

მაინც დაიწყო ავღრები,  
 კვდება ფერები ქარვის,  
 არავის მოენატრები,  
 მოაგონდები არვის.  
 გამჩენსაც ასე უნდოდა,  
 სევდას კბილებში კვნეტავ.  
 მაინც, გაუძელ გულო და...  
 მაინც, ვაიმე დედავ!  
 სული ვერ გაგიხარია  
 ლექსით ნაგვემი ერთობ,  
 მაინც – დედაო მარიაშ!  
 მაინც – იესო ღმერთო!  
 მაინც – უფალო გესავ და  
 შენთან საუბარს ვბედავ!  
 როდემდე ასე კვნესა და...  
 როდემდე ვაი დედავ?!

**თემური ზიძა**

*თემურ ჩალაბაშვილს*

მტკვრისფერი იყო თბილისის ღამე,  
 ჭადრებზე ბინდი თალხივით იწვა,  
 მონატრებულმა შემოვიარე  
 და მოვიტანე მთაწმინდის მიწა.  
 ხელი შეახე, შეგძრეს ალებმა,  
 ღრმა მოკრძალება გაფენდა ფითრებს,  
 არცერთი სიტყვა, მაგრამ თვალებმა,  
 სუველაფერი გათქვეს და მითხრეს.  
 ჰოდა, შემინდე ღვთის გულისათვის  
 და მომიტევებს მთაწმინდის მიწა,  
 ასეთი მცირე საჩუქრისათვის  
 რომ შეგაწუხე თემური ბიძა.

ლევანას ჩანაწერები

ჩვენმა საერთო მეგობარმა, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ წევრმა, ქვემო-ქედელმა შმაგი ჭინჭარაულმა გადმოცა ლევანას ძველი რვეული, რომელშიც ლევანას მიერ ამოწერილი ცნობილ ადამიანთა გამონათქვამებია, ასევე ლევანასი და შმაგის ლექსებია და ლევანას ჩანაწერებიც. ლექსები ზემოთ შემოგთავაზეთ, ახლა კი ლევანას ჩანაწერებსაც გაგაცნობთ:

ალავერდაშვილი

(გვარის წარმოშობა, მისი დამახინჯება და სხვა)

გვარი მომდინარეობს კაცის სახელიდან „ალავერდა“; სიტყვა ალავერდა კუთხურად (ქართლ-კახეთში) იონჯას ნიშნავს. თუ ქალს ბავშვი უკვდებოდა ალავერდას არქმევდნენ, რომ გადარჩენილიყო.

ალავერდაშვილები თავიდანვე მართლმადიდებელი სარწმუნოებისანი იყვნენ და ნამდვილი ქართველები არიან.

სოფელ კუძისში (დღევანდელი გარდაბნის რაიონი) მათ სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება ძალით მიადებინეს, რადგან იქ, კუძისში 1830-იანი წლებიდან მღვდელი (ტერტერა) სომეხი არაქელიანი იყო. მოგვიანებით რუსებმა ალავერდაშვილს დაბოლოება „შვილი“ ჩამოაცალეს და „ოვი“ დაუმატეს. ალავერდოვის გვარით დღესაც ბევრი ცხოვრობს, მაგრამ ნამდვილი, გადასომხებული, ქართველი.

საქართველოში (1995-96 წლების მონაცემებით) 744 ალავერდაშვილი ცხოვრობს. თბილისში – 199, მცხეთაში – 156, გორში – 103 სული. სხვაგან – თითოთოროლა. ალავერდ-ი-შვილი კი სულ 27 კაცია საქართველოში. თბილისში – 12, გორში – 6, მცხეთაში – 5.

ალავერდაშვილის შტო გვარია იაგულაშვილი (ეს ისტორიული წყაროებიდან ამოუკრებია).

ეს კი მისი პირადი ჩანაწერებია:

- სულიერი სილამაზე განძია, ხორციელი – მშვენიერება, ერთმანეთთან შერწყმული კი ღვთაებრივი ჰარმონიაა.
- ის კი არ არის ბედნიერი ვინც სამშობლოში მოკვდა, არამედ ის ვინც სამშობლოსათვის მოკვდა.
- ადამიანს ყველა ფენის საზოგადოებასთან ურთიერ-

ობა ეხმარება უკეთესად შეიცნოს საკუთარი თავი.

● უმეგობრო ადამიანი ეკლესიაა ხატების, მრევლისა და ფრესკების გარეშე.

● მატერიალური სიმდიდრე მხოლოდ მის მქონებელს ახარებს და კვებავს, სულიერი და გონებრივი კი – ყველას.

● შექმენი უკეთესი და სხვისი შემოქმედება მას შემდეგ გააკრიტიკე.

● თუ გულში არ სახლობს სიავე და სიბოროტე, მაშინ თვით სატანაც ვერ გქმნის ბოროტად.

● ჩემი აზრით წმინდა სიყვარულს სამი რამ ძლიერ აქვეითებს, პირველი ღალატია, მეორე ლოგინი და მესამე სიკვდილი.

● ქალი თვალებით ალერსს უფრო ამალღებულად იღებს, ვიდრე ხელებით ალერსს.

● ძვირფასი ქალი ის ნაღვერდალია, რომელიც ნაცრის ნაბადშია გახვეული და რამდენადაც მეტად შეუბერავ სულს ანთების წადილით, იმდენად უფრო გვერება თვალეში, მზერას გიხშობს და დაბრმავებას გიქადის, მაგრამ აენტება რა, მისი ალის სიელვარე დავსილ თვალებსაც მიადგება, მათ ბინდში შეაღწევს, გაგიოთენებს და დაგანახებს რისკენაც ასე ესწრაფვი. მისი სიმცხუნვარე კი მოულოდნელობისგან უკუგაგდებს და შორითცქერას „მოგისჯის“, თუმცაღა ეს რიტუალი არ გასტანს უსაშველოდ დიდ ხანს, უმაღვე მიგიზიდავს ის სითბო თავისკენ მარტობით დამზრალ-გათოშილს, გარსშემოგვევება, სხეულს სასიამო ჟრუანტელით აგილევწავს და მარადიულობას აგაღაღადებს, მარადიულობას ლამაზი ქალისას, სიყვარულისას, ამ თაფლგარეული ტკივილისას და მიწიური ნეტარებისას.

● ახალგაზრდა ადამიანი ამომავალ მნათობს მაგონებს, მოხუცებული კი დასაველეთისკენ გადახრილსა და მინავლულს. თუ კი მკითხავენ, რატომააო ასე? ვეტყვი: ამომავალი მზე ახლადშობილია, ჩვილი და ჯერაც არაფრისმნახველი, რამეთუ მაშრიყით მადრიბამდე გასაველი გზის თავში დგას. ჩამავალმა კი ეს გზა უკვე გაიარა, იხილა ქვეყნის ავ-კარგიანობა, ნექტარიც სვა და სამსალაც, თავისი „მრავალჟამიერი“ გადაიდიდინა და სოფლის ამოკებით თუ სიტკბოებით დაღალულს თვალი ელულება.

# მანია მინდელი

50+



წლებს ვითვლი დროის დამტკნარ თითებზე.

## სამშობლოს

რა უნდა თქვა, დედის გული  
 რა სასწორით უნდა წონო?  
 ძნელი არის წერო მასზე,  
 კვერცხს რომ გიწვავს ხელისგულზე,  
 მისი მადლი, მისი დარდი, მისი ზრუნვა, საპირწონედ –  
 მიდი აბა, შეძელი და ლექსით გააუკვდავურე!  
 შენზეც... როცა მოეინდომე, ხმა ვერ მოვითვინიერე,  
 ვცადე, გულზე მომშვებოდი, ისევ ყელში მიბრუნდები.  
 რაღა დარჩი? – პაწაწინა, მაგრამ მაინც ღვთისმძიერი,  
 შენთან ერთად ვცოტავდებით,  
 ვილევიით და ვიკუნტებით.  
 გატყდა მშვილდი, სულიც ჩატყდა,  
 რა ფასი აქვს ჰიმნის მღერას?!  
 ვიცი, ახლაც ვერ ამოვთქვამ,  
 რა მდალავს და რა მაწვალეხს.  
 ჩემო, ნეტავ მაცოდინა შენი გზა და ბედისწერა,  
 ან ამ დრომის ნაფლეთებით ახლა საით მივწანწალდებთ?  
 და შენც, როგორც მშობელ დედას –  
 მიძნელდება რამე გითხრა,  
 როცა თვალწინ გაფხრეწს კალთას  
 ათასგვარი ნაბუმარი...  
 თან პატარას, თან ამხელას –  
 თუნდ ას ლექსში რომ დაგიტყვს,  
 მე იმ ლექსს და, მე იმ ცრემლს და...  
 იმ პოეტსაც რა ვუთხარი!

მე რა?! მე ჩემი უკვე გაველეწე  
 და საბარძიძე ღვინოც გაწვალდა,  
 დრო როგორ სწრაფად ჩარბის თავქვეზე,  
 გაყალბდა მისი ყველა ქარაგმა.  
 მზე, ნახევარი საუკუნისა,  
 ჩემს წილ სხივს თვალზე შიშხინით მაქრობს,  
 მე ვერ გავიგე ჩემი გულისა,  
 სხვამ რითი ანდა როგორ მიწამლოს?  
 გათხელდა ყველა ძარღვის კედელი,  
 სულ ყველა ცუდი სიზმარი ახდა,  
 ყველა ოცნების დამბადებელი –  
 წარსული, მკვდარი აგდია ახლა.  
 გაცოცხლდა ყველა ზღაპრის ავსული,  
 ცვილის ყოფილა – ჩამოდნა ფრთები,  
 სიზმრის ფერდობით ცამდე ასული  
 გაღვიძებისას მიწაზე ვფრთხები.  
 გამოვქექე ბოლო ფორიაქს,  
 გადმოვირბინე ის ბეწვის ხიდიც,  
 რა მოხდა, თუკი დღეს სხვა როლი აქვს  
 მას, ვისაც ადრე ზეკაცად ვთვლიდი?!  
 მეასედა ვცლი ცრემლის ჭას პეშვით,  
 მეასედ ვთესავ იმედს ყამირში,  
 მაგრამ ვერ ხარობს ქვიან თავქვეში...  
 კვლავ ცრემლის ჭაში მიდევს ბალიში.  
 ფუჭი და მკაცრი – გადის ცხოვრება,  
 ჩემი დავკარგე – სხვის გზაზე ვდგავარ,  
 მთას ვინ დაეძებს? – ფრჩხილისოდენა  
 ბედნიერების მპოვნელიც არ ვარ.  
 იზრდება შვილი, ბერდება დედა...  
 მათ დუმილს, როგორც ლუკმას, ვიზოგავ,  
 სიბერის ჩრდილი ჩემს გაუხედნავ  
 ახალგაზრდობას – ულაყს მბროზგავს.  
 გაბაცდა ყველა მინდვრის ყაყაჩო,  
 ყველა ფიფქს ნაცრის ფერი დაედო,  
 თითქოს ვიდაცამ შუქი ჩააქრო!...  
 არაფერი მაქვს უკვე საერთო  
 მასთან, ვინც მიმზერს სარკის ფსკერიდან,  
 სხვას კი არ, თავსაც ვერ ვუყუჩდები  
 და ფიქრის თევზებს მოგონებებით  
 ამოვსებული აქვთ ლაყუჩები.  
 მაგრამ ჯერ აქ ვარ და ისე ვდელავ,  
 თითქოს სკა ვარ და ფუტკარს ვისევდე,  
 გავლილს კი არა, უკვე დარჩენილ

\* \* \*

მე გადავწყვიტე, ამოვშალო ყველა ლექსიდან:  
როგორც ზედმეტი სიტყვა,  
როგორც ძაგრა – მყესიდან,  
როგორც სიზმრიდან – კოშმარები,  
კაბიდან – ლაქა, გულიდან – შიში,  
ფიქრებიდან – ავი განზრახვა,  
შუქნიშანიდან – შუა, ანუ ლოდინის ფერი,  
ძილიდან – შფოთვის უამური კორიანტელი...  
მე მოვინდომე გადახვევა ყველა წესიდან  
და გადავწყვიტე, ამოვშალო ყველა ლექსიდან  
შენი სახელი...

### ნანაწლის მკვლელი

არ გვქონდა წყალი და არც საგზალი,  
როგორც ზღაპრულ დევს – გამოგეპარეთ,  
მინდვრებს კბილებში ივლებდა ქარი,  
დევნის დღე იყო – უკვე მესამე.  
ლელიანებში, სუროს ტოტებში,  
ჩვენს კვალს და სავალს დევლით ამცდარმა  
მესამე დამე მთვარეს შეჰბლაველე,  
დაგვწყველე მე და ჩემი წაწალი.  
დამე იკრავდა მთვარის წვივსაკრავს,  
როცა ხევიდან წამოგვეწიე,  
შიში აბუქდა, მერე მინამქრდა  
და წამოგვადგა თავზე ხევიშვიე.  
წუთს, ნეტარების, ამბორს ვართმევდით,  
სიყვარულს ღივი ამოეყანა,  
თავს წაგვადექი, შენი ქალამნის  
წვერზე შემოდგა მთელი ქვეყანა.  
ჩემს ალერსს ჯერაც ტანზე იშრობდა  
გახელებული, ნდომით, წაწალი,  
როცა ააჭერ მკერდის ღიობთან  
ჩემი ღალატის ამონათალი.  
ქარმა ათრია წვიმის მანდილი,  
იდექი სველი – წვიმით ტკივილის  
და სიყვარული – ნამუსახდილი,  
მკლავებზე გეწვა მკვდარი ჩვილივით.  
თმებმა თავისით მოძებნეს მკერდი  
სუნთქვაწავგრილი ჩემი წაწალის  
და იმის მერე, ჩემი მანდილით  
მხრებჩამომდნარი დღემდე წანწალებ.  
შეჰყმუი ხეებს უჩემობისა,  
მხეს ჩემი მხერის ხსოვნით იჩრდილავ,  
მე კი, დაგკარგეთ შენც და წაწალიც,  
უვადო ტანჯვით სასომიხდილმა.

დღემდე ახსოვხარ იმ გზებს, იმ მინდვრებს,  
სევდის მღევარი, ნალალატევი.  
ვერ დაგივიწყე... ვერ დაგივიწყე,  
ჩემი წაწალის მკვლელის სახელი.

.....

თმენა, ძაძები, ბნელი კელია...  
წლებს ღრღნიან ხსოვნის ავი აფთრები,  
ფიქრები თავშექცევით წვებიან,  
უვადო ტანჯვის ამონამქრებით.  
მარხვის დუმილით და ხორცის წირვით  
ჩაბნელებული დამაქეს თვალები.  
და ყოველ დამე ჩემს სასჯელს ვიხდი  
ცისკრის ღოცვით და ერთი სანთელით.

### ღეღა!

ერთხელაც, ფურცილიდან სიტყვები  
თებერვალთან შესახვედრად გაიქცევიან,  
როგორც მე, ბავშვობაში,  
შენთან შესახვედრად გამოვრობდი.  
სულგანაბული ჩაგცქეროდი ჯადოსნურ ჩანთაში –  
რა, რა მომიტანე, დედი?  
ისევ იმედი, ისევ სიყვარული,  
ისევ ყვავილები თუ ახალი სამოსი?  
შენმა ხელებმა ყველაზე უკეთ იცოდნენ  
ბავშვური ცრემლის მოწმენდა,  
ნუგეშის სახვევის დადება,  
დაქოქვა ახალი სათამაშოსი.  
შენ რომ ჩიკორი დაატრიალე, ახლაც ტრიალებს, დედა.  
მინდა გავაჩერო, მაგრამ მემინია,  
ვერ ვბედავ ხელის ხლებას.  
გვერდით ოთახში თუ იყავი,  
გამხდარი ტანით სახლი დაგქონდა  
და შენს თვალებში ვიხილებოდი,  
დრო არ გადიოდა, იდგა ბავშვობა.  
აჰა, ფურციელი, ზღაპრიდან  
ხუთკუნჭულა გადმოხატე, სადმე დამახვედრე –  
ახალი ტყუილი მჭირდება,  
რომ გავძლო, გავუძლო ცხოვრებას –  
კარდია საგიჟეთს,  
ისევ ჩამაწვინე სიმშვიდის ლოგინში,  
ამომწვარ თვალებში შენი ხმა ჩამაწვეთე,  
ფიქრი შემიხვიე,  
რომ დრო არ გავიდეს.  
კაბა გაგიხუნა წლების მხემ,  
ხელები გაგილია ღოკვით ზღვამ,  
კანი სევდის წვიმამ დაგილარა,  
ვერ გადავეფარე ცხოვრებას შენსავეთ,  
ვერც გიწამლე და ვერც გამოგიხსენი,



\* \* \*

მე – ასე პატარამ.  
 შენი სიზმარი ჩემი სახლია, სულ იქ მაცხოვრებ, დედი,  
 შენი სიზმრები გაზრდას არ მაცდიან,  
 მარტო სიზმრის გარეთ გიბერდები.  
 ცეკვა გავაგრძელოთ მე და შენ,  
 ჩვენი ცეკვა, ერთ რიტმში, ერთ ტაქტში,  
 იყოს თუნდაც ტანგო,  
 ვიცეკვოთ იმ, ხელმოტეხილი თოჯინებივით,  
 შენს სამახსოვროდ,  
 ჩემს უკაცრიელ სხვენში დრომ რომ შემოაწყო.  
 ერთ ღამეში შეკერილი კაბა ხარ, დედი,  
 საწოლთან, ტუმბოზე, ურჩხულების გამდევნი სანათის  
 სუსტი სინათლე ხარ,  
 ხიჭვებისა და სარძევე კბილების ფერია.  
 ტკივილების მეხამრიდო,  
 საჩემო ფიქრებით ტანდამწვარო,  
 ერთხელაც მეცეკვე, ეს ტანგო არ არის,  
 ეს ცხოვრებაა და ჩვენია..  
 შეილთან შენს დედობას ვიმეორებ,  
 შენსავით ვერ გამოძდის, არადა, მწადა.  
 ეს ლექსი არ არის, რითმაში ვერ გამწვდევ,  
 აქედან სიტყვები გარბიან.  
 საიდან მოგქონდა ამდენი ცა და ამდენი გაზაფხული?  
 ახლა სად წაიღე ის სინათლე,  
 რატომ ვეღარაფერს ვხედავ?  
 ვიცეკვოთ, მუსიკა სანამ დაილევა,  
 ტყუილად გეშინია,  
 ნუ ხარ დაზაფხული,  
 ეს მხოლოდ დარდია,  
 თმასავით გრძელი მაქვს  
 და შენი თითებით – სანთლების სავარცხლით,  
 დარდი დამივარცხნე, დედა!  
 სიტყვებს ფურცლიდან არ გაუშვებ, ვერ გაიქცევიან,  
 კალამს შევუყუდებ შენს სიბერეს, დაეგრდენი.  
 სულ ცოტაც მადროვე,  
 მე მალე მოვირბენ შენს უქვო ნაპირთან,  
 შენს მხეზე დავაწვენ ურუჯო ღღეებს  
 მომავალ ტანგომდე.  
 მერე მეც ამოვალ,  
 გვერდით მოგიწევი შენ – ჩემს მხეს –  
 შენდობის, სიბრძნის და დანდობის...  
 ყველა ცრემლს, რაც ღღემდე გიმაღე,  
 ზღვასავით გაგიშლი სხივებქვეშ,  
 შენი ხელებისთვის ამოვხეთქავ.  
 ეს რამ მოგაფიქრა?  
 არ გაბედო, გოგო! ნუ, არ დამიბერდე,  
 დედა!...  
 ხედავ? – ეს სიტყვები  
 ქაღალდის ფურცლიდან  
 შენთან შესახვედრად გამორბიან...

სხვანაირი რომ ყოფილიყო ის ღღე, მარიამ...  
 ვინ განარჩევდა ცისქვეშეთში უფლისგან – შენ შეილს?!  
 ღვთის შობის ხვედრი გერგო წილად, ნეტარ არიან –  
 შენი წილით გამოკვებე ცოდვილთა ღმერთი.  
 გაივლის ბევრი საუკუნე, შენ კი, ახლიდან  
 დაგმეხავს ელდა და დედობის ტანჯვით ევნები,  
 რადგან ცოდვებით გაბასრებულ სამსჭვალებისგან  
 ვერ დაიფარავს შეილის სხეულს შენი ხელები.  
 სხვანაირი რომ ყოფილიყო ის ღღე, მარიამ...

**მინდორში**

თიბათვის ბალახს ენოსავს ჰაერი,  
 განთიადს აფრთხობს მზის ზანზალაკი,  
 ბაღბების ჩრდილში ზეცის ნაჭერი  
 მოსჩანს ცისფერი ჭრილობასავით.  
 მე ახლა, ქვეყნის დასალიერზე,  
 მინდორის ყვავილის მტკვრით მსუბუქს,  
 თაეს დამტრიალებს შენი სახელი,  
 როგორც ფუტკარი და არ წვევტს ზუზუნს.  
 ჩემს მოგონებებს – ყვავილის ფურცლებს,  
 მწვევტს ჩუმი სიო და ხევში მიაქვს.  
 სუსტი ღერო აქვს (ქარსაც ვერ უძლებს)  
 იმედს, ბაიას ტანივით ჩიას.  
 მიწაზე, მიწით ყელამდე სავსეს,  
 მიწავე მახვევს დუმილის ხავსში.  
 როგორც მე – თვალებს, მიწაც ვერ ახელს  
 ღიღილოს კოკრებს. ჩვენ უკვე გაცვლით  
 ჩვენი სიმართლის მოლურჯო კონცხებს,  
 როცა ერთმანეთს გამოვერიდეთ.  
 რადგან პასუხსაც არავინ მოგვთხოვს  
 დასასრულისთვის, მე ვწვავ ჩემითვე  
 მოგონებების ოქროს ბულულებს.  
 როგორც მითიურ ყვავილთა თესლებს,  
 მიწას ვანდობ და მასვე ვუბრუნებ  
 რაც ვერ შევძელით, რასაც ვერ შევძლებთ.  
 ყველა უშობელ ტკივილს, განძივით,  
 დასალიერზე ქვეყნისა – ვმარხავ  
 აქ, ამ მინდორზე, ცამდე აწვდილი  
 რომ ღვას ცხოვრება, სადაც შენ არ ხარ.

**ფერისწვალება**

გულო, აკვანივით დარწეულო,  
 იმ მთის სამანიდან გადმომხედე.  
 სულით – ფერმეცვლილით, სინანულის  
 ნიღბით ვერდაცული გამოხედვით:

რწმენა – მალაქიტის, თმენა – მარჯნის,  
 სევდა – ოპალისფრად შეაფერე,  
 შენი დაბზარული ოცნებები  
 ლაზურიტის ფერით შეაწებე.  
 მიწის ხუნდებიდან გამოხსნილი,  
 ცასთან შეერთების წვალეობითაც –  
 ახალ ცისარტყელად აფერადე  
 არსი შენი ფერისცვალებისა.

**ღამევ**

შავო დედაბერო, ღამევ,  
 გაშოტილო ქარაფებით,  
 ღინჭილებ ცის ახოს შაჰქნევ,  
 წევხარ კენტად, დაღონებით.  
 ვარსკვლავთ ბლუჯეულით შაჰბლევრ  
 მთვარეს – ქმრის მოსვლამდე გატკბოს,  
 მჭკნარი ყელი დაიფარე  
 ქარის აბრეშუმით, ქალო.

ნაჭრელებს აქსოვე ოქროც,  
 სისხლისფერი სირმა-ძაფიც,  
 ლურჯად აგვირისტე ორხო  
 ნალამევ მდინარის ქაფით.  
 ღინჭილების წკარუნს ანდე –  
 შუქი გაძებნინოს ქმრისა,  
 ღამევ, მალე გადიკარგე –  
 კუპრო ტანო დედაბრისა.  
 ღრუბლის დორბლში ამოლესე,  
 თავთუხს რო მოგიტანს ქარი.  
 ცხერის ფარად გადენავ ლექსებ,  
 ხეცს ამოხვალ ცოცხალ-მკვდარი,  
 სანამდე მე აქა გლექსე,  
 დღე დაგბრუნებია – ქმარი.  
 ცისად მხოლოდ წამით ხვდებით,  
 ქმრის წინ წამით დალაღს იშლი,  
 ერთი ტრფიალ-ჩაკონებით  
 ჩნდება თქვენი შვილი – ნისლი.



**ლანა მანველი**

**ორწილები მეტყვიანობით**

სტრასბურგში გაზაფხულია. წვიმისგან დასველებულ აივანზე, სამზარეულოდან გატანილ სამფეხა სკამზე ვზივარ, სიგარეტს ვეწევი და ვფიქრობ. ვფიქრობ ყველაფერზე და თანაც არაფერზე. ზოგჯერ ფიქრიც იღლება შენით

და სადღაც ქრება. ცის კიდეზე ვრუდ გაიელვა. შემაფრთოლა. არ ვიცი ეს სიცივის ბრალია თუ ნერვების. დღეს პირველი მაისია. ელზასში ცივა. ბოლო დროს ბევრს ვეწევი. ისევე ბევრს, როგორც ერთ დროს მამაჩემი ეწეოდა. უკვე ბევრი წელია, რაც მამა იმ ქვეყნად წავიდა. მაშინ სამოცდახუთის იყო. ახლა? – არ მინდა წლების გამოთვლა. დრო მიდის და სევდის მეტს არაფერს ტოვებს. ზურგი მტკივა. ვცდილობ წელში გავიმართო. ესეც აღარ გამომდის. მეორე სიგარეტის ნამწვიც ჩავაქრე და მოპირდაპირე მხარეს მდებარე ტბას გაეხედე. მშვიდი და მოწყენილია ისიც. შვიდი წელია საქართველოში არ ვყოფილვარ. პასპორტში, აკრძალულ ქვეყნად მაქვს მონიშნული ჩემი სამშობლო. მობილურ ტელეფონში ამინდის პროგნოზის აპლიკაცია მოვძებნე. ახლა თურმე თბილისშიც ცივა. მე კი სულ შხის სხივებით და იასამნების სურნელით გამთბარი ქუჩები მეღანდება...

აივნის შორეულ კუთხეში, სახელდახელოდ გაკეთებულ ბუდეში, ორი თეთრი კვერცხი დევს. ერთი დია, მეორე მომცრო. ჩვენს უბანში უამრავი მტრედია. არ მიყვარს აივანს რომ მისვრიან. რამდენჯერმე გადავყარე მათ მიერ მოზიდული პატარა ტოტები. ბოლოს, პირდაპირ ფილებზე ორი კვერცხი რომ ვნახე დადებულნი, გული მომიღბა, რბილი ნაჭერი მოვძებნე და იქვე ახლოს დავაფინე.

ღეღა მტრედი წედან ჩემს დანახვაზე რომ გაფრინდა, ისევე მოფრინდა და აქვე, შორიანხლოს ტრიალებს.

სევდა შემომავწა. ჩემი სამი „ბარტყიდან“ არცერთი არ არის ჩემთან. ერთს უკვე საკუთარი ბუდე აქვს. მეორე იმზადებს. მესამე, საკუთარი თავის შეცნობას ცდილობს...

მზემ გამონათა და მალევე გაქრა. ისევ მამაჩემზე ვფიქრობ. მისი სიკვდილის დღე მახსენდება. მიუხედავად იმისა, რომ მამის გვერდით არ გავიზარდე, იმ დღეს ჩემშიც მოკვდა რაღაც, უზომოდ მშობლიური.

პორიზონტს გავცქერო. ტკივილებით სახსე ცხოვრებამ, ყველა ჩემი ოცნება გაცხრილა, თანდათან გააუფერულა და გააქრო. მხოლოდ ისინი დამიტოვა, რაზეც მამაჩემიც ოცნებობდა და რომლებიც, წლების წინ მხოლოდ მისი მეგონა. ხმამაღლა გაჟღერებულები და შემთხვევით მოსმენილები. თანდათან მეც იგივე ნატვრები დამჩემდა. ბავშვურები და სხვებისთვის იქნებ არასერიოზულებიც.

მე მიყვარან მამაჩემის აუხდენელი ოცნებები.

მზემ ისევ გამონათა. გამქვამა...

### ქალენი, მეზობლის აივანზე

ჟანას ღამის რაღაც მონაკვეთში, ღრმად და უგონოდ ჩაეძინა. ამ იშვიათ ძილს, კანაბისის იმ წვეთებს უმაღლოდა, უძილობით გაწამებულს, წინა დღისით რომ გამოუწერა მისი სოფლის ექიმმა, მუსიო ტიერ მარგერონმა. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ბოლო დროს მას უძილობაც აწუხებდა. ღამ-ღამობით, გონებაში უამრავი ფიქრი თუ მოგონება უტრიალებდა და მოღუწებაში ხელს უშლიდა. თუკი მოხდებოდა და ბევრი წრიალის შემდეგ შემთხვევით ჩაეძინებოდა, კომპარებით გატანჯულს მალევე ეღვიძებოდა და იმ ღამესაც თეთრად ათენებდა.

გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა. ძველებური ღამის სანათური აანთო და შიშველი ფეხები საწოლიდან ნელ – ნელა გადმოაღაგა. თითის წვერებით წენგოსფერ, ალაგ – ალაგ გახუნებულ ფარდას ეხებოდა და ჩუმად სუნთქავდა. ერთხანს ასე იჯდა, თვალდახუჭული და გარინდებული. ბოლოს, როგორც იქნა, სვენებ – სვენებით წამოღდა. თეთრი, დიდი ცისფერი ფოთლებით მოხატული კაბა გადაიცვა და გვერდით ჩაყოლებული ელვა, წვალე – წვალეებით ამოწია. ჭაღარა, მოკლედ შეჭრილ ხვეულ თმაში ფერდაკარგული, დამჭკნარი თითები შეიცურა და ასე გადაივარცხნა. ვიდრე ოთახიდან გავიდოდა, მოგრძო, ოვალურ, იატაკზე დასადგამ ხის ჩარჩოიან სარკეში ნაოჭებით დაღარული სახე უცხოსავით შეათვალიერა და ცალკეად გაიღიმა. დაბერება არც სწყინდა, არც უხაროდა. უძილობა და ის უკურნებელი სენი აწუხებდა, რომელიც ნელ-ნელა უნადგურებდა სხეულს. მისი ერთადერთი ნატვრა: – ტანჯვის გარეშე, საკუთარ ლოგინში სიკვდილი იყო.

ეს სარკე ღედამისის ნაჩუქარი იყო და ჟანაც, მთელი თავისი სიცოცხლის ოთხმოცდახუთი წლის განმავლობაში, ყველაზე მეტად, სწორედ ამ სარკეში იყურებოდა. სარკეში და კიდევ, იმ ფანჯარაში, რომელიც მოპირდაპირე მეზობლის სახლს გადაჰყურებდა. მეზობლებს მხოლოდ

შორიდან იცნობდა. წლების მანძილზე აკვირდებოდა ნაცრისფერ სახლს და მის მობინადრეებს. ნაცრისფერ კედლებს ფერადი გარე განათება ჰქონდა. ოჯახი კაცის, ქალის და პატარა გოგონასგან შედგებოდა. მათ ეზოში არ იდგა არცერთი ხე და არ ჰყვავდნენ ყვავილები. ნაცრისფერ აივანზე გახაფხულობით დიდ ქოთანში ჩარგული წვრილ-წვრილფოთლებიანი ხე ჩნდებოდა. შხის მცხუნვარებით ერთი მხარე სულ გადახუნებული ჰქონდა, მეორე ხასხასა. ქალი ხშირად იჯდა აივანზე ყავის ფინჯნით ან სიგარეტით ხელში და თითებით ნერვიულად აწვალვებსა თმის ბოლოებს. ბავშვი ეზოში თითქმის არ გამოდიოდა.

ერთ დღესაც, ქმარი რომ სახლში არ იყო, ქალმა გოგონა მანქანაში ჩაისვა და სადღაც წაიყვანა. დღეები არ გამოჩენილან. სახლში დაბრუნებულმა კაცმა, ხალი-სიანად დააღაგა სახლი, ეზო და აივანი, საგულდაგულოდ გარეცხა და გარე განათებას ფერები შეუცვალა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ქალი და გოგონა ისევ გამოჩნდნენ. სადილობის დრო იყო. უკან მხოლოდ ქალი გაბრუნდა. გოგონა მამასთან დარჩა.

...მას შემდეგ, ერთმანეთს ცვლიდნენ წელიწადის დროები და იცვლებოდნენ ქალები მეზობლის აივანზე. ყველა სიგარეტით და ყავით ხელში, მოწყენილები და სევდიანები. დიდხანს არავინ რჩებოდა, მხოლოდ რამდენიმე კვირა ან თვე. გოგონა უკვე სტუდენტი იყო. კაცი ისევ ზრუნავდა შვილზე, სახლზე და თავის საქმეებზე.

ქალები კი, იცვლებოდნენ. ლამაზები, უღამაზოები, გემოვნებიანები, უგემოვნოები, სხვადასხვანაირები, მაგრამ ყველანი სევდიანები.

მეზობლის ეზოში მანქანის მოტორის ხმა გაისმა. კაცი და მისი ქალიშვილი სადღაც წავიდნენ.

მორიგი პარტნიორი ქალი კი აივანს შერჩა, კაპიუშონიან მოსაცმელში მობუზული და სიგარეტის კვამლში გახეული.

ჟანამ ქოთნის ყვავილებს წყალი დაუსხა, მერე სარწყავი ძირს დადგა, ორივე ხელის თითებით გულის ფორმა გამოსახა და მეზობლის აივანისკენ გაგზავნა.

### წითელი კვრახები

სახლში სულ ხუთი ცალი ხახვი ჰქონდა. მუქი შინდისფერ-ზამბახისფერები. ხუთივეს გადააცილა კანი და ქვაბში ჩადო. წყალი, მარილი და ძმარი ჩაამატა და ელექტროქურაზე დადგა. დიდად მოხერხებული დიასახლისის ის არ იყო, მაგრამ ყოველ ჯერზე გულით ღებავდა კვერცხებს; თავისებური რწმენით და... რაღაცნაირი სევდით.

სტამბოლში გატარებული შვიდი წელი გაახსენდა. შვიდი გრძელი, ყელზე დამდგარი წელი. სულ რომ უნდოდა და ვერასდროს ვერ ახერხებდა კვერცხების შეღებვას. სამაგიეროდ, ოჯახის წევრებთან ერთად, ყოველ წელს

აღნიშნავდა რამაზან და ყურბან ბაირამებს.

...მაცივარი გამოხსნა. ჯერ სამი კვერცხი გამოიღო. ერთი ცალი თავისთვის, ორი გოგონებისთვის. კვირის ბოლოს, უმცროსი გოგონა, მამამისთან რომ წავა, გავატან და იქ, თავის უფროს დასთან ერთად გატეხავსო. მერე გაახსენდა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როდესაც უკვე ტრადიციად აქცია კვერცხების შეღებვა, მის მუსულმან ქმარს, ყოველთვის მოჰქონდა სახლში პასკა. მაცივრიდან კიდევ ორი კვერცხი გამოიღო. ქვაბს სახურავი მოხდა და მუქ წითელ სითხეში დიდი რუდუნებით, სათითაოდ ჩაალაგა კვერცხები. მერე ხის კოვზით რამდენჯერმე გადაატრიალა და ზედ მიკრული ხახვის ფურცლები მოაცილა.

კარზე ხარი გაისმა.

– დედიკო, როგორ ჩაიარა შენმა დღემ? – შეეკითხა სკოლიდან მოსულ შვილს და ისევ ქვაბს მიუბრუნდა. გოგონამ ხელები დაიბანა. ტანსაცმელი გამოიცვალა და ლოცვისთვის გამზადებულმა, სწრაფად მოუყვა სკოლის ამბები.

– კვერცხებს გიღებავთ! – გაუღიმა, – რომ წახვალ გაგატან და კვირას „საპურზე“ ერთად გატეხეთ.

– კი, გავტეხავთ, მაგრამ ისე, უბრალოდ...

– რატომ ისე, იესო ქრისტე მუსულმანებსაც ხომ სწამთ, – უთხრა და ისევ გაუღიმა.

– ჰო, მაგრამ ისლამში მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი

დღესასწაულია, – უპასუხა შვილმა...

2020 წლის აპრილი გაახსენდა. ისევ ემიგრანტობა და კოვიდპანდემიის დასაწყისი. სახლში გამოკეტვა და შეუცნობელი, შიშით აღსავსე დღეები. მისი ნაბოლარა მაშინ ათი წლის იყო. ის საათობით იჯდა ფანჯარასთან და სივრცეს გაჰყურებდა. გაურკვეველი მომავალი აშინებდა. სკოლიდან ონლაინ გაკვეთილებს უტარებდნენ, მაგრამ ჩაკეტილი სივრცე ბოჭავდა, მის ბავშვურ სულს მარწუხებში აქცევდა და უსასოობაში აგდებდა. ერთ დღეს გამოუცხადა: მე ქრისტიანი ვარ! დედის ჯვრებიდან გიშრის ჯვარი ამოარჩია და „მამაო ჩვენო“ ისწავლა. კარანტინი რომ დასრულდა, ქართულ ეკლესიაში წავიდნენ ნათლობისთვის. მეორე დღეს აზიარეს.

ეკლესია მათი სახლიდან ძალიან შორს იყო. სახლში ხატებთან უკეთ ვლოცულობო, – ამბობდა გოგონა. ქალსაც გონება ეფანტებოდა. მაინც მიდიოდნენ...

ერთ კვირა დღეს დილით, გოგონა ვედარ ადგა. სულ მალე დეპრესია დაეწყო. თავის ოთახიდან აღარ გამოდიოდა და უამრავ ფიქრ შემოხვეულებს დაღლილობისგან გატოკების თავი არ ჰქონდა.

დეპრესიიდან გამოსულმა გოგონამ ჯვარი მოიხსნა. ერთ დღესაც ხატები გამოიტანა თავისი ოთახიდან. მხოლოდ ბიბლია დაიტოვა...

ქალმა, მონარშულ კვერცხებს წყალი გადაავლო, ზეითუნის ზეთით გააპრიალა და შვილს გაუწოდა.



## დალი გაზმიშვილი

### ქურმუხს ნავალო...

გულში ნატვრის ჩიტი თრთოდა,  
დრომ აფრენა არ აცალა,  
სულ ვნატრობდი, სულ მინდოდა,  
ქურმუხს წავალ, ქურმუხს წავალ.  
სამლოცველოს დაღლილ კედლებს  
უფლის სახელს ვაკედრებდი,  
მოვივლიდი მაგ შენს ედემს,  
ტყით ნაფენი ხავერდებით!  
მიწის სუნთქვას მოვისმენდი,  
მაგ შენეულ დარღს და ვარამს,  
მონაწილის დიდი სევდის,  
ინგილოურ იავნანას!  
დედაენის ხმატკბილ ჰანგებს,

უფლის მაღლი რომ იფარავს,  
 ზეცის ქართულ სილაქვარდეს,  
 მის წინ მუხლი მომეყარა!  
 გულში ნატერის ჩიტი თრთოდა,  
 დრომ ახდენა არ აცალა,  
 სულ ვნატრობდი, სულ მინდოდა,  
 ქურმუხს წავალ, ქურმუხს წავალ!

**თუ სიყვარულით არ ხარობს...**

სადღაც საცთური ხარხარებს,  
 ლამის გაჩერდეს მიწა...  
 რაც არ გვიყვარდა, გვიყვარეს,  
 რაც არ გვჯეროდა, ის გვწამს.  
 კიდიდან კიდეს ეხლება  
 თმობა-ართმობის ღველფი  
 და ღედამიწას ეყრება  
 უქმად ჩვინივე ფერფლი.  
 ნუთუ ჯერ კიდევ იმ დღიდან,  
 ქრისტე რომ ჯვარზე აცვეს,  
 მაინც ვერაფერს მივხვდით და  
 მაღლი არ გვეცხო არცერთს?!  
 ნუთუ დაუთვლელ სიკეთეს  
 დღემდე არა ჰყავს მცველი,  
 ნუთუ ჩაბზარულ ქვის კედელს  
 არ ათბობს წვიმის ცრემლი?!  
 არა და, ისე, უბრალოდ,  
 ყველას ერთი ცა გვხურავს,  
 ისევე ჯვარს გესახავ უფალო,  
 შემოქმედი ხარ სრულად.  
 არა და, ისე, უბრალოდ,  
 ხან მზე ბროლდება, ხან წვიმს,  
 ბალახიც ვერ ძლებს უქაროდ,  
 ცა შვიდ ფერს გვინთებს თვალწინ.  
 თვითონ გვასწავლის სამყარო  
 დიდი სიკეთის უნარს,  
 თუ სიყვარულით არ ხარობს,  
 ვერც ღედამიწა ბრუნავს.

**ისევე თვალცრემლიანია...**

ისევე თვალცრემლიანია  
 საზღვრის იქითა მთები,  
 ისევე ორპირი ქარია,  
 მაინც იმედით ვთბები.

რად ვერ იგუებს სამყარო  
 სიკეთით ნაქსოვ ფარჩას,  
 მაგ გულს ვინ უნდა გამყაროს,  
 სუნთქვასავეით რომ დამჩნა  
 სიცოცხლის თასიც იცლება,  
 ცას ვეღარ აღწევს ფრთები,  
 ამინდიც აღარ იცვლება,  
 აწმყოს ვერ ვურიგდები.  
 სოფლები, დაკარგულები,  
 რომ ვეღარ ვუერთგულეთ,  
 ვით ხორბლის ხელეურები,  
 ელოდებიან ხნულებს.  
 ასე ჩვენც ვუცდით ცის გახსნას,  
 ციურ აღმასთა ცვენას,  
 მაგრამ სიყვარულს არ ვაცლით,  
 ერთურთის აღარ გვჯერა!  
 ისევე თვალცრემლიანია  
 საზღვრის იქითა მთები,  
 ისევე ორპირი ქარია,  
 მაინც იმედით ვთბები.

**მოგინატრებ**

მოგონება დაუვიწყარ დღეებს მითბობს,  
 ფიქრის ბილიკს მივყვები და ღამეს ეუთვევ,  
 გაეხსენებ სიხარულში გაფრენილ დროს,  
 შენთან ერთად გატარებულ ღამაზე წუთებს!  
 მზის სხივებში ირწეოდა დიდი სახლი,  
 ნაზ ბილილებს დასტყობოდათ სხივთა ცვენა,  
 გიყურებდი ვაზის ლერწმან ზრუნვით დახრილს,  
 შეუმჩნეველად გამორბოდა ჩემსკენ მხერა!  
 დრო გარბოდა სიხარულით, განა მდურვით,  
 ბედნიერი სათქმელით ხომ არ იღლება...  
 მისმენდი და არ არღვევდი ჩვეულ ღუმილს  
 და მიყვარდა შენი თბილი ჩაღიმება!  
 არაფერი შეედრება ამ სახსოვარს,  
 კიდევ მრავალს ვუფრთხილდები გულში ნატერებს,  
 ის ღამაზე დღეები თუ აღარ მოვა,  
 ამ ღამაზე წუთებიდან მოგინატრებ!

**უფალოს**

უფალო, გეძებ, გაიხლოვდები,  
 შენ თბილ ნათითურს სად აღარ ვხვდები,  
 სულს მიღამაზებს ეგ კესანები,  
 მაღლად რომ შლი და თან ეფერები!

დაგაქვს ნათელი ჩაუქრობელი  
 და სიყვარულის მოგაქვს ზეობა,  
 ზოგიც იუდას ცხოვრობს სახელით,  
 ზოგს აქვს პილატეს მემკვიდრეობა!  
 ყოველ ადღგომას იმედით ვხვდებით,  
 ლაზარეს მხერით თენდება დილა,  
 სიყვარულისგან ვცარიელდებით,  
 ჩვენს გულებში თუ ვერ კპოვე ბინა!  
 ზიარებაა, ისმის გალობა,  
 ასხივებ იმედს და რწმენას ბადებ,  
 უფალო! მოგვეც მოკვდავთ წყალობა,  
 დასაწყისიდან დასასრულამდე!

თებერვალი...

თებერვალი...  
 თებერვალში ზამთრის ცივი ჰანგი ჟღერდა,  
 თებერვალი, – გულში ბზარი,  
 გარდაცვლილი დედის სევდა,  
 თებერვალი...  
 თებერვალში თავდახრილი დგომა დარღთან  
 და ტკივილი, სულ პირველი,  
 ვინც მიყვარდა, აღარ მყავდა!  
 თებერვალი...  
 თებერვალში კვლავ შევიგრძნობ დარღის ნაწვიმს...  
 და პატრონობს დედამიწა,  
 ჩემეული გულის ნაწილს!

\* \* \*

აღარ მორჩა ფოთოლცვენა,  
 ნოემბერიც მთავრდება,  
 რომ შემორჩა ჭადრის მცველად,  
 ფოთლებია თავნება!  
 იფანტება ეზო-ეზო,  
 ნამცივნი და ნათრთოლი,  
 მიზეზით თუ უმიზეზოდ  
 ოქროსფერი ნათოვი.  
 ხეებს ისე ძლიერ უჭირთ  
 თმობა მოსაფერებლის...  
 თუმც სიცოცხლე არის ფუჭი,  
 ტკივილს თუ ვერ ერევი!

კუნელის სევდა

მიტოვებული კუნელის ბუჩქებს  
 სიმწიფის ხიბლი გასდევს ფერებად,  
 დიდი ლოდინი სადარდელს უჩენთ,  
 ბელურაც არ ჩანს მოსაფერებლად.  
 დღეებს სურნელი სდიოდა თაფლის,  
 ის უხარებათ მდუმარე სამყოფს,  
 მზე შემოდგომის სხივებს რომ დახრის,  
 ვილა მოძებნის მათეულ ნაყოფს?!  
 ფიქრო ნათელო, თან უკურნელო,  
 გადაძევეცი ალბათ ხუნდებად,  
 განა მარტო შენ? ჩემო კუნელო,  
 მიწას პატრონი არ უბრუნდება!

ჭადრის ფოთოლის

ეხ, ფოთოლო, ლამაზ ჭადრის,  
 სიცოცხლე რომ გენანება,  
 ცაში ფრენას ვილას აღრი  
 კაბა შრიალს ვერ აჰყვება!  
 ასაფრენ ფრთებს თუკი გაშლი,  
 იგრძნობ ცის ხარ, მარტო ცისა,  
 დღე და დამე მდერით დაშერი,  
 ხსოვნა შეგჩა ზურმუხტისა!  
 სინანულით თავს რატომ ხრი,  
 გაისარჯე ალბათ დიდხანს,  
 თუ სიცოცხლე არის გზა ხსნის,  
 მის გარეშე რაღა გითხრა?!  
 ვიცო, გტკივა იარები,  
 უკეთესი რა გაგანდო,  
 მეც შენსავით ვიარები,  
 მეც ეგ მტკივა, ჩემო კარგო!

სახლი

ვერ გტოვებ მარტო, ვინ გაგიღებს უჩემოდ კარებს,  
 თვალს ვინ შეავლებს შენს კედლებზე ვარსკვლავთა ცვენას,  
 ბაღში მიმოხეხს ნამით ვილა აგამჭვირვალეებს,  
 უსინარულო ამინდებს ხომ დრო ისეც ცელავს!  
 ყველას სახლი აქვს სანუგეშოდ, აღვსებად ნატერის,  
 ფიქალი ფიქალს ამაგრებს და თან ეფერება,  
 რამდენის სახლი გამოკეტეს, ღმერთო! ვინ დათვლის!  
 შენ დაუბრუნე ყველას ჭიშკარს ბედნიერება!

# ამირან გოდერძიშვილი

## ვახტანგური

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“  
ზალზური

ხელის გულის სიფართომდე ხმალი ჰქონდა,  
ფუთიან ხმალს წვერი ჰქონდა წამახული,  
შვიდმეტკავლიანს უწოდებდა თვითონ გორდას,  
ჩვენ დავარქვით – ვახტანგური.

მტერზე მისი მგლურად მისვლა ჰგავდა გრიგალს,  
მტრისთვის მისი სიახლოვე გახდა კრული,  
მტრის გათელვას, მტერზე მისვლას დაურიდალს  
ადრე ერქვა – გადათელვა ვახტანგური.

მგლისთავიან მუხარადით მტერს ზარავდა,  
კუშტად ჰქონდა წარბი წარბზე გადაბმული,  
მისი ხაფი ბრძოლის გნიასს დაჰფარავდა,  
რიხით ბრძოლა, იყო ბრძოლა ვახტანგური.

თავის სპასთან მოილხენდა გოლიათი,  
ყანწით, თასით – ინდურით, თუ ხატაურით,  
ღვინოს სვამდა მეფე, როგორც ტოლი მათი,  
ღხინი იყო ვახტანგური.

ჯიხვიან მკლავს ჩაუწნავდა მკლავში მოძმეს,  
იყო ძმურად სიყვარულში გახსნა გულის,  
დაასწრებდა ღვინის მოცლას, მერე კოცნას,  
ამ სმას ერქვა – ვახტანგური.

მარილს მუშტით წააყრიდა ხარის ბეჭზე,  
ქეიფობდა, იცლებოდა ჩაფიც, ქვევრიც,  
მერე ბეჭის სუფთა ძვალზე ერის სვე-ბედს  
კითხულობდა ჩაფიქრებით.....

თბილის-ქალაქს დღესაც მისი მაღლი მოსავს,  
როს დალოცა, დანათლა უკვდავება  
და უფლის წინ, უფლის ნებით თქმული ლოცვა  
მოსეულ მტერს ახლაც მედგრად უმკლავდება....

...დღეს ყველაფრის გახსენება გახდა რთული,  
დაბოდმილინ ერთურთს ვხვერავეთ ახლა მტრულად,  
ყველაფერი დავივიწყეთ ვახტანგური,  
და ხანდახან ღვინოსლა ვსვამთ ვახტანგურად....



## გავეფრები

რუსთაველის მიმსგავსებულს შენ ვერ დასწერ,  
თუნდ მომართო ღღეში შვიდჯერე ნაზად ქნარი,  
ვერ შეიძლებ, გაუტოლდე, გეტყვი ასჯერ,  
შენც ხომ იცი შენი ტვინის გასაქანი....

არსაკიძე თვითონ ღმერთთან საუბრობდა  
და დიდოსტატს თვით უფალი ჰყავდა შეძწედ,  
სწორუპოვარს ღღემდე ვერვინ გაუტოლდა,  
სვეტიცხოვლის აშენებას შენც ვერ შესძლებ....

ვერც გელათს და ვერც იყალთოს თუ ვერ აგებ  
და ის ვერ ხარ, ვინც მამული ასახელა,  
ვერ აშენებ? გეხვეწები, ნურც დაანგრევ,  
შოთას წიგნსაც ხელს ნუ ახლებ დასახევად.

ბედმა ასე დაგანათლა, რომ ვერ აგებ,  
თუ არ ანგრევ, – ესეც ღიდი საქმე არი,  
მე ვიქნები შენი „ღვაწლის მოამაგე“,  
მე ვიქნები შენი ნაღდი მაქებარი.

ოლონდ გულში ნუ გაივლებ მძიმე სასჯელს,  
ჰეროსტატეს ახალ აჩრდილს ნუ ედრები,  
გვეედრები ხელს ნუ ახლებ შოთას ნაწერს,  
სვეტიცხოველს ნუ დაანგრევ, გვეედრები....

კვლევა

ქალი ქარში

(სალალობო)

ეჰ, რა ვუთხრა ქარის მომგონს,  
 ხეებს დაბლა აწვენდა,  
 დასწოლა ქარი გოგოს  
 მუხებთან და ნაძვებთან...  
 ქარისგან და ხეებისგან  
 იღგა ერთი ხორხოცი,  
 ავკაცობა ქარისა და  
 წიოკობა გოგოსი...  
 ვჭკვრეტდი ბრძოლას ლამაზ ქალთან  
 ჩემი გულის გასართობს,  
 გოგო კივილს თან ატანდა  
 დიმილს უმისამართოს....  
 კაბის მეტს და მუხლების მეტს  
 ველარაფერს ხედავდა,  
 ცალი ხელით უბეს იჭერს,  
 ცალი ხელით ქვედატანს.  
 ქარისათვის იყო წამის  
 მირბენა და მორბენა,  
 მორცხვი გოგო ლამის, ლამის  
 გაა-დედი-შობილა....  
 ქარი ქალთან უხეშობდა,  
 წინ და უკან ურბენდა,  
 დღაბუცობდა მუხლებში და  
 ფათურობდა უბესთან.  
 კაბას ხდიდა მუხლებიდან  
 მუხლებშუა ჩაკეცილს,  
 ხარხარებდნენ მუხები და

კისკისებდნენ ნაძვები.  
 თმის სამაგრი, წიგნი, ჩანთა  
 აქეთ-იქით ეყარა,  
 რაც ქარმა ქნა –  
 მე რომ მექნა,  
 შემიყრიდა ქვეყანას.

მაგრამ მაინც ვეძებთ

დავიწყებულ სიყმაწვილეს ვეძებთ  
 მინდორ-მინდორ, ეზო-ეზო, გზა-გზა,  
 ვხეტილობთ მონატრებულ გზებზე –  
 ვატყობთ მართლა აგვრევია თავგზა....

ნეტავ, სადმე მაპოვნინა ისევ  
 კაუჩუკის გაჩორკინილი ბურთი,  
 სადღა არის ძველი სიხალისე  
 და ტუჩები მოთხუპნული თუთით....

წლები გადის და დღეს უკვე ვხვდებით  
 და მუდმივი ტკივილებით გვაკვსებს,  
 დაფანტულა მშობლიური ხმები –  
 დაკარგულა ყრმობის სილამაზე.

ასეთია წესი წუთისოფლის,  
 ვატყობთ უკვე უწარსულოდ ვერ ვძლებთ  
 და ჩვენს თმებზე მოფერებას მშობლის –  
 ვერ ვიპოვით, მაგრამ მაინც ვეძებთ...



ეხატარინა  
 ფავლენიშვილი

ნახევარსაფლავა

გვიანი შემოდგომის ქუფრი დღე იღგა. თეონა ბები-  
 ის საფლავზე წაიყვანა ელენემ. წლინახევრის გოგონას  
 ახალი წითელი პალტო ეცვა, დედამ რომ შეუკერა ორი  
 დღის წინ, წარბებამდე ჩამოფხატული ნაქსოვი ქულის  
 ზონრები ნიკაპის ქვეშ ჰქონდა გადანასკვული და ხე-  
 ლისგულისოდენა ლამაზი სახე უჩანდა. შავი მრგვალი  
 თვალებით წარამარა პალტოზე დაიცქირებოდა და სიხ-  
 არულით ადარ იყო. რუხი ღრუბლები მორევივით ტრი-  
 ალებდნენ და ერთმანეთს გულ-მუცელში იხვევდნენ. შხის



თითო-ოროლა სხივი წინდისჩხირით ეყრებოდა ღრუბლების გორგალს. მალე სხივის გასაყრელი ადგილიც ამოიღრუბლა. სასაფლაოს ციცაბო აღმართზე დედამ ხელში აიყვანა გოგო და ნელი ნაბიჯით აუყვა გორს.

დედოფლისწუაროში ერთადერთი სასაფლაო იყო, რომელიც განაპირა მხარის შემადღებული ადგილიდან გადმოსცქეროდა ქალაქს. თავად სასაფლაოს კი განაპირა მხარეს კირქვების გორაკი ჰქონდა მობჯენილი. ჩქარობდა ელენე, ამინდი ირეოდა და დროულად უნდოდა სახლში დაბრუნება. დედამთილის დაბადების დღე იყო. ამ დღეს პირველად ხვდებოდა საიქიოში თეონას ბებიას. ქალს სული ელეოდა ერთადერთი შვილიშვილისთვის. ამის დაქალებას მომასწრო და მერე მოქალაო, – ამბობდა ხოლმე, მაგრამ დაქალებას კი არა, მის გოგობასაც აღარ მოასწრო დღემოკლე წუთისოფელმა. დილით ამინდმა გუნება გაუფუჭა ელენეს, მაგრამ სინდისმა არ უქნა, ბავშვი საფლავზე არ წაეყვანა. ამინდი უფრო და უფრო უარესდებოდა. სიცვიე მარწუხივით ეჭირებოდა ნახევრად გათენებულ უძხეო დღეს. თოვლის სუნი მცემსო, – მისალმებისთანავე გამოსძახა იმ დილით მარიამმა, კარის მეზობელმა. მარიამი, შუახანს კარგად გადაცილებული ქალი, სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. უცნაური აღლო ჰქონდა მას – თოვლის სუნს იკრავდა წინასწარ. კაციშვილი ვერ ხვდებოდა, რა სუნი უნდა ჰქონოდა სათოვლედ გამზადებულ ჰაერს, მაგრამ მარიამმა და მისმა ღმერთმა იცოდნენ. ელენეს დედამთილისგან გაეგონა, მე და ეგ ქალი ერთად დაკებრდით და ჯერ არ მახსოვს, თოვლის გუმანში შემცდარიფოსო. ელენემაც უპირობოდ დაიჯერა, რომ იმ დღეს გათოვდებოდა. აღმართიც მალე მოთავდა. მოვაკებულზე ელენემ ნაბიჯი ააჩქარა და სასაფლაოს ჭიშკარი შეხსნა. დედამთილის საფლავთან მისულ ქალს საოცარი სურათი დახვდა. გვერდით მიწის პატარა ნაგლეჯი ამობურცულიყო. ვერხვის ყვითელი ფოთლები საბანივით ეფარა ზედ. თავთან დატანებულ რკინის ჯვარს წარწერა არ ჰქონდა. ვერაფერი გაარკვია ელენემ გარდა იმისა, რომ ბავშვის საფლავი იყო, საფლავი კი არა – ნახევარსაფლავა. დიდხანს იდგა ქალი ჩაფიქრებული და კრიჭამეკრული, მერე კი გონს მოვიდა და ფოთლების გადახვეტა დაიწყო, საფლავს ასუფთავებდა. თეონამ ცოტა ხანს უყურა დედას და პატარა თითებით თვითონაც ფოთლებს წაეპოტინა. უკვე გამართულად დადიოდა, მაგრამ ბორცვის ზედა ნაწილისკენ რომ წაიწია, წინ წავარდა და გაშლილი ხელებით საფლავს ნახატივით მიეფინა. ელენემ გადაასუფთავა მიწა და ხელი გადაუსვა საფლავს, გადაასწორა, მოეფერა, ერთი ხელის გადასმით გადასწვდა თავიდან ფეხებამდე. ცოტა ხანს უყურა და გუნება უარესად წაუხდა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ფოთლების მყუდრო საბანი გადახადა პატარას.

ნახევარსაფლავა საფლავის ლოღივით დაედო ელენეს გულზე.

თოვა იწყებოდა, ღრუბლებს ახედა. რამდენიმე ფან-

ტელი სახეზე დაეცა და აღმოდებული გული გაუგრილა. ბავშვი ხელში აიყვანა და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა გასასვლელ ბილიკს. ჯერ ისევე თითო-ოროლა გზააბნეული ფანტელი მოფარფატებდა ციდან. მიიჩქაროდა, მაგრამ გული არ მიჰყვებოდა. როგორ გადახადა ფოთლების საბანი ბავშვს, როგორ მოუშიშვლა მიწა ფიფქებს, რაღა დაიცავს ნახევარსაფლავას, ხომ შეუციებს თოვლი პატარა გულისპირს?! თეონას წითელ პალტოს რამდენიმე ფიფქი დაეცა. ნაბიჯი გაუჯიქდა ელენეს, აღარ წაიწია წინ. მიტრიალდა და ისევე საფლავისკენ გაიქცა. იქვე დაგროვილი ვერხვის რბილი ფოთლები მუჭვებით წამოკრიფა და ისევე მიწას დააფინა, გადაასწორა, გადაანაწილა, ჯვარი გადასახა, ნესტიანი მუხლები ჩაიბერტყა, ბავშვი გულზე მიიხუტა და სირბილით წავიდა სახლისკენ...

\*\*\*

თეონა ორივე მხრიდან პირველი შვილიშვილი იყო. უკვე ტიტინს იწყებდა, ბებიები და პაპები სიყვარულით შესციცინებდნენ, როდის წამოისროდა თავისებურად მოთარგმნილ ახალ სიტყვას. გოგონა პატარა ლექსებს იოლად იმახსოვრებდა. მართალია, მხოლოდ ოჯახის წევრები იგებდნენ მის ნათქვამს, მაგრამ ლექსის დამთავრებისას გაუგებარ სიტყვებს ისეთ სახეიმო ინტონაციას აძლევდა, თან ორივე პატარა ხელს ისე გადმოშლიდა ხოლმე, ყველა ხვდებოდა, საქმე ლექსთან რომ ჰქონდათ და უშურველად უკრავდნენ ტაშს.

ნაადგომევეს ელენემ სასაფლაოზე სანთლები, წითელი კვერცხები, პასკა და ღვინო წაიღო. თეონა საქმიანი ნაბიჯით მისდევდა დედას, ცალი ხელით კაბის კალთაზე ებლაუჭებოდა, მეორით კი ჩიტიის ბუღისხელა კალათით ორი წითელი კვერცხი მიჰქონდა.

ელენემ შორიდანვე გაიგონა ქალის უცხო, ბოხი ხმა, თითქოს გამოქვაბულიდან რომ ისმოდა და მოჩლექილი რუსულით ეფერებოდა ნახევარსაფლავს. მუხლები მოუდუნდა, ნაბიჯი თავისთავად შეუნელდა და ფეხები ძლივს მიათრია ადგილამდე. ზორბა ტანის თოვლივით თეთრი ქალი პირდაპირ ცხვირით ჩამხობილიყო მიწაში და მოთქვამდა:

– Доченька моя, Оленька, радость мамина, как ты спишь здесь одна-одинешенька, дитятко?!...\*

ელენემ მხრებზე ნახად მოხვია ქალს ხელი და წამოაყენა. ზორბა ქალს დუსია რქმევია. მისი ქმარი, საბჭოთა ჯარის ოფიცერი, უკრაინიდან დედოფლისწუაროს სამხედრო „გარადოკში“ ცოლ-შვილთან ერთად მივლინებით ჩამოსულა. წლინახევრის გოგონა წითელათი გარდაცვლილა, ზუსტად თეონას ხნისა.

– Помню, бывало проснется она среди ночи, или сон дурной привиделся или спугнуло ее что, как начнет плакать, громко, испуганно... сразу и окликну ее: что ты, доча, милая, тихо, тихо, Оленька, мама рядом, не плачь, родимая...и успокаивалась моя деточка и продолжала сон свой... а сейчас...кто же ее успокоит,

кто убаюкает в земле сырой, дитяtko мое родное, кровинушка моя ненаглядная?! Нет маминой душе покоя,\*\* – მოთქვამდა ქალი და თან ღმერთს ებოძებოდა, – მაპატიე, აღდგომას რომ ვეტირებო. ტიროდა ელენეც. თეონას ცრემლების დანახვანე ქვედა ტუჩი დაებრცა და ორივე ხელი დედას ასაყვანად გაუწოდა. ელენემ ისე მიიხუტა შვილი, თითქოს სიკვდილი სტაცებდა ხელიდან. ოლინკას პატარა საფლაკთან მდგომი ვერხვი, შემოდგომის ბოლო ფოთლები პატარა ახალმობინადრეს ყვითელ საბნად რომ წააფარა, გათოშილი ზამთრის შემდეგ ახლად იფოთლებოდა და ძილისპირულის პირველ ნოტებს გაუბედავად იღებდა. შებინდებულზე მისი ფოთლების იაენანით იძინებდნენ ოლინკაც და მის უბეში შეყუყული ჩიტებიც. გამთენიას კი, ჯერ დილის სიო არ იყო დაძრული, რომ ჩიტუნები ძუძუთა ბალებივით ჟივჯივით აღვიძებდნენ დედობილს და დილის ძილს არ ანებებდნენ. ოლინკას ახალ სამყოფელში პირველი გაზაფხული ძალას იკრებდა.

\*\*\*

ოლინკას ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. როზროხა ქალს პაპიროსისაგან ჩახლენილი ხმა ტირილმა უფრო ჩაუხლია. გულიანად აღარ იცინოდა. დუსია ქმართან ერთად სამხედრო „გარადოკში“, ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე ცხოვრობდა. კაცი სულ სამსახურში იყო, ხშირად ღამეც უწევდა მორიგეობა. დუსია მეტწილად მარტო იყო დაბალჭერიან ოთახში, რომელსაც ფანჯარაზე მობჯენილი ჭადრის ტოტები კიდევ უფრო აბნელებდა, ჟანგისფერ კატას ოლინკაზე ელაპარაკებოდა, თან ცალი ხელით ეფერებოდა, მეორე ხელით კი ბავშვის ცარიელ „ლულკას“ არწევდა, რომელიც „გარადოკის“ მეზობელმა აჩუქა გოგოსთვის. ბედნიერი „ლულკა“, ჩემი ყველა შვილი და ყველა შვილიშვილი ამაში გაზზარდო, – უთხრა მოხუცმა, როცა სარდაფიდან აბლაბუდებში გაბლანდული ორნამენტებიანი ნაწილები გამოაღაგა. დუსიას აბლაბუდების დანახვანე გუნება წაუხდა. მოხუცს ვედარაფერი უთხრა, თორემ გაიფიქრა, გოგოს ამაში როგორ ჩავაწვენო, მაგრამ სახლში რომ მიიტანა, გაწმინდა, გარეცხა და ააწყო, არც ისეთი ურიგო აღმოჩნდა. ქმარმა შეღება და დუსია მართლაც ბედნიერ განწყობაზე დააყენა მისმა შეხედვამ. ფისო თვალებს ნაბავდა და კრუტუნებდა. „ლულკა“ ყველა გაქანებაზე ჭრიალებდა. ოლინკას ეს ხმა ნანასავით ესმოდა ხოლმე და დედა გრძნობდა, რომ გოგონას კიდევ სიამოვნებდა, ამიტომ, როცა მამამ მისი გაზეთვა მოისურვა, ქალმა კატეგორიულად იუარა, – ოლინკა აღარც დაიძინებო. მამას „ლულკის“ ჭრიალი მანამ აღიზიანებდა, სანამ ეგონა, რომ ბავშვს აწუხებდა. როგორც კი გაიგო, რომ ეს ხმა ოლინკას საყვარელი ძილისპირული იყო, თავადაც გაიძილისპირულა. იჯდა დუსია საღამოობით, მარცხენა ხელის ორი თითით ანთებული პაპიროსი ეჭირა, დანარჩენი სამით კალთაში თვალმინაბულ ფისოს ეფერებოდა, მარჯვენათი კი ცარი-

ელ „ლულკას“ აჭრიალებდა, ცრემლებს აღვარღვარებდა და ჩუმი ბუტბუტებდა, – *доченька моя, как ты спишь там одна-одинешенька, дитяtko?!...\**

\*\*\*

რაც დედოფლისწყაროში ჩამოვიდა, მას შემდეგ დუსიას სულ საშობლოსკენ მიეჩქარებოდა, თვალწინ სულ მშობლიური სოფლის ღობეები და ჭები ედგა. სიხმარშიც ხშირად ხედავდა, რომ მეზობლის ხის ლამაზი სახლის აივანზე იჯდა მრგვალ მაგიდასთან და სამოვრიდან ჩაის ისხამდა, მერე კი გოგოები პაპიროსს აბოლებდნენ და ხმამაღლა როზროხებდნენ. მაგრამ ეს აღრე იყო. ახლა კი, როცა ოლინკა აქაური მიწის არტახებში სამუდამოდ ჰყავდა ჩაკრული, უკრაინაში გული აღარ მისწევდა. არადა, მის ჯიბრზე დროც ახლა აჩქარდა, იწურებოდა მივლინების ვადა, მოდიოდა სამუდამო განშორების დრო და სიკვდილზე მძიმე იყო ეს განცდა.

ოლინკას მშობლებს ბევრი არც რამე ებადათ და რაც ებადათ, იმისი წაღების სურვილიც გაუქრათ. ყველაზე ძვირფასსა და შეუცვლელს სამუდამოდ ტოვებდნენ და რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რაც წასაღებად შეეხარებოდათ. გადაწყვიტეს, მხოლოდ ოლინკას სათამაშოები და ტანსაცმელი წაეღოთ, დანარჩენი ყველაფერი დაეტოვებინათ. „ლულკამ“ გაუჩინათ საფიქრალი. არც დასატოვებლად ემეტებოდათ და არც წაღება იყო იოლი. მამა სამხედრო დავალების შესრულებისას რამდენჯერმე ისე გაირინდა, სულ არ ახსოვდა, სად იყო და რისთვის. მის მდგომარეობას ნაწილში თანაგრძნობით ეკიდებოდნენ, თორემ სამხედრო ტრიბუნალი არ ასცდებოდა. ერთ საღამოსაც სამორიგეოში ძეგლივით გაშეშებული კაცი ოლინკას საფლაკზე ფიქრობდა. რამდენიმე დღეში უნდა წასულიყვნენ. უცებ ისე უცნაურად გაუნათდა გონება, თითქოს ვიღაცამ რაღაც უკარნახა. აქეთ-იქით მიმოიხედა. აშკარად მარტო იყო. მეორე დღისთვის სამსახურიდან გათავისუფლება ითხოვა. სახლში მისვლისთანავე „ლულკა“ დაშალა, ნაწილები ერთმანეთზე დააწყო და შეკრა. მეორე დღით შეკვრა მხარზე გაიღო და ცოლთან ერთად სასაფლაოზე წავიდა.

ოლინკას საფლაკი როგორღაც გამოცოცხლებულიყო, ტიტები ყვაოდა, ვერხვს ფოთლები დასრულებოდა, ჩიტების ჟივჯივი ახმიანებდა გარემოს, გაზაფხულის ნიავეს იასამნის გამაბრუებელი სუნი მოჰქონდა. საფლაკზე ყაყაჩოს ღეროთი შეკრული რამდენიმე ყაყაჩო დაელო ვიდაცას. წითელი ფოთლები ნიავეს აქა-იქა მოებნია, მარტო შავი გულებიდა იყო ღეროებზე და მაინც ულამაზესი იყო ეს თაიგული. დუსიამ ყვავილების განძარცული კონა ორი თითით აიღო და საგონებელში ჩავარდა, ვის უნდა მიეტანა ოლინკასთვის ყვავილები?! რამდენიმე წამს აზრი არსაით წასვლია, მერე კი ელენეს დედაძილის საფლაკს გადახედა. იქაც ზუსტად ასეთივე განძარცული სიფრიფანა კონა იღო.

დედიკომ და მამიკომ ოლინკას საოცარი საფლავი მოუწყვეს, „ლულკის“ გვერდები საფლავის სიგრძეზე ჩაარჭვეს მიწაში, თავი და ბოლო კი თავსა და ბოლოში. ოლინკას „ლულკა“ ახლა საფლავზე იდგა, მხოლოდ ფეხები აღარ ჰქონდა და აღარ ირწეოდა, შიგ კი ისევ ოლინკა იწვა. ასეთი პატარა საფლავი მთელ სასაფლაოზე არ იყო. რამდენიმე ბავშვი იყო დაკრძალული, მაგრამ მათი საფლავები დიდების საფლავების ზომისა იყო, ისინი თავისიანებთან ერთად იყვნენ შეყუჟულნი საფლავის გისოსებში. ოლინკას კი საქართველოში არავინ ჰყავდა, რომ ვინმეს მიხუტებოდა, მართო იყო თავის „ლულკაში“, ამიტომ მისი საფლავი მისი ზომისა იყო. „ლულკის“ გვერდები ლამაზი, ნატიფი ორნამენტებით იყო გაფორმებული. გოგონას მოსწონდა ეს ხვეულები და დაძინებამდე პატარა ხელებს აპოტინებდა ხოლმე. ერთი ხვეული ჰქონდა აჩემებული, რომელსაც პატარა თითები მოხერხებულად ეკიდებოდა. გვერდით გადაბრუნებული ოლინკა ამ ხვეულს ჩააფრინებოდა ხოლმე და მასთან ერთად ქანობდა. უკვე ძილგანშირებულს დედა ნაზად გააშვებინებდა ხოლმე მოღუნებულ თითებს. ახლა ღუსია იმ ხვეულს ჩაფრინოდა და ჭირვეული ბავშვივით უსიტყვოდ ზღუქუნებდა. ბინდებოდა. ქმარმა ძლივს წამოაყენა ქალი და, როცა შეიღისკენ კისერმიღრეცილი, როგორც იქნა, სასაფლაოს ჭიშკრიდან გაიყვანა, ცაც მიწისფრად მოქცეულიყო. ღუსია სახლამდე მთელი გზა ცას ასცქეროდა და გოგოს ღვთისმშობელს აბარებდა.

\*\*\*

დილის ექვს საათზე დედოფლისწყაროს რკინიგზის სადგურის ბაქანზე გაქვავებულ ღუსიას მხოლოდ ცრემლების დაბა-ღუპი განახლებებდა ძეგლისაგან. გვერდით სამხედრო ზურგჩანთით ქმარი ედგა. ზურგჩანთაში ოლინკას ტანსაცმელი და სათამაშოები ელაგა. იმ დამით არც კი ჩათვლემია არცერთს, არც ერთმანეთს დალაპარაკებია. კაცს პაპიროსი ცვრითა და საჩვენებელი თითით ისე ღონივრად ეჭირა, თითქოს პარაზიტს სრესდა. სიმწრისაგან შეკრული კრიჭის გაღება არ ეწადა, ტუჩის კიდიდან იწურთავდა პაპიროსს და მაგრად ქაჩავდა. უხმოდ ავიდნენ ვაგონში. ღუსია ზურგით დაჯდა, ისე, რომ თბილისამდე პირი ოლინკას საფლავისკენ ჰქონოდა. მატარებელი ნელა მიდიოდა, მიირწეოდა, ფანჯრის ჩარჩოზე თავმიდებული ღუსია მასთან ერთად ირწეოდა. საათები იარეს. ღუსიას ჩათვლიმა. ძილი სახის მიმიკებს ვერ მოერია. ქმარმა ისეთი მოპარული მზერა გადაჰკრა, თითქოს სხვის ცოლს უთვალთვალებდა. კაცმა პირველად ნახა მძინარე ადამიანის ტირილი. ღუსია ტირილით ფშვინავდა და შიგადაშიგ სლუკუნებდა...

\*\*\*

სულთმოფენობას სასაფლაოზე მისულ ელენეს ოლინკა „ლულკაში“ დახვდა. ქალი გაოცდა, გაოგნდა, დადუმდა.

და. ასეთი რამ წარმოსახვაშიც ვერასოდეს გაუელვებდა. ანგარიშშიუცემლად ჩამოჯდა. ამ სურათმა კიდევ უფრო დაუმძიმა გული. გონზე რომ მოვიდა, აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება, იქნებ ღუსია გამოჩნდესო. კარგა ხანს ითრია ფეხი, ხელახლა გადაწმინდა ღვთისმშობლის საფლავის ქვა, მაგრამ ღუსია არსად ჩანდა.

ღრო გადიოდა. ერთხელაც სასაფლაოზე მისულ ელენეს ნახევარსაფლავა აბალახებული დახვდა. გული მოეწურა. მუხლებზე დადგა და სულ ფრჩხილებით ჩიჩქნა ბალახი. დაღონდა, – ამისი მშობლების თავს ფარსაგი არ ჩანსო.

მეორე დღეს ელენე სამხედრო ნაწილში მივიდა და სამორიგეოში მოიკითხა ოჯახი. უთხრეს, მაიორმა გენადი ბოიკომ სამსახურებრივი მივლინება დაასრულა და უკრაინაში დაბრუნდა. ელენე უხმოდ ჩამოჯდა დაბალ ტურნიკეტთან და მძიმე ფიქრებს გაედევნა.

\*\*\*

– დედა მოვიდა, პატარა ქალო, უდევოდ ზომ შეშინდებოდი, ჰოდა, დედა შენთან არის, შენ და თეონას ერთნაირად მოგივლით, შენ ნურაფრისა შეგეშინდება, – ებუტბუტებოდა ყოველ მისვლაზე მუხლებზე დამდგარი ელენე ოლინკას და მიწას ხელისგულებს უსვამდა. დაწვებოდა ღამე, დააძინებდა თეონას და ფიქრი ოლინკასკენ წაიღებდა.

-Бывало проснется она среди ночи, или сон дурной привиделся или спугнуло ее что, как начнет плакать, громко, испуганно... сразу и окликну ее: что ты, доча, милая, тихо, тихо, Оленька, мама рядом, не плачь, родимая...и успокаивалась моя деточка и продолжала сон свой... а сейчас...кто ж ее успокоит, кто убаюкает в земле сырой, дитятко мое родное, кровинушка моя ненаглядная?! Нет маминой душе покоя,\*\* – ესმოდა საიდანღაც ღუსიას სიტყვები და ძილი უტყდებოდა. როცა ჩიტები აჟივჟივდებოდნენ და მზის პირველი სხივი გადასერავდა უკუნს, როცა წარმოიდგენდა, რომ ვერხვის ბინადარი ჩიტები უკვე ეხმიანებოდნენ გოგონას და აღარაფრისა შეეშინებოდა, მაშინდა დაეძინებოდა ხოლმე მშვიდად. სასაფლაოზე სიარულს მოუწმირა. ყოველ გაზაფხულზე საფლავს საგანგებოდ ასუფთავებდა, კანფეტებს აწყობდა, ბალახებს გლეჯდა, პატარა ორმოებს თხრიდა და აყვავებულ ყვავილებს რგავდა, ქსოვილივით უქარგავდა მიწას, – აი, როგორი ყვავილებიანი კაბა ჩაგაცვა დედამ, თეონასაც შეუკერე ყვავილებიანი კაბა, – ბუტბუტებდა ქალი და ყოველ სიტყვას გულიდან დედის სიტბოს აყოლებდა.

\*\*\*

თეონამ საბავშვო ბაღი დაამთავრა. გამოსაშვებ ზეიმზე გოგონებს თეთრი პერანგები და ერთნაირი წითელი იუბკები შეუკერეს. იუბკებს მარჯვენა მხარეს ჯიბეებად პატარა, უხეში ქსოვილის ყვავილებით სავსე კალათები ეკერა. ბავშვებმა იცეკვეს, იძღერეს, ლექსები თქვეს და

ზეიმის ბოლოს დედებს თავ-თავისი ხელით ფერადი ქაღალდებისაგან დამზადებული ყვავილებით სახსე კალათები გადასცეს. თეონამ გზაში დედას საჩუქარი ისევე ჩამოართვა, მხიარულად მიიქნევდა და მთელი გზა ათას რამეს ეტიტინებოდა.

- დედიკო, რატომ არ მისმენ?
- როგორ არ გისმენ, დედიკო, ყველაფერი გავიგე.
- აბა, თუ გაიგე, დათოს რაზე ვეჩხუბე?

დედა ჩაიჭრა. თეონას გული მოუვიდა, – აღარაფერს მოგიყვებო.

ელენემ სახლში მისვლისთანავე ეზოდან რამდენიმე პატარა ყვავილი ფესვებიანად ამოიღო, თეონას ჩიტის ბუდისხელა კალათში მიწიანად ჩაამაგრა და ოლინკასთან წავიდა.

ისეთი მშვენიერი დარი იდგა სასაფლაოზე, ისე ლამაზად ყვავდა ყვავილები, ისეთი ჟივოვი ედგათ ჩიტებს, ისე საქმიანად ბზუოდნენ ფუტკრები, ისეთი ფუსფუსი ედგათ ჭიანჭველებს, ნამდვილი სიცოცხლის ზეიმი იყო, კაცი იმ სოფლის ბინადართა ბედს შეიხარბებდა. ელენემ ოლინკას „ლულკასთან“ დაიჩოქა, კალათი ჯვართან დადო და გაირინდა.

– დედიკო მოვიდა, ოლინკა, საყვარელო, როგორ ხარ, ხომ არ მოიწყინე? ნახე, როგორი კალათი მოგიტანე. დღეს შენც საბავშვო ბაღს დაამთავრებდი. მალე სკოლის დროც მოვა. შენი დედიკოსი აღარაფერი ვიცი, ოლინკა, ნეტა მომეფიქრებინა და აღრევე ამელო მისი მისამართი. იქნებ დედიკო შენთანაა და მე არ ვიცი? რომ არაფერი უჭირდეს, ამდენ ხანს უშენოდ ვერ გაძლებდა. შენ მაინც არ დაემდურო, პატარა ქალო, ვინ იცის, რა გასაჭირი ადგას. მარტო მაინც არ ხარ, მეც ხომ შენი დედიკო ვარ, ოლინკა, ჩემო პატარავ!

\*\*\*

დრო გადიოდა. ყველაფერი იცვლებოდა ელენეს გარშემო, ნახევარსაფლაავს გარდა. თეონა 20 წლისა გაათხოვეს. ელენემ ქალიშვილს თეთრი საპატარძლო კაბა თვითონ შეუკერა. იჯდა საქმეში თავჩარგული, კერავდა კაბას, გულში გოგოს ცხოვრების გზას ულოცავდა და ფიქრი ოლინკასკენ მიუბრუნდა.

ქორწილის ამბებმა, მისვლელ-მომსვლელმა თავბრუ დაახვია ელენეს, ღამეები არ ეძინა, რომ გოგო რიგიანად გაეცილებინა. მოსწონდა სასიძო, მაგრამ მაინც ძალიან ეძიებოდა შვილის სახლიდან გაშვება. თან იცინოდა და თან ტიროდა, თან უხაროდა და თან გული სტკიოდა. ცრემლები ახრჩობდა და სტუმრების დასანახავად ნაძალადეგად იღიმებოდა. თეონა თეთრი კაბითა და თეთრი ვარდების თაიგულით საოცრად ლამაზი პატარძალი იყო. ელენე ფიქრობდა, – ნეტა მართლა ასეთი ლამაზია თუ მეც ყვავივით მემართებაო. ჩასვეს დედოფალი მანქანაში, საქარე მინასთან თეთრკაბიანი თოჯინა რომ ჰქონდა დამაგრებული. დოლ-გარმონი ბოლო ხმაზე უკრავდა.

თეონამ თეთრ ვარდებს სახე მოარიდა და მანქანის ფანჯრიდან დედას ხელი დაუქნია.

ჩამთავრდა ეს ალიაქოთიც. ელენე სახლის ლაგებასა და ყველაფრისთვის ადგილის ხელახლა მიჩენას რამდენიმე დღე მოუნდა. თეონას ოთახში შევიდა. გასწორებული ლოგინი არ ეუცხოვა, ამას მიჩვეული იყო, მაგრამ ტუმბოებისა და კომოდის მოსუფთავებული ზედაპირების დანახვამ კინაღამ ცუდად გახადა. თეონას ნივთები აღარ ეწყო ოთახში. მძიმე იყო ეს ყველაფერი, ძალიან მძიმე. ნელი მოძრაობით დაიწყო მტკრის წმენდა, თითქოს ახლა ითვისებდა საქმეს.

– დუსია, შე უბედურო, რა ბედისა ჰყოფილხარ. გოგო გავათხოვე და ლამის გული გამიჩერდეს. როგორ გაუძეული ამხელა ტკივილს, შე საცოდავო, რომ ცოცხალიც დაკარგე გოგო და მკვდარიც. ან ახლა სად ხარ, რა ბედი გეწია, რომ შენი უბედური შვილი ვერ მოიკითხე. შენს თავს ფარსაგი არ არის, იქნებ აღარც ხარ ცოცხალი, თორემ აქამდე ხმას როგორ ვერ მომწვდენდი. შენს ოლინკას არაფერს გაუჭირვებ, მაგისი ნუ გეშინია. მარტო იმიტომ მინდა, ხმა მოგაწვდინო როგორმე, რომ შენი შვილის საფლავი აბალახებული და უპატრონო არ გგულებოდეს. მინდა, დაგამშვილო, ქალო, განა მადლობის მოსმენა მინდა, მე არ ვიცი, სადა ხარ ამხელა ღუნიანზე, შენ ხომ იცი, სადაც ვარ, ხმა მომწვდინე როგორმე, – ბუტბუტებდა აცრემლებული ქალი და ზანტად წმენდდა ავეჯიდან მტკერს.

იმ დამესაც შფოთიანად ეძინა ელენეს. მთელი ღამე არეულ-ღარეულ სიზმრებს ხედავდა და ერთი აზრიც ვერ გამოიტანა. დილით აღრე ადგა, თეთრი ვარდების თაიგული იყიდა და სასაფლაოზე წავიდა.

– როგორ ხარ, ოლინკა, დედიკო, აი, მოვედი და თეთრი ვარდები მოგართვი. თეონა სახლიდან გავაცილეთ. ახლა შენ უფრო ახლოს მეყოლები, ვიდრე ის, ჩემო გოგო. ნეტა შემეძლოს, შენც შეგიკერო საპატარძლო კაბა, – ბუტბუტებდა ელენე, საფლავს გულზე ხელისგულებს უსვამდა და ცრემლებს მშვიდრით ხარბად ყლაპავდა, – თეონას ცრემლები არ გაავაყოლო.

\*\*\*

დრო გადიოდა. ელენეს წელზე მოჭერილი ქამარი ყელისკენ მიცოცავდა, მისი შვილიშვილები გაუმართავ წინადადებებს ამბობდნენ უკვე.

– ბებო მოვიდა, პატარა ქალო, კანფეტებიც მოგიტანა, წითელი კვერცხებიც, პასკაც. შენ არაფერმა შეგაშინოს, ბებო არასოდეს მიგატოვებს, – ბუტბუტებდა ელენე ყოველ აღდგომას, საფლავს წმენდდა, სანთელს ანთებდა და ჩუმი ლოცულობდა.

მალე შვილთაშვილები წამოეზარდნენ. წელში ისე მოიხარა, საფლავთან მდგომი, შუბლს ლამის ოლინკას „ლულკას“ ახებდა...

– დიდი ბებო მოვიდა, შვილო, ხშირად ვეღარ გნახ-

ულობ, ვედარც ძველებურად გიელი, ხომ არ მიბრაზდები, ოლინკა, ჩემო გოგო, – ჩიფჩიფებდა უკბილო პირით ელენე, ქამრის ბალთა ლამის ნიკაპზე რომ ედებოდა და აცახცახებული ხელით ჯიბიდან კანფეტებს იღებდა...

\*\*\*

თონა დაქალდა, დედა გულში ვედარ იხუტებდა და სიკვდილმაც დრო იხელთა. ბებიის გვერდით დაასაფლავეს.

ელენე დაბერდა, გაცვდა და დაპატარავდა, გონებაც გაუცვდა, განცდის სიღრმე დაეკარგა, ვველაფერი ავიწყლებოდა. სასაფლაოზე ისევ ხშირად დადიოდა, მაგრამ უფრო მოკლე და მოზომილი ნაბიჯებით. გაუხეშებული ხელებით ასუფთავებდა საფლავების მიწას, აფხვიერებდა. მოხუცმა თავისი საგვარეულო საფლავის გისოსები გადააწვეინა და შიგნით მოაქცია ნახევარსაფლავა, მე რომ აღარ ვიქნები, გოგოს აღარავინ მიხედავს და უპატრონოდ დამრჩებაო. მთელი დღე ფუსფუსებდა, მაგრამ საქმეს კვალს ვედარ ატყობდა. ძილისთვის საშხადისს ერთ საათს ანლომებდა. დაწვებოდა. დაღლილობისა და დარდისაგან ერთს ღრმად ამოიხრებდა და ამოაყოლებდა ვარამს. მერე სიბნელეში ჩიფჩიფით იწყებდა ლოცვას, ღმერთს ავედრებდა გოგოებს, მერე კი როდის, როდის ჩაეძინებოდა. შუალამისას შფოთი გამოადვიებდა და ისევ დაზეპირებულ ლოცვას ჩამოარაკრაკებდნენ ტუჩები – ხოგჯერ ანგარიშში უცემლადაც. ღმერთო, ჩემს გოგოებს უშველეო, – იტყოდა ბოლოს ნახევრად გაუგებრად, ძლივს გადაბრუნდებოდა, ძლივს დაძრავდა მჩატე ტანს, ერთს ღრმად ამოიხრებდა, მეორე ამოიხრამდე გული რომ გაეთავისუფლებინა და ფშვინვას ამოუშვებდა. გათხელებულ ტუჩებს უღონოდ ჩასუნთქულ-ამოსუნთქული პაერიც აქეთ-იქით აფრიალებდა.

ზაფხულის ერთ ნაშუადღევს დაღლილმა და სიცხისგან გათანგულმა დედაკაცმა მზის ქუდი ჩამოიფხატა, ჯოხი აიღო და მოკლე ნაბიჯებით აუყვა სასაფლაოს აღმართს. სწრაფად აღარაფერი გამოსდიოდა. სათავისოდ დაგულეებულ მიწის ნაგლეჯზე ჩამოჯდა, ხელი ნიკაპქვეშ ამოიღო და თონას სამარეს დააცქერდა. ცრემლი გამშრალი ჰქონდა. იჯდა უხმოდ და მთელ თავის ცხოვრებას მისდევდა ფიქრებით. ფიქრმა აქეთ-იქით ახეთქა, ხან ანანა და ხან ახარა. გულზე ხელს უსვამდა თონას საფლავს და გვიანდა გაიახრა, რომ მღეროდა.

„მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდო, ვაჟის მამა შინ არ არის, მზევ, შინ შემოდო, მზე დაწვა და მთვარე შობა, მზევ, შინ შემოდო, უყვილია მამალსაო, მზევ, შინ შემოდო“, – არეულად ღიღინებდა აქოშინებული მოხუცი და საფლავის მიწას დაჯირჯვლებულ თითებში სცრიდა.

მერე მეორე მხარეს მოტრიალდა და ოლინკას საფლავს გადაუსვა ხელისგულები, გულზე მოეფერა, მიწა გადაუსწორა...

„მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდო, გოგოს მამა სულ არა ჰყავს, მზევ, შინ შემოდო, სიცოცხლემ სიკვდილი შობა, მზევ, შინ შემოდო, გათენდი, თუ გათენდები, მზევ, შინ შემოდო“, – უძლურებისაგან სიტყვები თავისთავად ემარცვლებოდა მოხუცს, ღიღინებდა და „ლულკის“ ხვეულებს ნაწვევტ-ნაწვევტ აცლიდა ხვიარა მცენარის ღეროებს.

\*\*\*

სასაფლაოდან ჯოხზე ბჯენით სახლისაკენ მიმავალ ელენეს შორი მეზობელი შეხვდა.

- ელენე, როგორ ხარ, საით ჰყოფილხარ?
- ააა, გამარჯობაა, – გაუცინა ელენემ, ვითომ იცნო, თავს ძალას ატანდა, რომ როგორმე აღედგინა ნაცნობი სახის ვინაობა, – სასაფლაოდან მოვდივარ, შვილების საფლავები გაეწმინდე.
- შვილების? რამდენი შვილი გყავს გარდაცვლილი?
- ორი!
- ააა, – თანაგრძნობით დაუქნია თავი შორმა მეზობელმა, რომელმაც მოხუცის ოჯახის ამბები კარგად იცოდა, – აბა, კარგად იყავი, ღმერთმა მშვილობა მოგცეს, – დაემშვიდობა და გზას გაუყვა, თან თავს აქნევდა აქეთ-იქით, – შე საცოდავო, რამდენი შვილი გყავდა, ისიც აღარ იცო, შენს სიცოცხლეს რაღა ფასი აქვსო.

\*\*\*

დაემშვიდობა წუთისოფელს ელენეც, გოგოებს შუაში ჩაუწვა. მავალი მოელო ნახევარსაფლავას. მისი ტოტები „ლულკის“ ხვეულებს ეკლებს არიდებდნენ და საუკუნოდ იწვნებოდნენ შიგ. იმ ხვეულზე, რომელზეც ოლინკას ხელის მოკიდება უყვარდა, მავლის ტოტი ყოველ წელს ნაყოფით იხუნძლებოდა. ზაფხულის მიწურულს ჩიტუნები დაბუა კისრებით ერთთავად იმ ტოტში იყვნენ თავწარგულები. შებინდებისას ვერხვის ფოთლები ძილისპირულს გალობდნენ. ოლინკა ძილში აღარ კრთებოდა. მწუხრიდან ალიონამდე მის სასთუძალთან მავლოვანის დედოფალი ლოცულობდა.

*\*-ჩემო გოგო, ოლინკა, დედიკოს სიხარულო, როგორ ძღობ აქ სულ მარტო, პატარავ.*

*\*\*-ძილში კრთებოდა ხოლმე, შინდებოდა და უცებ ხმამაღლად იწყებდა ტირილს. ალბათ რამე ესიზმრებოდა. იმ წუთას ვეზბიანებოდი, ვეტყოდი, – რაო, ჩემო გოგო, სუ, სუ, ოლინკა, საყვარელო, ნუ გეშინია, დედიკო აქ არის, – მამინვე მშვიდდებოდა და ძილს იბრუნებდა. ახლა ვინ დაამშვიდებს, ვინ მოეფერება ამ ცივ მიწაში. ჩემო პაწაწინავ, ჩემო სულო და გულო, რა ეშველება უბედურ დედაშენს.*



## მაცვალა პოპიაშვილი

### მერცხლები

ჩვენი სახლი პატარა ქალაქის ცენტრში იდგა, გამორჩეული მეზობელი შენობა-კარ-მიდამოებისგან თავისი მარადმწვანე ღობით, რომელიც სამი მხრიდან ამშვენებდა. ეზოშიც მრავლად ხარობდა ბზის ბუჩქები და ველური, ეკლებიანი პალმები, ასევე იდგა სხვადასხვა ხილის ხეები. ზამთარ-ზაფხულს ვერ გაარჩევდით, ისეთი გადამწვანებული იყო ჩვენი ეზო ყოველთვის, სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდა. დედას ძალიან უყვარდა ყვავილების მოვლა-მოშენება. ალბათ, ამიტომაც იზიდავდა ჩვენი კარ-მიდამო ნაირ-ნაირ ჩიტებს, რომლებიც მრავალფეროვანი ჭიკჭიკით გვართობდნენ. აქ ნახავდით ბელურებს, შაშვეებს, ღობემძვრალა პატარა ჩიტებს, კოდალას, მერცხლებს.

ჩვენი სახლის მეორე სართულს უზარმაზარი აივანი გასდევდა და შემდეგ ეზოშიც გადიოდა. მასზე ამოსული იყო ვაზი და მთლიანად ჰქონდა გადაფარებული ზემოდან. შემოდგომაზე, ყურძენი რომ მოიწეოდა, ჩიტები გემრიელად შეექცეოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ ოჯახის წევრებივით იყვნენ! ამიტომაც, ეზოს ხეხილი მათაც ეკუთვნოდათ.

ზამთარში, როცა არე-მარე თოვლით იფარებოდა, ამ დროს სად პოულობდნენ საკვებს, ამაზე არასოდეს მიფიქრია. ალბათ, აკლდათ ჩვენი ყურადღება. ნაკლებად ვიცოდი მათი შინაგანი სამყარო, შეგრძნება, აღქმა რაიმესია... ახლა მეტი გამიგია და წამიკითხავს მათ შესახებ,

რომ მათაც აქვთ გრძნობები, თავისებურად რომ ესაუბრებიან ერთმანეთს და სხვა.

მერცხლების ცხოვრება და „საქციელი“ მაცვალა ბავშვობიდან. ისინი ძალიან იყვნენ შერყეული ჩვენს კარ-მიდამოს, ოჯახის წევრებივით იყვნენ. მათ ბუდეები აიშენეს ჩვენი აივნის სახურავის ქვეშ. მოწესრიგებულად ცხოვრობდნენ, საცხოვრებელს აშენებდნენ, კვერცხებს დებდნენ და ბარტყებს ჩეკდნენ და მათ საკვებს აწვდიდნენ, ფრენას ასწავლიდნენ. მათი მოკვლა აკრძალული გვქონდა ბავშვებს, რადგანაც ვიცოდით, რომ თუ ამას ვინმე ჩაიდენდა, სულ ჭორფლებით დაიფარებოდა მისი კანი. მერცხლები არასოდეს ჯდებოდნენ მიწაზე. თითქოს შავ ფრაკებში გამოწყობილები, მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ. ასეთი წარმოდგენა გვრჩებოდა ყოველთვის.

შემოდგომაზე მერცხლები თბილ ქვეყნებში მიფრინავდნენ. მათი ჭიკჭიკი და საქმიანი, სწრაფი მიფრენ-მოფრენა აკლდა ჩვენს ეზოს. მაგრამ, რას იზამ?! თავის გადარჩენისა და უკეთესი პირობებისკენ მიფრინავდნენ.

გაზაფხულზე ისინი აუცილებლად უბრუნდებოდნენ თავის ეზოებს, სასიხარულო ჟრიაშულითა და ჭიკჭიკით. ალბათ, ძალიან ენატრებოდათ თავისი ბუდეები, რომლებსაც არასოდეს არ ივიწყებდნენ და არც ღალატობდნენ. სასწაული ინტუიციას თუ რაღაც, ზებუნებრივი, არასოდეს ეძლეოდათ თავიანთი ეზო-კარ-მიდამო და ბუდე. მათი საქციელი და მერცხლების მსგავსი სხვა ჩიტების ასეთი მოქმედება, კარგი მაგალითია უცხო ქვეყნებში გაზიზნული ადამიანებისთვისაც.

აი, უკვე შვიდი წელია, ჩემი ოჯახით უცხო ქვეყანაში ვიმყოფები, მაგრამ ვერ ვგუუბი ასეთ ყოფას. გული სევდით მევსება, მენატრება ჩემი სახლ-კარი, ეზო, მეზობლები, მეგობრები, ახლობლები, ჩემი ქვეყანა... ამ ხნის განმავლობაში, ვერცერთხელ ვერ მოგვიხერხდა სამშობლოში ჩასვლა.

დავნატრი ჩემი ეზოს მერცხლებს, რომლებიც ყოველ წელს, სიხარულით უბრუნდებოდნენ თავიანთ ბუდეებს და არასოდეს არ ივიწყებდნენ და არც ეძლეოდათ, თუ რომელ ეზოში უნდა დაფრენილიყვნენ.

თუ ჩიტებს ეს გრძნობა გააჩნიათ, ადამიანებს ხომ უფრო მეტად უნდა უნდოდეთ თავისი მონატრებული მიწა-წყლის მონახულება და სახლში დაბრუნება?! მითუმეტეს, რომ მერცხლები, მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, მაინც ბრუნდებიან უკან, განსხვავებით მომთაბარე ერებისა...

ჩვენ, ქართველები, არასოდეს არ ვყოფილვართ მომთაბარე ერი, ამიტომაც უნდა დაეუბრუნდეთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ერსა და ბერს!

# პაატა სურმანიძე

## აქტრისა

პარიზი, სალონი, აქტრისა!  
 თბილისი, ღუქანი, ნიკალა!  
 იქ მხატვრის ჩვენება, აქ არტის,  
 ნამგალა მთვარიდან იკალა!  
 შადრევანს ფანტავლი ფშან ტანით,  
 ტიროდა საღაფის სარღაფი.  
 ცეკვაველი სულ კაფე შანტანით,  
 მღეროდი ნარნარა ქნარ-ღაფით.  
 ფენს ჰკრავდა საღებავს პა ლიტრას,  
 მხატვარმა ტილოზე ფიროს მან.  
 ფერს ვაძლევე სიტყვების პალიტრას,  
 მოლბერტზე ლექსს ეხატავ ფიროსმან!  
 ზღვა ვარდმა უკვდავი ქაფი შვა,  
 რა გული უძლებდა, აქ მტრისას!  
 გათიშვას ცხადყოფდა აფიშა,  
 აქტრისა, აქტრისა, აქტრისა!  
 ჰეტერას, ელენას, ქარიტას,  
 მათ გამო ანგრევდნენ ილიონს!  
 ვარდები უძღვრდნენ მილიონს  
 და ყველას გჩუქნიდნენ აქტრისას.



## წვიმის ანგელოზები

ცის შვიდ ფერიას ვაგნებ ზოლებით,  
 მრგვლოვან ტიტრებით მგლოვიარობენ.  
 წვიმას ცისარტყლის ანგელოზებიც  
 ქალწულ თვალებით მშობიარობენ.  
 ცვინს ჯვრის ცრემლები ჟღალ ვარდებიდან,  
 როცა ჯვრად დგება ნამწვი, მარიამ.  
 ერმა გვირილა კი ლაჟვარდებიდან,  
 დედა გვირილით ნაწვიმარია.  
 ცეცხლოვან წვიმით დასაბამია  
 სული, რომლითაც გადავიწვი „მე“.  
 ბათუმი წარღვნის დასაბამია,  
 წვიმები თუ ვერ გადავიწვიმე.  
 წვიმა ლაბადის დასალამბადა,  
 ვიტანჯებოდი ადრე ვნებიდან.  
 თოვს მოცეკვავე დასად ლამბადა,  
 ცის მოფანტანე შადრევნებიდან.  
 წვიმით ივსებენ მუცელს ღრუ ბლების.  
 ჩემს ჭკვიან თავზე გასულ ელდებით  
 ტვინებს იშლიან, უცებ, ღრუბლები,  
 თუ გიჟურ წვიმით გავსულელდები.  
 მსდევს სევდიანი დასი ნოტივით,

მოადგა ცრემლი გამცრულ ლიანდაგს.  
 წვიმის სონატით და სინოტივით,  
 სულის ლირიკა აცრემლიანდა.  
 დადგა უქაროდ ალმა, ცერულად,  
 შვა ანგელოზი – გადაიბირა,  
 ქარში კი წვიმამ ალმაცერულად,  
 ცა ირიბულად გადაიბი, რა.  
 გველივით ელავ. ცავ, იკლაკნები...  
 ითქმის ცრემლების გამო მეტი რომ,  
 ანგელოზები, წამწმის აკვნებით,  
 ჩვილ ბავშვებივით გამომეტირონ.

## სერაფიტული

ქეის არქივს არქეტეპი ანშირებს,  
 ორლესულ მთვარემ სერა ფიტული.  
 არმაზის ხევში პიტიაზში რებს  
 და თქმულებები სერაფიტული.  
 ქეიდან მიეურებს მხერა, ტიტრული,  
 ციდან კამკამა კამაროვანი.  
 თეთრი ბილინგვა, სერაფიტული,  
 ხსნის ლურჯ სარკოფაგს სამაროვანის.  
 ფიცით სასახლე (კუბო) კრულია,  
 თაფლს დაგაწურავს ერა ფიტისა.  
 ცის გზა ღმერთამდე კუბოკრულია,  
 მზის სერაფიმის-სერაფიტისა.  
 ებანის ბანი ისმის ზე-ვახის,  
 ყველა, მზეთამზის გარდა, იცელებით

და სადღერძელო ისმის ზევაზის,  
რომ უკლავებით გარდაცვლებით.  
მე შენი ნახვის ბედი არ მაზის,  
რომ ქვის კალამი წერს, გრაფიტიისა.  
გთხოვთ, საფლავის ქვა, კერპი არმაზის,  
გულზე დამადეთ სერაფიტიისა.  
საფლავის ლექსმა ამოთქვას მეტი,  
რომ არ ეკუთვნი დავათს ბუნებით.  
გვეძახი ზემოთ, ამოთ ქვასვეტით,  
კრძალვით სამარეს დავათბუნებდი.  
კოშკი აღვმართე სერაფიტიული,  
რომ ხმას სირცხვილით, დავათ, არ იღებ.  
ამ სილამაზის ერას ტიტულით,  
უსასრულობით დავათარიღებ.  
აქ ბროწეულის პროფილი ყვავის,  
ჩრდილი დატოვა იოდ მან განით,  
რა იქნებოდა ვყოფილიყავი,  
მე ერთი წამით იოდმანგანი.

**ფრინა ჰეტერა**

დამათრობს შენი ბადაგი, ფრინა,  
ეპოქალურ ქალს გიქმნი მეტ ერას,  
გელის ვარსკვლავმა გადაგიფრინა,  
გიმღერს ეროსის ჰიმნით ჰეტერას!  
გული, რომელიც გაქანდა ქებით,  
დაგინიშნია დამლით ჰეტერას!  
შიშველი ტანის აქანდაკებით  
შხის შუქზე გხედავ დამის ვენერად!  
ღვინით ძველი დრო გამახსენდება,  
გვედები უშენოდ, ლამის, ჰეტერა!  
ეს დამეც თავზე დამათენდება  
უძილო პოეტს – დამის ვეტერანს!  
მე და გალა ვწერთ ლექსს ჰეტერებზე,  
რომ დაადგები სამარს, არილო,  
ხორბლისფერ მკერდს შლი, დღეს ეტერებზე  
და ტანს, სპილოს ძვლით სამარმარილოს.  
როცა ნოემბერს მარტში შევურევ,  
ფეხს სხვაგან აღარ ვადგამ, ჰეტერა!  
მუზების მუზავ, შენი შემეყურე  
ყველა პოეტი გადამემტერა!

**ფრანგული მარში**

შორიდან მიხმობდა პარად ის,  
წერილით, მოწვევით, პატივით,  
დიდებულ მარადისს, პარადის  
ეს მარში მომიტანს, პარიჟით!

ნილაბი ეკიდა ცას კარად,  
ვუალი მოგარგო დრომ, ინოს,  
ვთამაშობ აშკარად მასკარადს,  
ვინდომებ დომინუს დომინოს!  
სახეებს მიცვლიდი იერო,  
როდესაც მათობდა კაპიტო,  
დღეს ვგავარ ტრუბადურ პიეროს,  
რომელსაც დაენგრა შაპიტო!  
გადვივლი მირაბოს ხიდს უმაღლ,  
დაწვევლილ პოეტის პროფილით.  
უეცრად ატყორცნის იღუმაღლ  
სივრცეში, უკვდავ ძეგლს, დრო ფილით!  
ფერს უცვლის ვენებზე ინა ხავსს,  
ვერაფრით ჩამაბეს ყალბ ომში!  
დრო პოეტს შხის თაფლში მინახავს,  
ზემუზა პარნასის ალბომში!  
ბახუსმაც მომენტი მინახა,  
ყანწს სწევდა ადათის თამასად!  
ღვინო წვეს მთვარეში ინახად,  
ალაგერდს შვე მანვდის თამადას!  
ცრემლით ვბან სისხლიან ყვავილებს,  
სხივებით მიმოდის შხის მარში!  
გვირილა ვმანვილებს გვანწვილებს,  
პარიზის ზეციურ სიხმარში!  
დღე-ღამე გვერდიგვერდ მომწოლი,  
ორსულ შხეს ეზრდება პლაცენტა,  
მთვარის ბავშვს პოეტურ მომყოლით,  
მიშვილებს ვენერას პლანეტა!

**თეთრი და შავი ვენერა**

ლექსებით გიხდი მარადიულ ვალს.  
თქვი, მელანია, დამით ეგნე რას?  
რადგანაც აგდებ არად დიუვალს,  
შავ ვენერაზე შავი ვენერა,  
შორს ნუ დაიწვებ, ამბორ-ოტებას.  
შავ ხმას გამოსცემს ცა, ყვავი, ლარი.  
მკლავ და გაპატიობ ამ ბოროტებას,  
სხეული მრჩება ნაყვავილარი.  
პიკის ქალიდან მარადიულ ქალს  
ჰქმნი, ეპოქალურ შერთვით, შენ ერას.  
დღისით აჯობე ჟანა დიუვალს,  
რომ შვი შენს თავში თეთრი ვენერაც.  
დღეს წრეზე ასეთ სიტყვას უვლიან,  
უცებ მეძლევი უძღურ ვილიანს,  
მიჩენ სიძულვილს სიყვარულიანს,  
მიზრდი სიყვარულს სიძულვილიანს.



ვენერამური

სეზანი მხატავს დღეს სალ ამურად,  
 ღრუბლების ქაფით ცამ შვი ვენერა.  
 კალამს ვიყენებ მე, სალამურად,  
 მოდი და გვერდი დამიმშვენე, რა.  
 შეეკმნათ ერთობა ვენერამური,  
 ლირიკის ერა ეპოქალურად.  
 ლუვრში შეხვედრა გენერალური,  
 გვიწერს პარიზის ეპოსს ქალურად.  
 გაგხვევ თოვლისფერ მარმამ ტილოში,  
 პეგასთან ერთად დაქანდა კები.  
 ფეთქავს ქვის გულიც მარმარილოში,  
 დგანან ძეგლები და ქანდაკები.

ჩვენ გვეკმნიდა ღმერთი მეგა ხელებით,  
 ვანდალის ხელი მსახვრალ ტორს ება.  
 თავს ვერ ვიკავებ მე გახელებით,  
 თავს ნუ გვეჭრით და ნუ გვეკვეცვთ ტორსებად.  
 ვეკმნით ვენერამურ კომპოზიტს ორი,  
 ლექსს მაწერიანებს გარემოც, არტოც.  
 მარტო სიტყვების კომპოზიტორი,  
 ძნელია, ამ ქალს არ ემოცარტო.  
 ვართ ბინადრები ლუვრის და ორსეს,  
 გვენ სპონტანურად ექსპრომტს ნატურას,  
 არვის უნახავს ახლოს და შორს ეს,  
 ჩვენი ხელების ექსპონატურა.



ნინო ახალაძე

\* \* \*

მე საქართველოს მთების შვილი ვარ,  
 ძუძუ მაწოვა მთაში რიონმა,  
 ფეხი ავიღე ცვრიან ბალახზე,  
 უბით მატარა კავკასიონმა...

დიდი ხნისა ვარ...რომ დავიბადე,  
 იმ დროში რიონს ერქვა „ფაზისი“,  
 ბაგრატის ტაძარს უბით დავყავდი,  
 ჯვარი ძლოცავდა, ჯვარი ვაზისი...  
 იმ ასაკის ვარ, როცა ქუთაისს  
 ეწოდებოდა მხოლოდ „აია“,  
 კოლხის სამეფომ დასაბამიდან,  
 რამდენი წელი ჯაფით გალია...  
 „მოწამეთა“ რომ დამლოცავს დილით  
 და „წვალწითელა“ ძარღვში დამიდის,  
 „გელათი“ მირონს სცხებს საქართველოს,  
 უკვდავი გული დიდი დავითის...  
 იმ მიწითა ვარ გამონადეგნი,  
 სათავსახლოდ რომ უფალმა შექმნა,  
 ის სამოთხეა ჩემი აკვანი,  
 რომელიც ვერცერთ მტერმა ვერ შერყვნა...  
 მე იმ ენაზე ვსაუბრობ ახლა,  
 ენათწოდებულ „რანთა“ და „კახთა“  
 და ასე დიდხანს იმიტომ ვცოცხლობ,  
 დედალეთისმშობლის მიფარავს კალთა...  
 თამარის დროშა მიჩვენებს გზას და  
 ვახტანგ გორგასლის ფარაჯა, ხმალი...  
 დაწვებზე მადლის ცრემლებად დამდის  
 რიონი, ვერე, არაგვი, მტკვარი...  
 მე საქართველოს მთების შვილი ვარ,  
 ლეჩხუმის მიწის სურნელი ამდის,  
 „ცხენისწყალი“ და „რიონი“ თითქოს  
 სისხლის მაგიერ ძარღვებში დამდის...  
 მე ქართველი ვარ, ერთი მისხალი  
 ყაყაჩოების სისხლის და წვეთის,  
 ისა ვარ, ვისაც ჯიუტად სჯერა,  
 თეთრი და შავი არაგვის შერთვის...

\* \* \*

იმ გორისა ვარ, იმ სისხლის,  
 იმ ხის აკვანში გაზრდილი,  
 ვისაც იცავს და მფარველობს:  
 ხმალი... ჩოხა და მანდილი!  
 დავითისა ვარ მოდგმა და  
 სისხლი დამიდის თამარის,  
 ჩემი დანაცვრა, ჩაქოლვა,  
 ასე ადვილი არ არის!  
 ლეკვი ვარ ნადიდგორალი,  
 ალგეთს რომ იშვა – მგლისანი,  
 მტერმა რომ ვერ დააჩოქა,  
 ჩემი სამშობლო ის არი!...  
 ნინოს წილხვედრი მიწის ვარ,  
 ქრისტიანობით ნაქები,  
 ვაზის ჯვრით დალოცვილი ვარ,  
 ოდითგან მქვია ქართველი!  
 ალადასტურით დალოცვილს,  
 მხრებით, შხის დამაქვს ნათება,  
 ჩემი ენაა ქართული, გურჯისტანელის ხატება!  
 ღვთისმშობლის ცრემლად ქცეულა,  
 მტკვარი... არაგვი... რიონი,  
 იმ ჯიშისა ვარ ვისთვისაც,  
 გამარჯვებაა იოლი!  
 ვამაყობ, ქართველი მქვია,  
 მომავალს მედგრად გავყურებ  
 და თავმდაბლობაც მჩვევია,

მადლიდან არვის დაეყურებ!  
 გული მიფეთქავს ცის დარი,  
 კავკასიონის ოღენა,  
 „მრავალქამიერ“ დაუძახოთ  
 და შემოვძახოთ „ორერა“!  
 შენც იამაყე ქართველო,  
 დაფთაფს დაჰკარი... ილხინე...  
 ისა ვარ, ვინც საქართველო,  
 გაბრწყინებულ ვიხილე!

\* \* \*

ქუთაისი მენატრება,  
 თავის თეთრი ხილით,  
 ხელგაშლილი მასპინძელი,  
 სტუმრისადმი რილით!  
 ბებერ რიონს გადმოხედავს,  
 ბაგრატიდან დილა,  
 ქუთაისის ჩახუტება,  
 მოფერება მინდა!  
 მოწამეთის და გელათის,  
 მადლი მუდამ მსდევდეს...  
 ქუთაისის ნელი სიო,  
 „მაგიუებდეს“... „მრევდეს“!  
 საქართველო დამილოცე,  
 იმერეთით, ხვამლით,  
 ბევრი დილა გაგვიოთენე,  
 სიყვარულის მადლით!



## მიუო გაბუნია

### ექვნივზა ანნა ამილახვარს:

მე მომიტევე, ამ უგუნურს, ძვირფასო ანა,  
 შენი თვალები წამონთებულ ჩირაღდნებს გვანან.  
 მე მოვიპარავ მათგან ცეცხლს და წაუღებ მოკვდავთ,  
 ცეცხლით განწმენდა რომ ეღირსოთ და ალით ბანა.  
 სიცოცხლის გზაზე მომავალი გიწერ ამ წერილს,  
 ამ ბილიკებზე ვითიალებ მუდმივად განა?  
 დაბრძავებული შენი სხვიით წისქვილებს ვერ ვცნობ,  
 გოლიათები და ღვევები ჩემ თვალწინ დგანან.  
 დაშნის წვერითაც იმდენს დაწერ რამდენსაც კალმით,  
 ტყვიაც ისევე ვერას მიზამს, როგორაც დანა.  
 ვერასგზით გიხსნი ჩაბნელებულ სარკმელებს სულის,  
 ათას სიცოცხლედ არ დაგიჯდეს იმათი გმანა...

„თქვენ, აქ მომხდურნო“

არასაკმარისი

ბობოქარ ზღვაზე მოგვაქროლებს თეთრი ფრეგატი და პორიზონტზე თოლიებიც ჩვენ დაგვევიან. თქვენ, აქ მომხდურნო, პოეტებში ხედავთ ნეგატივს, თუმც ჩვენში ხშირად, განცხრომა და პოზიტივია,

კატმანდუ, ლონდონი, დრეზდენი, პარიზი, ყველასთვის, ყოველგან – დროიდან უხსოვარ ვარ, ალბათ, ყელამდე არასაკმარისი, და ყველა ქალაქშიც უცხოზე უცხო ვარ...

მხოლოდ ჩვენ ვამჩნევთ, მარტში მთლი როგორ ამწვანდა, გვაქვს სიმპტომები, აღმაფრენულ, მგოსნურ ცხელების, მხოლოდ ჩვენ შეგვეწვეს, სიმართლისთვის ცეცხლზე დაგვეწვან და მაინც ბრუნავს-თქო – დავიხლიჩით ხორხსარქველები!

წერ ყველა კუთხეზე, ქუჩაზე, კაფეზე, სადაც ვარ ან კიდევ არა ვარ ნამყოფი. გაცოცხლდა ცოტა ხნით ჩემს სისხლში პაფეზი, ვლექსავ და შუაზე სანამდე გამყოფენ,

დავდივართ ასე, უამდრონი, უამქარონი, უამსიონი – დაღვრემილნი თუმცა არა ვართ. თავაწეულებს გადმოგვიყვანს წყალზე ქარონი და არ გაბედოთ, უკადრისად დაგვხვდეთ თანაბართ!

ყურს ვუგდებ საგულის უაზრო კაპრიზებს, გადავდებ სარიტმოდ, რაცა მაქვს დღეისთვის, საკუთარ სხეულში შამსე ვარ – თაბრიზი, ჩემივე სახლკარში ვარ პოლტერგეისტი!

თქვენ საკუთარი სიმარტივის როცა შეგრცხვებათ! ბარომეტრებით გაგვიზომეთ ძარღვიში დინება, ისე დაგათრობთ მათ სიღრმეში სისხლის შეგრძნება, რომ მის დუღილზე საკუთარი გაგვიყინებათ!

მიმიყვანს ოცნება ფიცრამდე სამარის, თუ ვინმეს, თუ სადმე, ოდესმე გავანდე, ლექსებიც – ნაჯამარ-ნახაიამარი მაქვს, თუმცა არა ხამს გავამპარტავანდე.

ჩვენ დავიტიეთ ჯოჯოხეთის ფსკერი თვალებში, მისი კედლები თითოეულს კბილით გვეკაკავა, შეგვხვდეთ ახლა დიონისეს ღვინით გაღეშილით! როგორ დავდივართ სხეულების მოუდრეკაველ...

მე ყველა ქალაქში ვცნობ – რა საით არი, კატმანდუ, ლონდონი, დრეზდენი, პარიზი. თუმც შემჩნა ხელობა მე ნასაიდარი, ვარ მაინც ყელამდე არასაკმარისი...

შერძენას

ნათლიას

აღვირს მოქაჩე, ძმადნაფიცო, საითკენ მიხვალ? ცხენს თვალებს უხვევ ნატანჯი და ნალალატარი, ის არ გეგონოს, რომ სიმშვიდე მაგ კლდეთა მიღმა ბრძოლის გარეშე მიიღწევა – აგრე სად არი? თვალს ნუ გიბრძაკებს საყვარელი ქალის სახება! წინ დიდი გზაა, შენმა კენესამ, ნუ დამეღლები. მე კარგად ვიცი, მიხაკებიც გეზამბახება და ვიდრე ერთხმად დაწყდებიან მკერდში პეპლები, არასდიდებით შეუშინდე მიწისძვრის ბიძგებს. რა არის ეს დროც? – ქარზე სწრაფად მიქრის და გარბის. გულიც იმისთვის, სულ სხვაგვარად გიდგას და გიძგერს, ვისაც არასდროს შეუხრია შენს ხმაზე წარბი! ასეთს გიცნობ, არ გჩვევია ფარ-ხმალის დაყრა და სიყრმიდანვე უტეხი და თავისთვისა ხარ, რად შეგჩენია, ვით ალაოს თავთავებს მახრა? აღექი, ძმაო, დე, იღბალი გყავდეს ინახად! მე აგერ ვდგავარ, სასიამო სიახლეთ ველი, როცა გამოჩნდე, ხრინწს ნუ მასმენ ზარივით ხმაში და სადაც დამე მოგწოდეს ყველაზე ბნელი, იქ გაგიხარდეს – გათენებას დაიწყებს მაშინ...

თუ მომიტევენ უქონლობას საფოსტო მარკის, შენკენ მომაველს, გზებს ვეღარ ცნობს უკვე შიკრიკი. გახსოვს, მეტყოდი კარის ზღურბლზე: „მობრძანდით, მარკიზ“? გახსოვს, ყინავდა მირკანამდე, ვიდრე იგრიკა ჩვენს გასათბობად მოდიოდა და როგორ მძულდა? რაღაც ბედად, რომ ის აპრილიც უნდა ვინატრო, როგორი კრძალვით დაგიკრავდი თავს, როგორც სულთანს, თავს, რომელშიაც უამრავი მხეცი ბინადრობს... მე ვერ ვესტუმრე შენთან ერთად სანტა-მონიკას, დავდივარ ასე, ლექსებითურთ უტყვი დერვიში, ყველა სასმელი მეზიზღება მოჯინტონიკო, გემახსოვრება, ღვინისა ვარ, ჩემსას ვერ ვიშლი, გემახსოვრება, მიკერავდი მყოფადს გვირისტით, „შენი პირველი მეგობარი“ – ასე მქვია(ნ)ო და ვდგავარ ასე, შენი წასვლით – ყველას პირისპირ, უხმო, უშენო, უმეგობრო, უჩემიანო. გთხოვ, მომიტევე, უქონლობა საფოსტო მარკის, შენკენ მომაველ გზებს ვეღარ ცნობს ახლა შიკრიკი, მეტყოდი ხოლმე კარის ზღურბლზე – „მობრძანდით, მარკიზ“, ნამირკანალებს გაგვათბობდა ხოლმე იგრიკა...

# ნათელა ქარციხიძე

## შემოდგომა კახეთში

რა ლამაზად აელვარდა  
 შემოდგომის დღეები,  
 ჩემს კახეთში შემოდგომას  
 გულით მივეფერები.  
 მოდით, ნახეთ ვენახები, –  
 წითელ-ყვითელ ფერებით;  
 მზემ სიტკბოთი რომ ააგოს  
 ქარვისფერი მტევნები.  
 ბაღში – მსხალი და ატამი  
 ნებივრობენ ტოტებზე,  
 გაუუვლი და მილიმიან, –  
 უსალმოდ არ მტოვებენ.  
 მოდით, შესვით ქვევრებიდან –  
 მოჩუხჩუხე მაჭარი...  
 აღდგომელეთ: საქართველო, –  
 მზის და მთვარის სადარი!

## თელავს

მიევარს ღამე მთვარიანი, – მდუმარებით სავსე,  
 ზეცა – ვარსკვლავ-თვალაინი, რომ დაგვეურებს თავზე,  
 დილა, – ცისკარ – ანთებული – ლაჟვარდოვან ცაზე,  
 მონავარდე ჩიტუნები, მოტრფიალე თან, მზე.



მიევარს, ვეტრფი ჩემს ბუნებას, –  
 საოცრებით სავსეს,  
 ჩემს სამშობლოს, მთა-გორიანს,  
 არ-რით გაგცვლი სხვაზე!

ვეტრფი თელავს, ამ, ჩემს ქალაქს,  
 და... ვლოცულობ – მასზე,  
 თუნდ, მსოფლიოც მოვიარო...  
 ვერ მომხიბლავს ასე!...



# ჯემალ მესრიშვილი

## ხორზლოს მარჯვლები

ნოველა

კაცს იმედი და მოთმინება თანდათან ელეოდა – თორმეტი დღის განმავლობაში, ყოველ დილა-საღამოს ჯარისკაცურად ბადრაგობდა გაჩერებასა და ნაგვის ურნებთან, მაგრამ ის ქალი არა და არ ჩანდა! „შეიძლება ცხვირწინაც გამივლ-გამომივლის ხოლმე, მაგრამ მისი სახე კარგად აღარ მახსოვს! – ხან ასეთი ეჭვიც კი ჩაეპარებოდა, თუმცა მაშინვე იშორებდა, როგორც თავისი მხედველობითი მეხსიერების შეურაცხყოფას, – ან იქნებ სტუმარიც იყო, მე კიდევ...“ მაგრამ გული უთხრობდა – ის ქალი ამ რომელიღაც უბნის მკვიდრი უნდა ყოფილიყო!

მეცამეტე დღეს, ისიც შემთხვევით, ბედმა გაუდიმა. შუადღისას შინ რომ ბრუნდებოდა, PSP-ს აფთიაქსა და საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზიას შორის გასწრაფე-

ბით მომავალ იმ ქალს შეასწრო თვალი!!!

მდეღვარებისგან კაცს სუნთქვა აერია – ის უნდა ყოფილიყო... ის იყო!... გულატოკებულმა მაშინვე მხარი იცვალა და ავტობუსების გაჩერების შორიახლოს გზა გადაუჭრა.

– ქალბატონო, ერთი წუთით!

თავისი საფიქრალით შებოჭილ ქალს აცრეცილი ტუჩები შინარევი სიფრთხილით აუცახცახდა.

– ოჰ, თავი დამანებეთ!

კაცი სახტად დარჩა – ნუთუ ასეთ მოპყრობას ვიმსახურებო?! მაგრამ იხტიბარის გატეხის წუთისოფელი აღარ ჰქონდა!

– ქალბატონო, თუ შეიძ...

– არა, არ შეიძლება!

გაჩერებაზე ჯარად მდგარმა მგზავრებმა ამითკენ ტლანქი ცნობისმოყვარეობით იწვეს ყურება – ვიდაც კაცმა აგერ, თავისთვის მიმავალ თვალშეხედულ ქალს გზა გადაუღობა და აღარ ატარებსო! წარმოგიდგენიათ?!

მოულოდნელად კაცმა ქალის გამომეტყველებაში სახარელი სახეცვლილება დალანდა: აშკარა იყო, მის ზურგს უკან მათკენ მომავალი რომელიდაც თავისიანი – უფრო კი ქმარი! – დაინახა და მის თვალში საკუთარი პატიოსნების ასამაღლებლად უცებ თავი უსაფუძვლოდ გაიანჩხლა: უცხო კაცს ცრემლნარევი ხმაჰკრით გაეკაპასა, თან პირი ისე იბრუნა, ვითომც ჩემიანს ვერა ვხედავო!

– აღარ გამატარებ?! ვინა ხარ?.. რა გინდა ჩემგან?!

კაცი ელვისებურად ჩახვდა – თავი საბედისწერო ხიფათში გაიბა და ახლა აუღელვებლობისა და აზრიანი სიტყვა-პასუხის მეტი ვეღარაფერი უშველიდა!.. არამც და არამც თან არც უკან უნდა მიეხედა!

– ქალბატონო, იქნებ ერთი რა სათქმ...

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, მკლავში მარწუხისებურად ჩაეღებულმა ხელმა ისე შეანჯღრია, თავის აქანავებამ კისერი ატკინა!

– ტო, რა გინდა ჩემი ცოლისაგან?

ორმოციოდე წლის ტანახოვანს პირისახის გამმაგებაზე დაეტყო – ამ შუახნის მოსხეპილ კაცს ჯღანმანიანად შეახრამუნებდა, როგორც კი ამის დრო დაუდგებოდა!

– ჯონდი, – ქმრის ამისთანებით ბევრჯერ წვნიულმა ქალმა ხმაკანკალებით მიმართა, – გეხვეწები, არაფერი უყო!

თვალამღვრეულმა ჯონდომ ცოლს კბილები მოუკრაჭუნა.

– რა, უკვე ვგრე გებრალეხა ეს... შე...

გაჩერებაზე ბევრმა თავისი ავტობუსი გაუშვა, რადგან ამაზე უკეთესი სხვა რაღა უნდა ეხილათ – დღისით-მზისით, თანაც ზედ შუაგზაზე ცოფმორეულმა ქმარმა აგერ, ცოლს საყვარელთან წაასწრო!

უცხო კაცს ჯონდომ კბილქვეშ გაუმეორა.

– რა გინდა-მეთქი ჩემი ცოლისაგან, ჰა?

– რაღაც აუცილებელი სათქმელი მაქვს... გთხოვ, თქვენ ხელს ნუ შეგვიშლით.

ტლანქად ნაჩორკნ პირისახეზე ჯონდის შხამიანმა ღიმღმა გადაუთამაშა.

– ტო, შენ სულელი ხო არა ხარ?!

ნაცრისფერი ტვიდის შარვალ-კოსტიუმიან უცნობს

წამწამიც არ შერყევია.

– გააჩნია, თქვენ როგორ შემხედავთ!

– მე იგრე შეგხედავ, რო ეხლა ფაჩიკოს გარმონივით დაგშლი!

გაჩერებაზე შექუჩებულებმა ყურები მოიმახვილეს! მათ ახლა ის კი აღარ აინტერესებდათ, ეს ტანძლიერი, ნუჟრიანი კილო-სიტყვების პატრონი ამ კაცს მართლა „ფაჩიკოს გარმონივით დაშლიდა“ თუ არა, არამედ რანაირ პასუხს გასცემდა აუღელვებელი მოპაექრე, აზრჩატანებით წარმოთქმული მისი ყოველი სიტყვა მსმენელებს ყურებში მალამოსავით რომ ეცხებოდა!

– დარწმუნებული ხართ, მაგის ჩადენა აუცილებელია?!

– ჯიგარო, შენ მე ნუ მასწავლი, რა არი აუცილებელი და რა – არა! გაიგე?! რაც...

ჯონდის სათქმელი პირზე შეაშრა, აშკარად დაეტყო, ტროტუარზე მიმომავალი და გაჩერებიდან თვალგაფაცოცებით მოჩერებული მგზავრები გულ-მუცელს უმღვრედა!.. მოულოდნელად უცხო მამაკაცს მკლავში მხეცივით სწვდა და პირი მარკეტსუკან, რაღაც სკვერისკენ აქნევინა.

– წამო, წამო, იქ დავილაპარაკოთ! – ძველებჭურად ჩაუხავლა და მეუღლეს წარბაკვრით ანიშნა – შენც გამომეყო!

ხელჩავლებული მამაკაცი მორჩილად მიჰყვებოდა და სულ არ ცდილობდა, ატაცებული ჯონდისთვის ხელი გაემშვიდებინა, თორემ შეიძლება ეს უგვანო ძიძგილაობაში გადასვლოდათ და...

უმერხებო, დიდი ხნიდან ყურმიუგდებელ ცარიელ სკვერში რომ შევიდნენ, დამეოლ კაცს ჯონდომ ხელი ცივად შეუშვა და მეუღლეს ტახივით წაუტრიალდა.

– ენდი, შენ ამ ქლიავს საიდან იცნობ?

მაგბატანილმა ქალმა ქმარს მოწაფურად ჩაუსხა-პასხუპა.

– შვილებს გეფიცები, ჩემს სიცოცხლეში წვლან პირველად დავინახე!

– აბა, შენგან რა უნდოდა?

– მე საიდან უნდა ვიცოდე?! ეგ თვითონ მაგას ჰკითხე!

– აჰა! – ჯონდომ ხმა იმგვარად ჩაიბოხა, თითქოს რაღაც ეჭვები სწორუტყუვრად დაიდასტურაო და აუღელვებლობის ობელისკს დამსგავსებულ უცხო კაცს ყოფიურად ისე დააცქერდა, როგორც ფეხის წვერით გასასრეს რაღაც ჭიას.

– იცი, მე ვინა ვარ?

– ამ შემთხვევაში მაგის ცოდნას ჩემთვის რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს?!

ამგვარმა პასუხმა ჯონდის ენა მოაკვნეტინა. ამიტომ საქმის გარჩევის გასაგრძელებლად ამის მეტი სხვა ვეღარაფერი მოტვინა: სახეში უცებ მღვგაინივით შემოილაწუნა და თავისებურად შეურეგა.

– ამ მასივში რო იკით... ამ მასივში კი არა, მთელმა თბილისმაც იცის, ვინ არი აბრეზა!... ხოდა, ის აბრეზა მე ვარ!!! კაროჩე, ეხლა ჩამომოყაჭე, რა გინდა ჩემი ცოლისგან?! ოლონდ რამსები არ აგერიოს<sup>2</sup>, თორემ!... იცოდე, მე ვერ გამაცურებ!.. ჯერ ჩემი გამცურებელი არ დაბადებულა და რაღა შენ... ხოდა, აქ რიჟა ბაზარი<sup>3</sup> არ გამიბა – მინდა, ტოჩი-ტოჩ გავიგო – როდიდან იცნობ ჩემ კენინას და წვლან შუა ქუჩაში რას ებაზრებოდი?!. ჰა

– მეთქი! დაიცა, გაგონილი გექნება... როგორ არ გექნება – რადიო-ტელევიზიაშიც თქვეს და გაზეთებშიც სულ ამაზე წერდნენ!... მთელ თბილისს ხო ამის მეტი სხვა სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდა: თერთმეტი წლის წინათ რესტორან „ოკლახომაში“ პისტალეტებით ორმხრივი სროლა რომ ატეხეს, იმათში მეც ვიყავი!!! ექვსი დაიჭრა, იქიდან ორი ქალი!.. „სროკზე“ შეიღნი გაგვიშვეს, სამმა კი ბიძების ტრაკით თავი დაიხურინა!... ხოლა, გეუბნები, „სროკი“ კიდე არ ამაკიდებინო!.. არც მაგას შევეუშინდები, თუკი...  
 აუღელვებელი უცხო კაცი დაუჯერებელი მოთმინებით უსმენდა ენადაუყენებელ მხმახველს და როგორც კი მოსახდენი წამი შეურჩია, ისეთი გამაოგნებელი ხმით მიმართა, თვით გამძვინვარებულ სპილოსაც კი ეშვებს დააშვებინებდა.

– თუ არ მათქმევინებთ, ისე როგორ უნდა გაიგოთ, რა მინდა?  
 – ვააახ, ჩემი კეთილები!.. ეს ვინა ყოფილა! – თხლენაჭამმა ჯონდომ გულმოსაფხანადლა ამოღერლა და გვერდზე ძლეული ფალავანივით მიდგა, რადგან თავის სიცოცხლეში ჯერ განუცდელმა თვალახელამ ტვინი გაუქეჩა: ახლა ვიდა მოსთვლის, აგრე რამდენ შებერტყილს ასტრაბახებია და შიშით ხმა ჩაუწყვეტინებია, ამ ენამოხერხებულ „ქლიავთან“ გახუთხული ლაყაფი კი ფონს ვერ გაიყვანდა და თავისი გონებაჩლუნგობის გამოძხურებით მეუღლის თვალშიც თავი ეჭვებოდა!.

-Хорошо, я молчу! – დაუტოტავ ჭადრის ხეს ჯონდი ზურგით აყერდნო და უცხო კაცს ირონიული თავახიანობით შემოეკითხა, – მე ზედმეტი ვარ და წავიდე თუ აქ დარჩენის უფლებას მომცემთ?  
 – რატომ უნდა წახვიდეთ – ჩვენთან იყავით! – თანასწორულად გაეპასუხა ტვიდის შარვალ-კოსტიუმიანი და ჩაფიქრებით დასძინა, – ეტყობა, განგებამ აქ უამბოდ არ მოგიყვანათ!

უცხო კაცის ეს დაძინილი ქალს მოახლოებული ხიფათის მიმანიშნებლად ეჩვენა, მთელი ამ ხნის განმავლობაში იქვე, ჟანსიმინის ნახევრად შემხმარ ბუჩქთან რომ ატუხულიყო და დაწვები ნაირფრად ეღებებოდა – ეს შარვალ-კოსტიუმიანი საზიზღარი კაცი ჩემს ჭკუაბნელ ქმარს მოსყიდული ხომ არა ჰყავს და, მაშინდელი არ იყოს, ახლაც რამე საუნამუსო ცილისწამებას არ მითითხნიდესო! „სწორედ ასე იქნება! – მტკივნეულად გაეგლო გულში, – თორემ ეს ასაკოვანი კაცი სისხლჩაქროლებულ ჭაბუკივით რისთვის გადამიდგა შუა გზაში?!. ანდა სწორედ ამ დროს ჯონდის აქ რა ჭირი უნდოდა, ესენი მართლა შეკრულები თუ არ არიან?!“ ამის გაახრებაზე ქალს ისედაც დანადვლისფერებული სახე სულ ჩაეტეკა, თვალელებიც უღაზათოდ დაეჭურტა. თან შიშით შემოაჩერდა ასალაპარაკებლად შემართულ უცხოს.

კაცმა მაშინვე იგუმანა, რაც ხდებოდა კროთიმით მოჩერებული საბრალო ქალის გულში. ამიტომ გასამხნეველად გაჰკლიმა და საქმიანად დაიწყო.

– ქალბატონო ენდი, ამ თორმეტოდე დღის უკან, გვიან დამით შემთხვევით რამე ხომ არ დაგეკარგათ?

ქალს პირის კანი ჩალასავით წამოუნთო და გაოგნებით გაპობილი ბაგედან სლოკინ-სლოკინით ესლა ამოსდი-

ოდა.  
 – კი!.. კი!.. კი!..  
 – რა დაგეკ...  
 – რა და, ბეჭედი!.. ოქროს ბაჯაღლოს!.. ბაჯაღლო ოქროს!.. ნიშნობის ბაჯაღლოს ბეჭედი!.. რატომ მეკითხებით – თქვენ იპოვეთ?

ასალრენად შემართულმა ჯონდომ თავი მაინც ვერ შეიმაგრა და გაბუცებულ მეუღლეს დიდგულად წაუქანდა.  
 – ახვარო, ნიფხავიც ამის ლოგინში ხო არ დაგრჩა?! ჩვენ კიდე რას არ გვიკიბავდი!..

ქალი ამას კი არ მოელოდა! სახე ერთიანად აეტკრიცა! მარჯვენა ხელი უცებ ტაშისმკვრელივით ასწია და ქმარს ახლა თვითონ წაუქანდა, ოღონდ ისე, მათ შორის საიმელო მანძილი დარჩენილიყო.

– ამ გათახსირებულს ერთი ისეთი გაულაწუნე, მეორე აღარ დასჭირდეს! – გაანხლებით შეიძახა, მაგრამ იმავეწამიერად ხელი უღონოდ დაუშვა და გამომეტყველება უფრო გონივრული გაუხდა: უცხო კაცის თვალწინ ამას ვერ ჩაიდენდა! თან ქმარსაც ვერ გაუბედავდა! ან თუნდაც გაებედა, ეს მსგავს უწმაწურობას ჯონდის მაინც ვერ მოაშლევინებდა! ამიტომ ისევე უკუდგა და სწორედ ამ დროს უცხო მამაკაცის პირისახეზე მოულოდნელად ისეთი რამ ამოიკითხა, ვერასოდეს წარმოიდგენდა, ადამიანს თავისი გამომეტყველებით ამდენი რამის თქმა თუ შეეძლო: დამშვიდდით ქალბატონო, თქვენი მეუღლის ის სიტყვები კი მეც ჩამესმა, მაგრამ მათი აზრი და შინაარსი ვერ გავიგეო!

გულმომბალ ქალს თავისი სიცოცხლის მანძილზე თვალეები ასე ნუგეშმწველად არასოდეს ასცრემლებია. სახელოს ყოშიდან ჭრელევაკვილა ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლები წაიწმინდა.

– ჩემი ბეჭედი თქვენა გაქვთ?!. ან თქვენთან როგორ...  
 – ნუ ჩქარობთ, ქალბატონო, – კაცმა მშვიდად შეუტრიალა, – შეგიძლიათ, ის ბეჭედი დამიხასიათოდ?  
 – როგორ არა! – ნაიმედევმა ქალმა საპასუხოდ მხესავით გამოიღიმა, – ხალასი ბაჯაღლოა!.. თერთმეტგრამიანი!.. ჩვენ რომ შევერთდეთ – დაიწვას ის დღე! – ამ ვაუბატონმა მომიტანა!.. შიგნიდან ინიცილები აქვს ამოკვეთილი „ე პლიუს ჯ“ ესე იგი, ენდი და ჯონდო!.. თანაც...  
 – გასაგებია! – უცხო მამაკაცმა გულხმიერად შეაწვევტინა, – ახლა ერთი ეს მითხარით, რა ვითარებაში დაგეკარგათ?

– რა ვითარებაში?! – გაურკვეველი მოლოდინით აღელვებულმა ქალმა ბეცურად გაიმეორა, – რა ვითარებაში და ისა!.. უფროს გოგონას დაბადების დღეს ვუხდიდით!.. წვეულება დამთავრდა, სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ... ეს ისე დაგვეტრო, საწოლამდე ძლივს მივიყვანეთ!.. დედამთილ-მამამთილი და ბავშვებიც მოსასვენებლად გავუშვი, მე კი სუფრის ალაგებას შევეუდექი... თან ჭერხედა მეზობელი ქალი, სესილიც მეხმარებოდა!

ქალმა თავშეკავებით ამოიხრია.

– არ ვიცე, ეს რა ჭკუაში დამიჯდა, მსგავსი რამ არასოდეს მომსვლია – ჭურჭლის რეცხვისას ბეჭედი არ გამეკაწროს-მეთქი, წავიძვრე, ქაღალდის პირსახოცში გადავახვიე და კარადაზე შემოვდექი!.. – ყველაფრის მი-

ლაგ-მოლაგებას მოვრჩით, სესილსაც გასატანებელი გავატანე და წავიდა. მე კიდევ – ნაგვის ეს ამხელა პარკები აქ რაღას მეწვოს, ბარემ ესენიც ახლავე მოვიშორო-მეთქი და იმ შუალამისას დაბლა ჩავიტანე!.. ნახორმახართ გატენილი პარკი კი სავესე ურნაზე შემოვდე, მაგრამ მთელ-მთელი პურები დამენანა და პარკით ურნის კაუჭზე ძლივს ჩამოვკიდე!.. ვაი, გული!..

უცხო კაცმა ამოხვრა კი შეიკავა, მაგრამ თვალები მომაკვდავივით ჩაენისლა. ქალმა სული მოიბრუნა და განაგრძო.

– შინ რომ ამოვბრუნდი, რაკი ჯერ არ მეძინებოდა, სახლ-კარის ჩემბრუად მოწესრიგებას შევეუდექი და ბეჭედი მაშინდა მოვისაკლისე!.. მივედი კარდასთან – იქ აღარ დამხვდა!.. გადავაქოთე იქაურობა – ვერსად ვნახე!.. გაგიჟებას აღარაფერი მიკლდა!.. მაშინვე მალლა ავედი და სესილი გავადვიძე! კიო, ის ქაღალდის პირსახოციც მე ჩავაგდე გადასაყრელი პურების პარკში – რა ვიცოდი, შიგთუ ბეჭედი გექნებოდა გადახვეულიო! ჩავიდეო, ახლავე გაპოვინებო!.. მაგრამ შინ რაღას მაპოვინებდა – პარკები უკვე სანაგვეზე მქონდა ჩატანილი!.. მაშინ სესილიმ აიღო ჯიბის ფარანი და ლიფტით ძირს ჩავედით... მივადექით სანაგვეს და პირკატა მეცა – ნაგვით სავესე ორივე ურნა ხელუხლებელი იყო, კაუჭზე დაკიდებული პურების პარკი კი სადღაც გამქრალიყო!.. გონება გადამეკეტა... ველარ ვაზროვნებდი! ამიტომ მაშინვე სესილზე ვიეჭვიანე – ბეჭედს ეს ჩაიჯობავდა, წელან კი ულიფტოც ჩამოპარულა და პურების პარკი გაუქრია – მეთქი!.. მაგრამ... მაგრამ მძინარე ქალს საიდან უნდა გაეგო, ნაგვის პარკებს გვიან დილით კი არა, მაშინვე ჩავიტანდი?! ასე რომ... თანაც...

– საკმარისია, ქალბატონო!.. გახსვოთ, ბეჭედი რანაირი ქაღალდის პირსახოცში გაახვიეთ?

– ჰმ! როგორ არ მეხსოვება!

უცხო მამაკაცმა შარვლის ჯიბიდან ოთხი სხვადასხვაანაირი, თვალმახარი ორნამენტებითა და ვვავილის წვრილი კოკრებით მოჩითული, მიჭმუჭნილ-მოჭმუჭნილი ქაღალდის პირსახოცები ამოიღო და ხელისგულზე გაიმწკრივა.

– აბა, აქედან რომელი იყო?

– აი, ეს! – ქალი ერთ-ერთ მათგანს ქორივით დააცხრა და ფაცურით გაშალა.

უცხო კაცისა და მეუღლის ამგვარ იწილო-ბიწილოს ჯონდი აგლებით გამოსცქეროდა.

– აბა, სად არის ბეჭედი? – გაფითრებულმა ქალმა იმედგაცრუებით ამოიჩურჩულა და ქაღალდის ნაცნობი პირსახოცი თავის ადგილად ცივად დააბრუნა.

– აქ არის!

უცხო კაცმა ქაღალდის პირსახოცები ერთმანეთში უფრო დაჭმუჭნა და ისევ შარვლის ჯიბეში ჩაიბრუნა. მერე კოსტიუმის ჯიბიდან ამოღებული ბეჭედი ქალს გაუწოდა.

– ჩემი ბეჭედი!.. ნიშნობის ბეჭედი! – ქალმა ერთი შლეგურად შეუწვივლა და თითზე ისეთი ყოფით წამოიცივა, თითქოს შიშმა აიტანა – კიდევ არ დამეკარგოსო.

ქალს ოღნავ მომუშტული, ახლა ისევ ბეჭდით დამშვენებული მარჯვენა თვალებთან ხან ახლოს მიჰქონდა, ხან კი მოშორებით დაიჭერდა ხოლმე, რათა დარწმუნებულიყო

– ეს ვეველაფერი სიზმრად კი არა, ცხადად ხდებოდა!.. მოულოდნელად უცხო მამაკაცს კისერზე მკლავები შემოაჭლო, გადაკოცნა და ასე, გულმკერდზე ახუტებული, უმწეოდ აუტირდა.

– უბეჭდო ხელზე დახედვა აღარ შემეძლო ხოლმე!.. ლამის სამზარეულოს ცულით მომეჭრა!.. თქვენ რომ არ... ვინ იცის, ვის... ღმერთმა დაგლოცოთ!.. – ქალი ნაჭერ-ნაჭერ ისროდა, თან ქმარს თვალით ანიშნა – ისიც მათ მოახლოებოდა!

მორუშხულმა ჯონდომ ცოლის ნიშნება უხალისოდ შეასრულა.

უცხო მამაკაცის გულმკერდიდან ქალმა ახლა ქმრის მკერდზე გადაინაცვლა, ბეჭდიანი ხელი აუწია და მას უფრო მეტი მღუღარებით აუქვითინდა.

– აი, ჩვენი ნიშნობის ბეჭედი!.. ღმერთმა მაინც არ გაგეწირა!.. ჩვენ კი ვილაზე არ...

ჯონდომ მეუღლეს უმად შეაწვევტინა.

– ჰო... გეყოფა... დამშვიდდი!

ქალი მართლაც უცებ დამშვიდდა. მეუღლის მკერდიდან თავი აიღო და გამომცდელი თვალით უცხო მამაკაცს შემოაშტერდა.

– კი მაგრამ, ჩემი ბეჭედი თქვენ რანაირად იპოვეთ? – იკითხა და შეყოყმანებით ამოთქვა, – მენაგვე ხართ?

– არა, მწერალი.

ჯონდის შესამჩნევად გაუტოკდა კოპებიანი შუბლი, ენდის კი წარბები მიმოუქანდა და სახეზე გაკვირვება შეაფერინდა.

– მწერალი?! მაშინ მით უფრო საკვირველია, – ქმრის ეჭვების გასათანტად და თავისი ჭკუა-გონების გამოსაჩენად ქალის ენა-პირით ახლა უკვე უკანდაუხვეველი პირდაპირობა მიუნდობლად ლაპარაკობდა, – მწერალს სანაგვესთან რა გესაქმებოდათ, თანაც იმ შუალამისას?! ან ჩემი ბეჭედი როგორ იპოვეთ?... ანდა საიდან გაიგეთ, ვის ეკუთვნოდა?

ერთმანეთზე მიყრილმა ქალის აზრიანმა კითხვებმა მწერალს პირზე კლიტე დაადო. მაგრამ ამგვარი დამუნჯებაც დიდხანს არ შეიძლება გაგრძელებულიყო, ვინაიდან თვალჩაივებით მოჩერებული ცოლ-ქმრის მხერა მას რაღაცაში ეჭვიმტანილს ამსგავსებდა!

მწერალს სახე მოეწმინდა, გულიდან დარღღის ამოყრის შემთხვევა რომ მიეცა.

– გცალიათ?... დრო გაქვთ?

– კი! – ენდომ ქმრის მაგივრადაც უპასუხა.

მწერალმა ახლა ჯონდის შეხედა.

– სადმე ხომ არ დავმსხდარიყავით, თორემ ქალბატონი ასე დაიღლება.

– არაფერი მიჭირს! – ენდომ ქმარს ხელკავი გამოსდო და ოლიმპიელი სპორტსმენივით გაიჭიმა.

– კეთილი, – მწერალი მანდილოსანს მყისვე დაუეზაბულდა და გარჩევით დაიწყო, – წარმოშობით ერთი მივარდნილი სოფლიდანა ვარ, თანაც მხვნელ-მთესველთა გვარ-ტომისა... მართალია, მექანიზაცია ნელ-ნელა ჩვენთანაც შემოდიოდა, მაგრამ ისეთ ფერდობებს, სადაც ტრაქტორი ვერ უდგებოდა, ნახევარგუთხიულითაც ძლივსა ხნავდნენ. ამიტომ...

– ნახევარი გუთანია?! – ჯონდომ მცოდნე კაცივით შეინ-

ასკვა წარბები, – ნახევარი გუთანი პირველად მესმის!.. ნახევარი გუთნით როგო... უნდა მოიხნას?

– ნახევარი გუთანი კი არა, ნახევარგუთნულით-მეთქი.

– გუთანი გამიგონია – კინოშიც დამინახავს, – ჯონდომ კვლავ თავდაჯერებით გაილაპარაკა, – მაგრამ ერთი გამიიასნე – გუთნული რაღაა?

– გუთანში ერთი შებმა ხარ-კამეჩი – ოთხიდან რვა ულამდე... მაგრამ რაკი იმ ფერდობებზე გუთნული ვერ გაიშლებოდა, ნახევარგუთნულით ანუ ორიდან ოთხ ულამდე ხარ-კამეჩით ხნავდნენ.

– ეხლა გავიგე!

– მამაჩემი გუთნისდელა იყო და იმ ფერდობებს მხოლოდ ხარ-კამეჩებით ხნავდნენ. ზაფხულობით და შემოდგომობითაც, სანამ სკოლაში მიმიყვანდნენ, სულ მამას დავევდი სახნავეში. მეგუთნეები რაკი მატყობდნენ, წამოჩიტიული ბიჭებივით მეც მეხრეობა მენატრებოდა, ჯერ საამისო შნო კი არ მომდევდა, უდელზე აპეურებით დამაკრავდნენ ხოლმე, არ გადმოგვივარდესო და მსუბუქ სახრეს დამაჭერინებდნენ – აბა, შენ იცი, ხარები ყოხალად გაგვირეკეო!

შორეულმა მოგონებებმა მწერალს თვალები წაუხუჭა, მაგრამ მალევე გაახილა.

– ნამჯადაგებულ ფარდალალა ქოხში დამესაც ხშირად მათთან ვათევედი... ო, პურის როგორი ყადრი იცოდნენ – ხშიადის ნამცეც...

ენდომ მწერალს სიტყვა შუაზე გადაუტეხა.

– ხშიადი რა არის?

– უსაფუერო ცომისაგან გამომცხვარი პური, – მწერალმა ისე განმარტა, ქალის უმეცრება როგორმე გაქარწყლებულიყო და თავისებურად განაგრძო, – ჰოდა, ხშიადის ერთ ნამცეცსაც არავინ გადაადგებდა!.. ალოობა რომ დაიწყებოდა, ცხადია, იმ ფერდობებს ნამგლებით მკიდნენ!.. წვრილფეხობა კი, რომელიმე მერგოლური ქალის წინამძღოლობით, მომკვლებს უკან ბაწარადებით მივევებოდით – თავთავი კი არა, ერთი მარცვალაც რომ არსად ჩაკარგულიყო!

მწერალს პირისახე მოეღრუბლა.

– აქ?! ნეტავი დედამიწის ზურგზე სადმე იქნება, სადაც პურს ასე უმადურად ეყრობოდნენ?!.. საითაც უნდა გაიარო ან გაიხედო, შეუძლებელია, აქა-იქ მიკიდებულ-მოკიდებულ პურით სავსე პარკები არ დაინახო! აი...

ენდომ სახეზე ნაღვლიანი გამოხატულება დაიტიყო, მწერალმა კი კოსტიუმის ჯიბიდან ამოღებული დარკვეული ხორბლის მარცვლები ცოლ-ქმარს აჩვენა.

– აი, საგარეო ტანსაცმლის ყველა ჯიბეში მიყრია, – მწერლის ხმას დასაწყლებული ჰანგი გაერია, – ცოლ-შვილი დამცინის კიდევ – მაგით შენ ქვეყანას ვერ გამოასწორებო!.. ჰმ! მე ქვეყნის რომელი გამომსწორებელი ვარ – ამაზე ვისთანაც კი ლაპარაკი შემიხვდება ხოლმე, იმათთვისაც ვერაფერი შემისმენინებია!

ჯონდომ ხეტად იკითხა.

– რა უნდა შეასმენინო?

– სადაც უნდა შევასწრო თვალი, ვინმეს შინიდან პური გამოუტანია და ნაგვის ურნაში ჩაგდებს უპირებს... თუმც ბევრს სანაგვემდე მისვლაც ეხარება – ერთი სული აქვს, დროზე მოიშოროს და სადმე მიაკიდოს!.. თან სწამთ, ამით

დიდ გულმოწყალებას იჩენენ – ვინმე მათხოვარი წაიღებს ან ძაღლები დაპურდებიანო! ამას კი აღარ უფიქრდებიან – ნათაგარმა პურმა შეიძლება მთელ ქალაქში ინფექცია ან რამე ვირუსი გაავრცელოს და...

მწერალმა იგრძნო ენდის უცნაური შემოსტერება და სათხრობი ცოტათი აერია.

– ჰოდა, ვინც უნდა იყოს, მივედივარ და... თუმც ზოგიერთები, რაკი ყველაფერს წინდაწინ ხვდებიან, მაშინვე ფაცხაფუცხით მშორდებიან!.. ხოლო ვინც გამიჩერდება, ხორბლის მარცვლებს ამოვიღებ და უჭვინებ, ხოლო თუ ინება, შინ წასაღებად და დასაფიქრებლად ცოტცოტაობით ხელისგულზეც დავუყრი ხოლმე და ვცდილობ, ადამიანურად ავუხსნა: ნუთუ არ იცით, რამდენი შრომა სჭირდება ჯერ მარტო ამ მარცვლების მოყვანას, მერე კი მისგან პურის გამოცხობას?!.. მაშ, ღმერთისა მაინც როგორ არ გეშინიათ – ამდენი პური გადასაყრელად რომ გამოგიტეხებიათ – მეთქი?!

მოპირქუშებულ სახეზე მწერალმა მტკივნეულად ჩამოისვა ხელი.

– უმრავლესობისთვის ვერ გამიგებინებია, რაზე ველაპარაკები – აბა, დაძველებულ პურს რა ვუყვითო?! თქვე დალოცვილებო, მერედა, რატომ აძველებთ?! თუ რამე მიხეზით ზედმეტი დაგიგროვდათ, თქვენთვის სასურველ ზომაზე დაჭერით და გახჭურაში გაახმეთ! ეჰ, მაგის დრო სადა გვაქვსო!.. ელაპარაკეთ!.. არადა, გამხმარი პური შეჭამანდში როგორი გემრიელია!..

სიტყვაზე „შეჭამანდი“ ჯონდის პირ-ტუჩზე დაუმთავრებელი ღიმი გაუკრთა.

მწერალმა ტკეპნით განაგრძო.

– ზოგიერთი დანაშაულებული კი თავისი ღუმელით მაინც შეთანხმება და ცდილობს, მომუჭული თითებიდან ხორბლის მარცვლები არ ჩამოეფანტოს!.. თუმც მისი გამომეტყველება მახვედრებს – ის ამ განწირული პურის უკან წამლები არ არის და მხოლოდ ჩემ მოფარებას უცდის, რათა... ან გინდაც ყველამ დამიჯეროს, მე მთელ თბილისს ხომ ვერ გადავწვებები?! არადა, ერთი დააკვირდით, რა ხდება!..

მწერალს სახე მოეთენთა.

– ერთმა ქალბატონმა კი აქეთ შემომიტია: ვიდაც მოცილილი შატაბუტა ხარ, ეს რა სისულელეებს მეუბნები – დაობებული პურით, აბა, კუჭები დავიავადმყოფოთ?! ისეთი რა გამჭირვებია, „ბოვშეებს“ ყოველ დილით ცხელ-ცხელი პური ვერ ვუყიდო!.. ეგ რაღაც მარცვლები მე არა მჭირდება, შენთვის შეინახეო – ამიკრა ხელი და ზედ შემომავარა!

– დედა! – ენდომ თითქოს თვალთმაქცურად შეიცხადა.

ენდის შემახებულმა და მოუთმენელმა მხერამ მწერალს აგრძნობინა – მოკლედ მოჭრის დრო იყო!

– ჰოდა, იმ საღამოს ერთ პოეტ მანდილოსანს გამომცემლობაში ჩასაბარებელი ხელნაწერის სტილისტურად გამართვაში (ამაზე ენდომ ყურები ცქციბა!) ვეხმარებოდი, – მწერალმა განსხვავებული რიხით განაგრძო, – საქმემ შეგვიყოლია და შემომადმდა. ჩემი ავტობუსი აღარც იქნება ან გინდაც იყოს, ვინ იცის, როდის მოვა-მეთქი და ჩემს სიცოცხლეში თქვენი კვარტალი ალაღბებდზე პირველად გადმოვჭერი!..



– მერე, მერე?! – ენდის მოთმინება არ ჰყოფინდა.

– დაბურულ ატრაქციონს რომ შემოვცდი, რასა ვხედავ – ქალბატონო ენდი, თქვენ ორი გატენილი პარკით მიაღექით ნაგვის ურნებს!.. ერთ-ერთი მათგანი ძლივს შეაგდეთ მოპირთავებულ ურნაზე, მეორე, პურებით სავსე იმხელა პარკი კი, ეტყობა, დაგენანათ და ურნის კაუჭაზე დაუწყეთ დამაგრება!

– ზუსტად ასე იყო! – წამოიყვილა ენდომ, – მაშ, მე რატო ვერ დაგინახე?

– თქვენ როგორ დამინახავდით – ზურგით იღექით! – მიაგება მწერალმა, – მე კი, „ნუგეშის“ ფარდულთან ატუხულს, გული მეკეპებოდა – ასეთი ახალგაზრდა, მშვენიერი ქალბატონი (ენდის უცნაურად აუცისკროვნდა თვალები და ქმარს აღმაცერად ახედა!) პურს გადასაყრელად როგორ იმეტებს-მეთქი! ამიტომ მაშინვე მოვისინჯე დარჩენილი ხორბლის მარცვლები, რადგან გამოლაპარაკება თქვენთანაც მომინდა, მაგრამ იმ შუალამისას მეუხერხულა!.. თანაც უკვე საგრძნობლად ციოდა, თქვენ კი წვრილვკავილა, უსახლეებო საზაფხულო კაბით იყავით გამოსული და არ დაგრეილოს-მეთქი!

– სწორია!.. მართალია! – ქალს ხმა აუტირდა, – ასე ზუსტად რამ დაგამახსოვრათ?!.. რა ყურადღებიანი ყოფილხართ!.. ნეტა ყველა მამაკაცი ასეთი...

– თქვენ შინისკენ რომ გაეჩქარეთ... – მწერალს მოულოდნელად ენა პირში ჩაუვარდა, – აი, არ ვიცი... როგორც გინდათ, ისე გამიგეთ, მაგრამ გულმა ვერ მომიტოვინა – ურნასთან მივედი, პარკი ჩამოვხსენი და შიგ ჩავიხედე – ფურნის მთელ-მთელი პურები... შოთის ნაჭრები... მჭადები... რაღაც კეცეულები!.. უცებ მომეჩვენა, ჩემი ბავშვობისდროინდელი ის მეგუთნეები ღმერთთან ერთად ზემოდან დამყურებდნენ, აბა, ერთი როგორ მოვიქცეოდი – იმოდენა პურს გადავარჩინდი თუ კატა-თაგვების სათრეუ-სადირღნად ან ნაგვის ურნისთვის გავწირავდი!..

მწერალმა ენა ისევ დაიდუმა. ეტყობა, მოწოლილ ცრემლსა და განცდებს უმკლავდებოდა.

– დედ-მამის საფლავებს გეფიცებით, ასე ნაგვის ურნიდან ჩამოხსნილი პურის პარკი ჩემს სიცოცხლეში პირველად წავიდე!

– იღბალი! – შეიცხადა აღგზნებულმა ენდომ, ქმართან გაყრილი ხელკავი ახლა ღუშავს რომ დამსგავსებოდა, – აქეთ რომ არ გადმოგველოთ!.. ან რაღაზე არ... ღმერთო, დაგელოცოს სამართალი!

– იმჟამად მარტოკა ვიყავი, – განაგრძო მწერალმა, – ჯალაბი ერთი კვირით სოფლად იყო – ცოლეურს სიმინდის ახალკასა და ლობიოს გამოპარკვაში ეხმარებოდნენ... შინ რომ მივედი, ხელები დავიბანე და სამზარეულოში მაშინვე პურების ამოლაგებას შევუდექი... თონის პურის ერთ-ერთმა ნაჭერმა წვერით რაღც მოჭმუჭნილი ქალაღდის პირსახოცი ამოიყოლა! ორი თითი აზიზად მოვიკიდე და ნაგვის ვედროსკენ გავიქნე!

– დედა! – წამოიკვნესა ენდომ.

– მართალია, მიზანს ავაცდინე და მოჭმუჭნილმა ქალაღდმა პლასტმასის ვედროს კიდეზე უცნაური წკაპანი გაიღო, მაგრამ მაინც ვედროში ჩავარდა, ლინოლეუმზე კი რაღაცამ გაიბზრიალა!

არაქათგამოლეულ ენდის თავშეუკავებელი ქვითინი აუ-

ვარდა და უილაჯოდ გაიწია, უცხო კაცს წელანდებურად რომ გადახვეოდა, მაგრამ ქმარმა ხელკავიდან არ გაუშვა. ქალი იმითლა შემოიფარგლა, ბეჭდიან ხელს თვალები ჩააშტერა, თანაც ისე, მოხრობლისთვისაც რომ ესმინა.

– რა უნდა იყოს-მეთქი?! – მწერალს შუბლი შეუნაოჭდა, – ავიდე და რასაც ვხედავ – ბაჯადლო ოქროს ბეჭედი! თან შიგნიდან რაღაც... გამოვიტანე გამადიდებელი შუშა და – ინიციალებია ამოტვიფრული ე პლუს ჯ!..

– გესმის, ჯონდი?!.. მტრედით შეიფართხალა ქმრის ხელკავში გამომწვევდელმა ქალმა და თანამეცხედრეს ღამის მთვეელი მლოცველივით აეხუტა, – ვინ ამბობს, ღმერთი არ არისო?!.. არის!.. არის!.. არის!

– დაახლოებით ყველაფერს მივხვდი, – მწერალი ნირუცველად განაგრძობდა, – ჰოდა, ჩემი წამებაც იქიდან დაიწყო... თორმეტი დღის განმავლობაში დილაადრიან აშუადღებამდე და საღამოთი, გვიან ვახშობამდე ნაგვის იმ ურნებსა და ყველაზე ახლო გაჩერებასთან გაუცდენლად ვტრიალებდი – აი, დღეს, აი, ხვალ გამოჩნდება-მეთქი, მაგრამ თქვენ არა და არ ჩანდით, ქალბატონო ენდი!

– ჩემი სიკვდილი! – ენდომ დამნაშავესავით წაილაპარაკა, – მეორე დღესვე მე და ეს ბულაჩაურის აგარაკზე წავედი თქვენ შუბლების დარჩენილი დღეების გასატარებლად!.. გუშინ საღამოს, რვის ნახევარზე ჩამოვედი!

– მე კი დავიეჭვე, – მწერალმა უფრო დამაჯერებლად განაგრძო. – ის ქალი იქნებ ცხვირწინაც გამივლ-გამომივლის ხოლმე, მე კი მისი სახე კარგად აღარ მახსოვს... ან სულაც ჩამოსული სტუმარი იყო და უკვე წავიდა-მეთქი! ამიტომ...

– ამიტომ გადაწვიტეთ, ხელი ჩაგექნით, არა?! – ენიდან მოსწყდა ენდის.

– არა! – მწერალმა სულ არ დაინია შეურაცხყოფა, – გადაწვიტეთ, რომელიმე გაზეთში წერილი გამომქვეყნებინა ან ტელევიზიით გამოვსულიყავი და ბეჭდის პატრონი უეჭველად შეპოვა!.. წედან, გამომცემლობიდან შინ მომავალმა, შემთხვევით როგორც კი შეგასწარი თვალი, მაშინვე გიცანი და...

აქ მწერალი დადუმდა და პირისახეზე შემარბებლური ღიმილი გადაეკრა.

– დანარჩენი უკვე თქვენც იცით, რაც... –

– მაპატიეთ, წედან ისე რომ... – ენდომ მწერალს სიტყვა მიატოვებინა, – რაც ეს ბეჭედი დამეკარგა, ჩემს თავს მე თვითონ ვედარა ვცნობ!.. თან თქვენმა გარეგნობამაც შემეყვანა შეცდომაში: ამისთანა სერიოზული კაცი შუა ქუჩაში ნეტა რას მეშუტკავება-მეთქი!.. ჯონდისაც უნდა გაუგოთ – ხომ იცით ქართველი მამაკაცების ამბავი!

– ყველაფერი მესმის, ქალბატონო!

მშვიდი, ერთი შეხედვით ამათი შეხვედრის დამავირგვინებელი სიჩუმე ჩამოვარდა.

ჯონდი თითქოს ამას უცდიდა.

– მოდი, ახლა შევეშვათ რაღაც ფეტვის მარცვლებს... პურის ნატეხებს... სანაგვის ურნებსა და საქმეზე დავილაპარაკოთ! – ძველბიჭურ, ოღონდ მწერლობის პატივისცემის

ნიშნად სახელდახელოდ გარანდულ „კულტურულ“ კილოზე აუღაპარაკა თვალგაყრილ უცხო მამაკაცს,

– როგორ, ამ ბაჯალლოს ბეჭედს სხვა ვინ გამოგვიჩენდა – ვგრევე შეიტყაპუნებდა, როგორც დაგიბარებია! ჰმ, ყველაფერი მესმის – ცხრა ნომერი კალოში<sup>4</sup> ხო არა ვარ, არა?!. მე ჯერ ქვეშიდან არ გამოვსულვარ და არც ეხლა გამოვალ!.. კაროჩე, ცვეტში გეტყვი<sup>5</sup>: ჩაიწერე...თ ჩემი მობილურის ნომერი და როცა გაგიხარდებათ... ოღონდ ზნაკი წინასწარ მაძე!.. ხოდა, რამდენიც გინდა, იმდენი ძმაკაცი წამაიყვანეთ, მე კიდე ჩემს ხალხს შევერი და იმ დღით თბილისის ლუბოი რესტორანს ვაკეტავ!!!

თავშეკაკებელი მჭავე ღიმილის ნარჩენმა მწერლის სახეს ღრუბლის ნაგლეჯივით გადაუარა.

– დამიჯერეთ, არაფრის დაკეტვა არ არის საჭირო, ვინაიდან...

– გეუბნები, არ შეგარცხვენ – სუფრაზე ჩიტის რძეს გავაჩენ-მეთქი!

– მერე, დღეს ვინ არის ჩიტის რძის ღირსი – სამშობლო დალუპვის კარამდე მივიყვანეთ!

– მეძრე, ჩვენ რა შუაში ვართ – ვინც დამნაშავეა, პასუხიც იმათ აგონ! – ჯონდომ გაკვირვებით მოუჭრა და ლოთიფოტურად შეუძახა, – ამ ბეჭდის გამო გათენებამდე უნდა ვიქეიფოთ – რა ვქნა, მე ვგეთი კაცი ვარ!

– ბატონო ჯონდი, მესმის თქვენი მაგეთობა, – გულდიად განუმარტა მწერალმა, – მაგრამ მეც ხომ მაქვს უფლება, რამენაირი ვიყო?!.. ჰოდა, მე კიდევ „ეგეთი“ ვარ – ღმერთს მოქეიფედ არ გავუჩენივარ!

ჯონდის გასაკვირი გულწრფელობით აუციმციმდა თვალები.

– რატო, კაცო?

– არ ვიცი, – თავდახრით დაიწყო მწერალმა, – შეიძლება ორი-სამი თვე ისე გავიდეს, სოფლიდან ძმის მიერ მოწვდილი თავანკარა ღვინო არც გამახსენდეს!.. ხოლო თუ გამახსენდა, ერთ ჭიქაზე მეტს მაინც არ... ვერა ვსვამ ხოლმე!

– ვაახ, ეს რა მესმის?! – იმავე კილოთი იკითხა ჯონდომ და მეუღლეს ისე გახედა, თითქოს სამომავლო მოწმედ სჭირდებო, – რატო, კაცო, რატო?

– ვერც მაგას აგისხნი, – ჩაფიქრებით განაგრძო მწერალმა, – პირველი ყლუპები ჩემზე ისე მოქმედებს, როგორც უკვდავების ნექტარი! მაგრამ ჭიქაში ღვინო ფირფიტადლა რომ ჩარჩება ხოლმე, გემო და სურნელი ეკარგება, მე კიდევ გული ისევ საწერი მაგიდისკენ მიმიწევს!

– არა, რესტორანში რო შევქუჩდებით, ეგ ჩემ ძმაკაცებსაც მოუყევი – ო, რას იკაიფებენ! – უცნაურად შემხიარულდა ჯონდი, – ერთი ჭიქა კი არა, ტრუსიკის ძმაკაცი მყავს, ბღერტო, ერთ ქეიფზე ათ-თორმეტ ბოთლს იგრე ზაპროსტა სვამს, რომც არ გინდოდეს, შენც მოგანდომებს!.. აი, ხო ნახავ...თ!

– თაზარა?! – ბავშვურად შეახსენა ენდომ.

– ო, თაზო ხო ანეკტოტია! – მეუღლის ნაკარნახევს მაშინვე დააძახა ქმარმა, – ღვინით სავსე პივის კრუსკას მაგიდაზე დაუდგამენ, ის კი უხელოდ, კბილებით ნელ-ნელა ასწევს ხოლმე და იგრე ჩამოიწურავს, წვეთი არ ჩამოუვარდება!.. ბევრები ეჯობრებიან, მაგრამ

არაფერი გამოსდით! თაზოს კი დამუღამებული აქვს!.. ქალო, რაღა თაზო?!. ტურფა ქუცანაშვილი?!

– ქაცანაშვილი!

– ჰო, ქაცანაშვილი! – უმაღ გაასწორა ჯონდომ და ისევ მწერალს მიუტრიალდა, – ამისი ერთი დაქალია, ტურფა ქაცანაშვილი! ხოდა, ეგეთ ხინკალს უხვევს, მართო უნდა უყურო! რესტორნის ხინკალი, აბა, რა ხინკალია – იმხელა კუჭებს უკეთებენ, ამობრუნებული სოკოები გგონება! ტურფა კი... აი, არ ვიცი – იტყვი, კუჭის ადგილას ხინკლისთვის საროჩკის დილი დაუკერებიათ!

ენდი სულ გამოცოცხლდა.

– ჰი-ჰი-ჰი!

– როცა ბიჭები რესტორანში ან სამწვადე-სახინკლეში ვართ, იმათ ქოლგასავით ხინკალს რა შეგვაჭმევს – ცარიელი ცომია, თან არც წვნიანი გულის გაკეთება იციან... ტურფას წინასწარ ყველაფერს შინ მივუტანთ ხოლმე და ჩვენთვის ახვევს!.. როცა მოგვეხოშება, შეპირებულ ტაქსისტს დავურეკავთ და ტურფას ხინკალს ვახარმვინებთ!.. ერთხელ მეზობელი მაგიდის მოკაიფეებს ერთი სინი ხინკალი გავუგზავნეთ და მზარეულებს შუხური აუტეხეს – ჩვენც ვგეთი გვინდაო! ვააა, „ეგეთი“ საიდან დაგიხატოთ – ამათ შინიდან მოატანინესო!... კაროჩე, იქ ცირკები დატრიალდა!..

ჯონდი მოულოდნელად დაღუძდა, გამომეტყველებაც გამოეცვალა.

– ძველებს სიაბანდზე კი არ უთქვამთ – გადადებული საქმე ეშმაკისააო! ხოდა, ბარემ ეხლავე დავთქვათ, ბანკეტი როდი გადავიხადოთ – ამკვირია თუ იმკვირია?!

მწერლის გამომეტყველებამ უხერხული ღუმილი ჩამოაგდო.

– როგორც ახლახანა ვთქვი, მე მოქეიფე კაცი არა ვარ და არც ქეიფებში სიარულის წუთისოფელი მამა-დია. – ეჭვიმითანლივით ალაპარაკდა მწერალი, – თქვენ ნიშნობის ბეჭედი შემთვევით დაგეკარგათ, ღმერთმა კი გაპოვინანთ! მაშ, მოდი, აქ დავამთავროთ!.. ბატონო ჯონდი, როგორც მამაკაცი მამაკაცს ისე გთხოვ – შეგიძლიათ, გამიგოთ?

– როგორც თქვენ გაგიხარდებათ!.. რაზეა ლაპარაკი?!. მაშინ მოგიკვდეთ ჩემი თავი! – ჯონდომ მწერალს იმსიგრძე მკლავები ლაქიურად გაუშალა და მუხლებში სასაცილოდ ჩაიხარა. მერე მეუღლეს გვერდში ამოუდგა და მზარზე ხელი ისე გადასდო, თითქოს სურათი უნდა გადაიღონო.

– რატომ ასე... – ნათხოვარი ხმით აჩურჩულდა ენდი, სალოცავში პირველად მისულ მხეწწნელს რომ დამსგავსებოდა, – არაა აუცილებელი მაინცდამაინც რესტორნები... ყავაზეც... გეკონოდა ადამიანური ურთიერთობა... სესილის გაგაცნობილთ – როგორ გაუხარდება!.. მართალია, წელან ისე... მაგრამ არც ჩვენა ვართ უხეირო ხალხი!

– ეგ ფიქრადაც არ გამიბარებია, ქალბატონო ენდი! – საწყლურად აულაპარაკდა მწერალი, – მაგრამ ჩემთვის რა მნიშვნელობა ექნება, დრო რანაირ ვითარებასა და გარემოში დამეკარგება?!. მერწმუნეთ, ამ ასაკში ახალ-ახალ ურთიერთობას ვედარავისთან გავაბამ – სამაგისო დრო... გულისყური... ხალისი თუ გუნება-განწყობილება ვედარ გამწვდება!..

მწერალს სევდიანად ჩაეცინა.

– ის კი არა, ჩემსა და მეუღლის ნათესაობასაც უკვე

მოძულეული ვეაგარ – ჩვენთან ხო ფეხი არ შემოგოცდებოდათ!.. ჩვენც ჭერი გვაფარია, ვაჭბატონო!.. ზაფხულობით მაინც ამოდით და სხვა და სხვა. იმათ ჰგონიათ, რომ... მე ასე კარდაკარ რომ ვიარო, როდისღა...

– მე კი... – მიმქრალი ხმით ძლივგასაგონად წათქვა ენდომ და იმავე წამს მხარზე ქმრის ხელის მოჭერა იგრძნო – გაჩერდი ახლა – თავი დაანებო! მაგრამ ქალმა თავისი ამოსათქმელი მაინც ამოთქვა, – მე კი... ბავშვებს საგამოცდო თემებს დაუწერდით და რა ჰქვია, ისა... სტილისტურადაც ჩაუსწორებდით!... როგორ იამაყებდნენ!

მწერალს უპეები ისე ჩაუშუქდა, აშკარა იყო, ამგვარი თხოვნით სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული!

– ქალბატონო ენდი, მერწმუნეთ, სასკოლო თემებს თვითონ ბავშვები ჩემზე უკეთ დაწერენ!.. თანაც აქედანვე ნუ მიაჩვენთ სხვის მოიმედობას!

გამორების მიმანიშნებელი ღუმილი ჩამოვარდა.

მოულოდნელად ჯონდის ბეჯითი ხმით ალაპარაკება სადღეგრძელოს დასაწყისს დაემსგავსა.

– თუ საიდუმლო არ არის, თქვენი გვარ-სახელი მაინც გვაჩუქეთ!

– აქ რა საიდუმლო შეიძლება იყოს?! – მწერალს წრფელად გაეღიმა და ელვისებურად ამასაც მიხვდა: ცოლ-ქმრის თავმოყვარეობის გასაფრთხილებლად ყოველ შემთხვევისათვის სინამდვილიდან ოდნავ მაინც უნდა გადაეხვიდა, – ოღონდ წინდაწინვე იცოდეთ: მე ერთი რიგითი, უმნიშვნელო პროზაიკოსი ვარ და მხოლოდ მკითხველთა ვიწრო წრეში მიცნობენ!.. ამიტომ ჩემმა გვარ-სახელმა თუ ვერაფერი გითხრათ, ამაში თქვენ კი არა, მე ვიქნები დამნაშავე!

მწერალი წამით დადუმდა და ბავშვებივით შემოჩერებულიებს თავისი ვინაობა დაუსახელა! ცოლ-ქმარს ნერვიც არ გასტოკებია – ასეთი მწერალი მათთვის პირველი გაგონება აღმოჩნდა!

– ო, დიდხანს შევყოვნდით! – უხერხულობის გასაფანტავად ისევ მწერალმა წამოიწყო, – მერწმუნეთ, თქვენზე არანაკლებ გახარებული ვარ, მაგ ბეჭედმა თავისი პატრონი რომ იპოვა და მეც გავთავისუფლდი ცამეტდღიანი შებოჭილობისაგან!.. აბა, სულ კარგად!

მწერალი მსუბუქად წამოტრიალდა და შინისაკენ გასწავა.

\* \* \*

მას აქეთ თორმეტიოდე წელიწადი ისე ჩამოიძაფა, ისინი ერთმანეთს ბრმა შემთხვევასაც აღარსად შეუხვედრებია...

2022 წლის ოქტომბრის მიწურული იდგა. მთელი დღე ქარწვიმიანი ამინდი ეჭირა. მართალია, სადამოსთვის ქარი ჩადგა და წვიმამაც გადაიღო, მაგრამ უკვე საგრძნობლად ციოდა...

მეტროსადგურთან „ახმეტელი“ ავტობუსების გაჩერების ირგვლივ თავშეყრილ მგზავრებს ენდი და ჯონდიც შემოემატა. ეტყობა, წვეულებაზე ყოფილიყვნენ – ჯონდი ქართველურად შეზარხოშუბულიყო, ენდი კი მხოლოდ სასმელის სუნს აფრქვევდა! ცხადია, ვიღაცასთან თუ რაღაცასთან დაკავშირებით ერთ პატარა ჭიქას თვითონ გადაჰკრავდა ანდა იძულებით გადააკრევივებდნენ – მაგისი რა გვესწავლება?!

უკვე გვიანი იყო, თანაც კვირადღე და ავტობუსები კანტიკუნტად მოძრაობდა. ამიტომ გაჩერებაზე ხალხი თანდათან მატულობდა.

– ჯონდი! – შეიძახა ენდომ და ქმარი მგზავრებს შორის მდგომი კაცისკენ მიახედა – ის მწერალი უნდა ყოფილიყო!

ერთმანეთს მღუპარედ მიაშტერდნენ. მწერალი თვალშისაცემად მობერებულყო. ენდისაც სახე მოსტეხოდა და თან იმზომ გაჭაღარავებულყო, როცა ქალებს ეს უკვე აღარც აღელვებთ – პირიქით, თავსაც კი იწონებენ ხოლმე თავიანთი შევერცხლილობით!

ოდესღაც პირშმაგ ჯონდის პირისახე სულ ჩამოსდნობოდა, ლოყაზე კი გრძელი, კარგა ხნის გამომცხვარი წვრილი ნაჭრილობევი ირიბულად გადარტყმოდა.

ენდი მწერალს ქალური სიფრთხილით მისჩერებოდა – არ შეეცდეთ! როგორც კი თავი დაირწმუნა, ეს ის არისო, ბეჭდიანი ხელი აუწია, გადაეხვია და გადაკოცნა!

– როგორ გიკითხოთ?

ჯონდის სხვა რაღა დარჩენოდა – მეუღლის სითამამე შეიშენია, მწერალს თვითონაც მიეახლა და თავისებური ბლოჟინი გააბა.

– ვიცით... ყველაფერი მახსოვს!.. ნაგვის ურნები.. პურის ნატეხები... ქერის მარცვლები...

– ქერის კი არა, ხორბლის! – მწერალს ატმასნილმა ენდომ კლასის დამრიგებელივით შეუსწორა.

– რა სხვაობაა, ქერისა იქნება, ფეტვისა თუ ბრინჯის – მარცვალი მარცვალია! – ჯონდომ მხიარულად მოუჭრა მეუღლეს და ისევ მწერალს მიუბრუნდა. – აი, ლოთიანად – ჯიბით ეხლაც დაგაქვს ის რაღაც მარცვლები, თუ მაშინ ჩვენ...

მწერალმა ჯონდის უსიტყვოდ გამოუშალა მარჯვენა ხელისგული და ზედ უშურველად დაუყარა დარჩენილი ხორბლის მარცვლები.

– ვაახ, ჩემი კარგები!.. ეხლაც უტარებია! ენდიკო, აი, ხედავ?! რას ერჩით, ეს კაცი მართალია!.. კაროჩე... ამ დროს „MAN“-ის N151 ავტობუსი ჩამოდგა.

– უკაცრავად, – მწერალმა ცოლ-ქმარს ბოდიშიანი ხმით ჩაულაპარაკა, – შეიძლება მეტი აღარც მოვიდეს და!.. ნახვამდის!

ჯონდის ისევ ისე ეჭირა აწეული მარჯვენა და ვეღარ გადაეწვივებოდა, რა ექნა ხელისგულზე დაქუჩებული ხორბლის მარცვლებისთვის!.. ორივენი გაშტერებით მისჩერებოდნენ დანარჩენებთან ერთად ავტობუსში ამავე მწერალს და ვეღარ გარკვეულიყვნენ – ეს მართლა მისი ავტობუსი იყო, თუ...

1 ფაჩიკოს ვარძონივით დაგშლი (ყარგ.) – ადვილად დაგშლი, დაგანგრეე.

2 რამსები არ ავერიოს (ყარგ.) – არაფერი შევეშალოს, 3 რიფა ბაზარი (ყარგ.) – ტყუილი ლაპარაკი, ებედობა დრის ვასაყვანად ან დროის მოსაგებად.

4 ცხრა ნოემერი კალოში (ყარგ.) – ჩამორჩენილი ადამიანი, სოფელელი, ტეტია.

5 ცვეტში ვეტყვი (ყარგ.) – ნამდვილად ვეტყვი, მართალს ვებტყვი.



### ნუნუ ქამუხაშვილი

#### ყურცქვიტას ნელი

ყურცქვიტელას წელია, –  
 გაიხარა ყურცქვიტამ,  
 ფრთხილი ვარო, ყოველთვის,  
 და ვიყენებ ყურს ცქვიტად.  
 მთა არის თუ, ბარია,  
 ტყე არის თუ, ველია,  
 სულ, სიკეთე შევნოდეთ  
 ვინც სიმშვიდეს ელიან.  
 ოთხივე დროს ბარაქა  
 ამშვენებდეს მიდამოს;  
 მუდამ გვქონდეს სიამე,  
 ახალი წლის დღიდანო.

#### რარ ბარტყეზი დაფრთიანდენ

რაც, ბარტყეზი დაფრთიანდენ,  
 და... ისწავლეს ცას ასვლა,  
 დედამ, მამამ მათ სამშობლოს  
 სიყვარული ასწავლა...  
 მთის და ბარის სილამაზემ  
 უფრო გაახალისათ,  
 პაწაწინა გულით დააქვთ  
 ოცნებები ზვალისა.

#### ზურას სურვილები

მინდა გავხდე მფრინავი, –  
 ამას ნატრობს ზურიკო,  
 მალლა, ცაში ავიჭრა,  
 არ იქნება ურიგო.  
 ავიფოლებ ჩემს ტოლებს:  
 ნიკას, ლიკას, ნინოსა,  
 ფრენა კარგად დამთავრდეს  
 დილიდანვე ვილოცავთ.  
 კიდევ? – მინდა, რომ ვიყო...  
 ბიჭი, – არქიტექტორი,  
 სხვებიც წავახალისო,  
 არა გვყავდეს ჩვენ – ტოლი.  
 ავაშენებთ, გავმართავთ, –  
 დავურიგებთ ხალხს სახლებს,  
 სურვილები, – ლამაზი, –  
 მაქვს და მინდა, რომ ახდეს.

#### ავვისტო

ბოლო თვეა ზაფხულის, –  
 შემობრძანდა ავვისტო,  
 მთა და ბარი ბავშვების  
 ჟრიაშულით აივსო.  
 ხილი უხვად მოდის და  
 თვალში შედის ყურძენი,  
 კალათებს წნავს პაპიკო, –  
 და მადლობაც ვუძღვენით.  
 ფერისცვალებაც მოდის  
 ფერს შეიცვლის ბუნება,  
 ზურმუხტისფერი, – მწვანე,  
 ქარვისფერით ბრუნდება.  
 შემოდგომა კარზეა,  
 უკვე გრძნობენ ფრინველნი,  
 ენანებათ, დატოვონ  
 საყვარელი მთა-ველნი.  
 როცა, მოფრინდებიან,  
 ხვდებათ: ბუდე და კერა,  
 ეს იმედი დაჰყვებათ, –  
 რაც ბუნებამ გაკვერა.  
 ავვისტოა, ავვისტო,  
 შემოდგომა გვეძახის,  
 რა კარგია, – საესეა:  
 ბაღჩა-ბაღი, ვენახი.

#### მხატვარი

დათო ფურცლავს ჟურნალ „დილას“  
 რომ მოვიდა ამ დღით:  
 ამბობს: ჩემი ნახატებით  
 შემისრულდა წადილი.

მხატვარი რომ გამოვიდე,  
რა ხანია, ვნატრობ და...  
სხვა ბავშვებზე, – რომ ნახვენ,  
მოუნდებათ მხატვრობა.

**შემოდგომა**

შემოდგომა შემობრძანდა,  
ხილი მოაქვს, – ნაირფერად...  
და ყურძენიც იღიმება, –

მწიფობაში შეიფერა.  
ბავშვებს, ირგვლივ ყიფინა აქვთ,  
ვაშლიც მოსწონთ და ატამიც;  
სურნელება ხილის ატკობთ,  
დახუნძლულ ბაღს ჩვენ ვხატავდით!  
მადლობთ, მადლობთ, შემოდგომავე,  
რომ გვაჩუქე საჩუქრები...  
ლექსებს ვუძღვნით და სიმღერებს, –  
ვლალობთ, შემოდგომის ქებით.

**ზურაბ მამულაშვილი**

**ანბანი**

ბავშვებო, ჩვენი ანბანი,  
ჩვენი რწმენა და მამული,  
იცოდეთ, არის უფლისგან  
დალოცვილ-გადანამული.

ამ მომადლებულ სიმდიდრეს,  
გვერდს ნურასოდეს აუვლით,  
ყველასთან ნლობას იძვირეთ,  
მტერსაც მოყვრულად დაუხვლით.

**სანამდე გაიზრდებოდეთ**


სანამდე გაიზრდებოდეთ,  
მანამ დიდები გახდებით,  
თქვენი ცხოვრება იქნება  
სასწაულების ახდენის.

თქვენთვისაც გამოიღება  
დიდი სინათლის სარკმელი,  
თუ, წიგნის კითხვას დაიწყებთ,  
მხოლოდ ქართული ზღაპრებით.

**ბებო და ფისო**

ბებო რატომ ბუტბუტებს,  
მარი რაზე იცინის?  
არც თოვლის ეშინიათ  
და არც დიდი სიცივის.

მაგიდაზე ამხტარა  
ფისო ცხენის კვიცივით  
და ძირს გადმოუყრია  
ჯამ-ჭურჭელი ლიწინით.



დატუქსული ფისუნა  
რას ფიქრობდა ვინ იცის  
და კვლავ მიუცუნცულდა  
ბებოს კუდისქიცივით.

**მეგობრობა იწყება**

რწმენა მოდის ღმერთიდან,  
სიყვარული დედიდან,  
მეგობრობა იწყება  
შვილო, სკოლის მერხიდან.

**გვიყვარდეს**

როგორც არ უნდა გვეცალოს,  
საქმეში ვიყოთ გართული,  
გავუფრთხილდეთ და გვიყვარდეს,  
რაც გაგვაჩნია ქართული.

თუკი წიგნს არ წაიკითხავ

თუ ანბანი არ ისწავლე,  
ისე წიგნს ვერ წაიკითხავ,  
ეს ანბანი სად წერია  
პატარებო, არ იკითხავთ?  
თვით ანბანსაც ვერ ისწავლი,  
თუკი წიგნს არ წაიკითხავ!

წიგნია უპირველესი

ახალ-ახალი ტექნიკის  
არა ვართ წინააღმდეგი,  
წიგნი კი, წიგნი სულ სხვაა  
შინაარსით და გაგებით.  
  
ტელევიზორიც კარგია,  
ვიდეოც, კომპიუტერიც,  
წიგნს ვერაფერი ვერ შეცვლის  
იქნება კვლავ შეუცვლელი.  
  
მარტო აქ, ჩვენთან კი არა,  
ყველა ჯურის და რასისთვის,  
წიგნია უპირველესი  
ბავშვის გონების გახსნისთვის.

ბავშვებო, უნდა ვილოცოთ

ბავშვებო, უნდა ვილოცოთ  
ყოველ დილას და საღამოს,  
ჩვენ ქართულ მიწას მტერმა რომ  
ხელი არასდროს არ ახლოს.  
  
უნდა ვილოცოთ დედაზე,  
უნდა ვილოცოთ მამაზე,  
რომ არ დაგკარგოთ ღვთიური  
ღირსება და სილამაზე.  
  
ვინც დილით ადრე ამდგრა,  
გული აქვს მუდამ მზიანი,  
ყველას ვაღიარებ, რადგანაც  
ჩვენ გვკვია ადამიანი.  
  
ამქვეყნად ყველა მაღლიანს,  
მე მზის ნათება დავარქვი,  
ურწმუნო ეკალბარდია,  
მორწმუნე – ლორთქი ბალახი.



დადი ბალაშვილი

საყოფაჩხოვრებო ნაგებობანი ქიზიყში

დარბაზუკი სახლი

უწინ ქიზიყში ბანიანი და დარბაზული სახლები ყოფილა, რომლებიც ახლა აღარ არის. ბანიან სახლს ზე-

მოდან სახურავად მიწა ჰქონია გატკეცილი, რომელზეც გოგო-ბიჭები თამაშობდნენ – იგონებდნენ მოხუცები. ბანიანი სახლი მიწაში იყო, ამიტომ მიწურ სახლსაც ეძახდნენ.

რაც შეეხება დარბაზულ სახლებს, მისი ძირითადი ელემენტი იყო ორი დედაბოძი, რომელსაც თავზე ბუღაური ედგა სიმაგრისათვის და ძელები მასზე გადაბუღი. დედაბოძზე დამყარებულია და ეფუძნება მთელი გადახურვის სისტემა, რომელსაც გვირგვინი ჰქვია. გვირგვინი ბოლოვდება სათვალთ, საიდანაც შუქი ჩამოდიოდა და ბოლი ადიოდა. დედაბოძი ზევით, ბუღაურთან, განიერია და ბრტყელი, ვიდრე ძირი.

დედაბოძს დიდი სიმძიმისათვის უნდა გაეძლო, ამიტომ მზადდებოდა მაგარი ხის ჯიშისაგან, ჩვეულებრივ მუხისაგან; სიმაღლე მერყობდა 6 მეტრამდე და ლათინური ასო T-ს მოყვანილობა ჰქონდა.

დედაბოძს სოფლის ხელოსნები აკეთებდნენ, რადგა ყველას არ შეეძლო მისი გათლა. მას აჭრელებდნენ სატეხით, დახაზავდნენ დანით და სატეხით ამოიღებდნენ ბუღაურებს. აღსანიშნავია, რომ დაჭრელებული მხარე კერას უყურებდა.

დედაბოძზე გამოსახული იყო სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტები: ბორჯღალი, მთვარისა და



ქიზიყური დარბაზული სახლის ინტერიერი

ვარსკვლავების გამოსახულებანი, მცენარეები, ცხოველები, ფრინველები, ჯვრის გამოსახულება, წრეში ჩასმული მზე და ურმის ბორბალი სოლებითურთ. დედაბოძზე აღნიშნავდნენ სახლის აგების თარიღს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზული სახლი საფუძვლად დაედო ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის სტრუქტურას.

დედაბოძთან კერა ყოფილა გამართული, სადაც ცეცხლი ენთო. კერასა და დედაბოძს შუა კერის ქვა დებულა, რომ ცეცხლი ბოძისკენ არ გაეშვა. ქვაზე გამოუღვევლად მარილის ქვა იდო (მარილი ცეცხლთან მშრალად არის და არ ტირისო). სახლს ება ერთიანი კარი. ამ კარს მოხსნიდნენ, კამეჩებით შეათრევდნენ ვეება მორს და დადებდნენ კერაზე; ბოლაედა გამუდმებით და ჰბოლაედა იქაურობას, თვალები სულ დაჭარხლებული და აცრემლებული ჰქონიათ.

კერიდან მოდიოდა სითბო, სინათლე და სიწმინდე. კერაში დანთებული ცეცხლი ოჯახის კეთილდღეობის ნიშნად იქცა. ეს გარემოება ხალხურ ლექსშიც აისახა:

„ჯერ ვადღერძელოთ კერაო,  
იმას უცქერის ყველაო,  
მერე სახლის საძირკველი,  
სტუმარი და მასპინძელი“.

ძველ ქართულში იხმარებოდა ტერმინი – კერაგი, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონში ასეა განმარტებული – კერაგი არის „მუგუხლის თავის სადები“.

კერის მაღლა ჩამოკიდებული იყო საკიდელი თავისი განუშორებელი გამურული ქვაბით. კერის გარშემო იკრიბებოდნენ ოჯახის წევრები. თითოეულ მათგანს განსაზღვრული ადგილი ჰქონია შუა ცეცხლთან; ყველაზე საპატიო ადგილზე საუფროსო სკამი იდგა, სადაც ოჯახის უფროსი ჯდებოდა, მის მოპირდაპირე მხარეს კი – დიასახლისი. ოჯახის დანარჩენი წევრები კი ნახევარწრედ

შემოუსხდებოდნენ კერას.

ცეცხლის მოვლა-პატრონობა ქალის საქმე იყო ოდითგანვე. ოჯახის დიასახლისი ნაღვერდალს ნაცარში შეახვევდა, დილით გაადვივებდა და აანთებდა.


კერასთან ერთად დედაბოძი უმნიშვნელოვანეს საკულტო ობიექტად ითვლებოდა. კერასთან საქორწინო თუ დაკრძალვის რიტუალები იმართებოდა. დიასახლისი პატარძალს სამჯერ შემოატარებდა კერის გარშემო, დალოცავდა და ახალი პატარძალი ამ ოჯახის სრულფასოვანი წევრი ხდებოდა.

დარბაზულ სახლს კედლებში დატანებული ჰქონდა წალოები ქვეშაგების შესანახად, საბარგოები ბარგის შესანახად, სასკივრეები სკივრების დასადგამად (სკივრებშიც ბარგი ინახებოდა), კიღობნები, განჯინები ჭურჭლის დასაწყობად, თახჩები, წიკა-მაკა, წარამარა სახმარი რამეების შესანახად.

წალოს ძველად კარებს თითქმის არ აბამდნენ და ჩითის ფარდას ჩამოათარებდნენ ხოლმე წინიდან. მხოლოდ შემდეგ შემოიღეს კარის შებმა. სასკივრე და საბარგე გაყოფილი იყო ერთმანეთისგან გარდიგარდმო ფიცრით, რომელიც თაროსავით არის. დაბლა კიღობანი დაიდგებოდა, მაღლა – სკივრი. კიღობნებში უფრო ხილეულს ინახავდნენ, სკივრში კი – ბარგს, ტანისამოსს და მისთანას. განჯინას შიგნით თაროები აქვს, რომელზეც გამწკრივებულია ჭურჭელი და შებმული აქვს ორიანი კარი.

სიგრძივი კედლების გაყოლებაზე გამართული ყოფილა ტახტები და ლოგინები ქვეშაგებისათვის. ასეთ დარბაზულ სახლებში თითოეულ რძალს ცალკე კუთხე ჰქონია მიჩენილი თავისი წალოთი, სასკივრეთი, ცალკე ლოგინით, რომელზეც თავისი ქმარ-შვილისათვის და თავისთვის ერთად გაიშლიდა ქვეშაგებს.

ასეთი სახლები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში შეცვალა ქვითკირის სახლებმა და დარბაზული სახლები დავიწყებას მიეცა.



ქიზიყური დარბაზული სახლის დედაბოძი



მარიანა კოჯიაშვილი

მარინე ცხვედიაშვილის შემოქმედებითი საღამო

2023 წლის 13 ივნისს მწერალთა სახლის სარკეებიანი დარბაზი მარინე ცხვედიაშვილის პოეზიის თავყვანისმცემლებს ვერ იტევდა. საქართველოს მწერალთა



შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა საზეიმოდ გახსნა საღამო და იქ მყოფთ აუწყა, რომ დღეს მათ ჭეშმარიტ, ამაღლებულ პოეზიასთან ელოდათ შეხვედრა და სანამ სიტყვას სხვა მწერლებს გადასცემდა, ქართულ პოეზიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მარინე ცხვედიაშვილი დიდი პოეტის – გიორგი ლეონიძის ენდელმით და ოქროს ნატვრის ხით დააჯილდოვა.



მარინე ცხვედიაშვილი მეუღლის, ვახტანგ კუხალაშვილის ნახატზე

საღამოს უდიდეს ხიბლს მატებდა პოეტის მეუღლის საქვეყნოდ ცნობილი მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ჯემალ კუხალაშვილის გამოფენა, სადაც არაჩვეულებრივ ფერწერულ ტილოებთან ერთად პოეტის სამი პორტრეტი იყო წარმოდგენილი.

ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ცნობილი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, მეგობრების გამოსვლები და მარინე ცხვედიაშვილის მიერ წაკითხული ლექსები; ბადათ-



ერ არაბულმა, დავით შემოქმედელმა, ზაალ ბოტკოველმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიქემ, რუსთავის საზოგადოებრივი დარბაზის ხელმძღვანელმა – გოგიტა მელიქიძემ, რუსთავის თეატრის მსახიობმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნათელა მუხულიშვილმა, ჟურნალისტმა და მწერალმა ლია მარტიაშვილმა, პოეტმა ლალი მჭედლიძემ და სხვებმა უდიდესი შეფასება მისცეს მარინე ცხველიაშვილის პოეზიას, საზგასმით აღნიშნეს მისი პიროვნული თვისებები, ისაუბრეს მის სამწერლო და საზოგადოებრივ საქმიანობაზე. აღნიშნეს, რომ ის გახლავთ საქართველოს მწერალთა კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გიორგი ლეონიძის, ჯემალ აჯაიშვილის პრემიების ლაურეატი, დავით აღმაშენებლის ოქროს მედლის მფლობელი.

ქალბატონ თამარ ლამპარიძის თქმით, „მარინე ცხველი-

აშვილის პოეზია არის დახვეწილი, გემოვნებიანი, კეთილშობილური, დიდებული და ნამდვილი. მისი შთაგონების წყარო მშვენიერებაა; ცნება „ლექის“ განმარტებისთვის, თუ რა არის „ლექი“, შეიძლება გამოვიყენოთ „მარინეს ლექსი“. ეს არის ნამდვილი პოეზია.

როგორც გოგიტა მელიქიძე აღნიშნავს, „ნამდვილი ზეიმი იყო, დარბაზი ხალხს ვერ იტევდა და ვერც ტაშს იტევდა მრავლის მნახველი სასახლე ქართველი მწერლობისა. ვუსმენდი პურის თავთავივით დამწიფებულ ფრაზებს და სიხარულით ვივსებოდი იმის განცდით, რამდენი რამე და ფიქრის რაოდენი სიღრმე შეუძლია ლექსმა გამოხატოს... მართალია რომ „დრო დროზე ჩქარა გარბის“, მაგრამ ეს რბოლა საქართველოს მწერალთა სახლში გამართულმა ამ შემოქმედებითმა საღამომ ერთხანს შეაჩერა და დროის ეს პოეტურად შეჩერებული რეალობა მსმენელთა გულწრფელი ტაშით დაჯილდოვდა“...



**ნანა ჭიჭინაძე**

**„დაისი“ 100 წლისაა**

100 წლის წინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“

კოტე მარჯანიშვილმა დადგა. სპექტაკლს დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილის ძმა ივანე ფალიაშვილი, მალხაზის პარტიას ასრულებდა დიდი ქართველი ტენორი ვანო სარაჯიშვილი. მან სპექტაკლის განმავლობაში, მაყურებელთა თხოვნით, ზედიზედ სამჯერ იმღერა მალხაზის არია („თავო ჩემო“). ცეკვა ქართული შეასრულა 16 წლის ილიკო სუხიშვილმა.

დაისის მთავარ გმირს მარო მაყაშვილის თავგანწირვის გამო მისი ხსოვნის პატივსაცემად მარო ჰქვია. „დაისის“ შექმნის იდეა ზაქარია ფალიაშვილს ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა და მსახიობმა ვალერიან გუნიამ მიაწოდა, რომელსაც ეკუთვნის ამ ოპერის ლიბრეტო. ვალერიან გუნიამ შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია გამოიყენა.

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისის“ პრემიერიდან მე-100 წლისთავეზე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ახალი დადგმის პრემიერა წარადგინა, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ქალბატონი თეა წულუკიანიც დაესწრო.

„დაისის“ პრემიერა გაიმართა 29-30 აპრილს, 5, 6, 7, 12, 13 და 14 მაისს. საპრემიერო 8 სპექტაკლი სრული ანშლავით მიმდინარეობდა; მათ შორის 14 მაისის საპ-



ზაქარია ფალიაშვილი

რემიერო სპექტაკლი ოპერის კამკაშა ვარსკვლავს მედეა ამირანაშვილს მიეძღვნა. მხატვრული თვისებებით და მკაფიო ეროვნული ნიშნებით არის გამორჩეული ეს შესანიშნავი ოპერა. მხატვრულ სახეთა სიმდიდრემ და ფერადოვნებამ, მუსიკის იშვიათმა პოეტურობამ და გამომსახველობამ, ნათელმა მელოდურობამ განაპირობა ოპერის პოპულარობა, რომელშიც შეხამებულია ლირიკულ-სატრფიალო და გმირულ-პატრიოტული მოტივები, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის დამდგმელ დირიჟორს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, დედოფლისწუაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრს ბატონ რეზო ტაკიძეს, მთავარ ქორმაისტერს ავთანდილ ჩხენკელს, დამდგმელ რეჟისორს გოჩა კაპანაძეს, დამდგმელ სცენოგრაფს, კოსტიუმებისა და განათების მხატვარს გიორგი ალექსი-მესხიშვილს, ნინო სუხიშვილს, დამდგმელ ქორეოგრაფს ილიკო სუხიშვილს, ოპერის გუნდსა და

ორკესტრს და ქართულ ნაციონალურ ბალეტს – „სუხიშვილებს“.

საპრემიერო სპექტაკლებში მთავარ პარტიებს მღეროდნენ:

მალხაზი – არმაზ დარაშვილი, თემურ გუგუშვილი, ალექსანდრე თიბელაშვილი, გიორგი სტურუა;

კიაზო – ვახტანგ ჯაშიაშვილი, ელდერ გეწაძე, გიორგი ლომისელი, სულხან გველესიანი, გიორგი მჭედლიშვილი, მამუკა ლომიძე, ლევან ტაბატაძე, ალუდა თოღუა;

მარო – მარიკა მაჩიტაძე, ლიანა კალმახელიძე, მარიანა ბერიძე, ნათია ბეჟაშვილი, მარია კუბლაშვილი, სოფიო გორდელაძე, ნათია სტეფანიშვილი;

ნანო – ირინა ალექსიძე, ელენე ჯანჯალია, ირინა შერაზადიშვილი, მარიამ ბარათაშვილი;

ცანგალა – გოჩა დათუსანი, გია ასათიანი, კახაბერ თეთვაძე, ლევან მაკარიძე, გიორგი გოდერძიშვილი, გივი გიგინეიშვილი, გიორგი ჭელიძე;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამა წლის 21 ივნისს, იტალიაში, კერძოდ სიცილიის ქალაქ კატანიაში ბელნის სახელობის ოპერის თეატრში დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისი“ იტალიურ ენაზე, იტალიელი მომღერლების, ორკესტრის და გუნდის შესრულებით. სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე, დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორი გოჩა კაპანაძე, სცენოგრაფი გიორგი ალექსი-მესხიშვილი, განათების დიზაინერი დავით მაჭავარიანი. მალხაზის პარტია შეასრულა მატეო ფალსიერომ, კიაზო – დომენიკო ბალაზანიმ, მარო – ევა კორბეტამ, ნანო – ანასტასია



ოპერა „დაისი“ იტალიაში



ოპერა „დაისის“ აფიშა

ბოლდირევამ, ტიტო – რობერტო კრესკამ, ცანგალა – გიორგი ანდლულაძემ. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. იტალიელი მაყურებელი ხანგრძლივი ოვაციებით და მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა მთელ შემოქმედებით ჯგუფს.

თბილისში გამართულ საპრემიერო ჩვენების შემდეგ კომენტარი ვთხოვე 97 წლის ექიმ-თერაპევტს ქალბატონ ელენორა ბაბულაშვილს: პირადად მე მოსკოვის დიდ საოპერო თეატრში მოსმენილი მაქვს საქართველოს ბულბულის, დიდი საოპერო ტენორის ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული მალხაზის არია „თავო ჩემო“; ახალ დადგმაში 29 აპრილს მოეუსმინე არმაზ დარაშვილს, რომელმაც ბრწყინვალედ იმღერა მალხაზის პარტია, პრემიერის მეორე დღეს 30 აპრილს მთავარ პარტიებს მღეროდნენ უფროსი თაობის მომღერლები, სახალხო არტისტები: თემურ გუგუშვილი, ლიანა კალმახელიძე და ელდარ გეწაძე. ხანგრძლივი აპლოდისმენტები არ წყდებოდა სიმღერის – „თავო ჩემო“, დასრულების შემდეგ.

თბილისის საოპერო სეზონი ყოველთვის იხსნებოდა ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ და იხურებოდა ოპერა „დაისით“. ზაქარია ფალიაშვილის ეს ორივე ოპერა ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

ლერი კვაჭანტირაძე – რედაქტორ-გამომცემელი: „დაისში“ მალხაზის პარტიის შემსრულებელი ლეგენდარული ტენორი ზურაბ ანჯაფარიძე არა ერთხელ მაქვს

მოსმენილი; არიის „თავო ჩემო“ შესრულების შემდეგ ოვაციებისგან დარბაზი გრგვინავდა. ზურაბ ანჯაფარიძის შემდეგ ასეთი მალხაზი არ მომისმენია...

ნანა ბროძელი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ოპერის მეგობარი: ზაქარია ფალიაშვილის ოპერებზე ქართველ მომღერალთა თაობები აღიზარდა. მის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, თბილისის მეორე სამუსიკო სასწავლებელი და ცენტრალური სამუსიკო სკოლა, ქუჩები თბილისსა და ქუთაისში, სადაც აგრეთვე გახსნილია ზ. ფალიაშვილის სახლმუზეუმები. იგი დაკრძალულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში.

ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ დიდი წარმატებით დაიდგა მოსკოვში (1937), კიევში (1938), ალმა-ატაში (1943), ბაქოში (1956), სარატოვში, ოდესაში, ნოვოსიბირსკში, ერევანში, ნიჟინ-ნოვგოროდში, პლზენში (ჩეხოსლოვაკია 1975); საარბრიუკენში (გერ) გიზო ჟორდანიამ დაღვა და დიდი წარმატება ხვდა წილად.

ეულოცავ დამდგმელ დირიჟორს რეზო ტაკიძეს, დამდგმელ რეჟისორს გონა კაპანაძეს, სცენოგრაფს გოგი ალექსი-მესხიშვილს, ქორეოგრაფ ილიკო სუხიშვილს და მთელ შემოქმედებით ჯგუფს საოპერო რეპერტუარში „დაისის“ დაბრუნებას.

დავით საყვარელიძე – წინანდლის ფესტივალის გენერალური დირექტორი: პირადად ჩემთვის თბილისის საოპერო თეატრი მსოფლიოს საოპერო თეატრებს შორის



„დაისი“ მკვ 3 პოლითახილი, 2-ის აქტი

ოპერა „დაისის“ ერთ-ერთი პირველი წარმოდგენის ფოტო

ერთ-ერთი გამორჩეული თეატრია. მთელი სულითა და გულით მათთან ვარ შეზრდილი. ჩემი ცხოვრება წარმოდგენელია ამ თეატრის გარეშე. სრულიად საქართველოს, პირადად მაესტროს, ჩემს უსაყვარლეს ღირსიორს რეზო ტაკიძეს, რომელიც ახალი დადგმის „დაისის“ დამდგმელი ღირსიორია, გონა კაპანაძეს – დამდგმელ რეჟისორს, მსოფლიოში აღიარებულ მხატვარს, დამდგმელ სცენოგრაფს, კოსტიუმებისა და განათების დიდოსტატს გიორგი ალექსი-მესხიშვილს, ნინო სუხიშვილს, დამდგმელ ქორეოგრაფს ილიკო სუხიშვილს და მთელ სადადგმო ჯგუფს ვულოცავ ამ დიდ წარმატებას. მინდა მოვეფერო ასევე ჩემს უსაყვარლეს სახალხო არტისტებს: ლიანა კალმახელიძეს, თემურ გუგუშვილს, ელდერ გეწაძეს, რომლებმაც იმდერეს მაროს, მალხაზის და კიაზოს პარტია. თემურ გუგუშვილი ერთ-ერთი უძვირფასესი მარგალიტია ტენორთა შორის, მარად ახალგაზრდა ხმის ჟღერადობით და დიდი მსახიობური ოსტატობით დაჯილდოვებულმა მომღერალმა დასამახსოვრებელი სახეები შექმნა ქართულ ნაციონალურ ოპერებში: „აბესალომ და ეთერი“ – აბესალომის პარტია, „დაისი“ – მალხაზი, „მინდია“ – მინდია.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მალხაზის არია რომ მოვისმინე ჩემი უახლოესი ახალგაზრდა მეგობრის არმაზ დარაშვილის, კიაზოსი – მამუკა ლომიძის, გიორგი ლომიშვილის, ლევან ტაბატაძის, სულხან გველეშიანის, ვახტანგა ჯამიაშვილის, გიორგი მჭედლიშვილის შესრულებით. თითოეული მათგანი განსაკვიფრებელი პერსონაჟი იყო. შთაბეჭქდავი სახეები შექმნეს საოცარი სიმსუბუქითა და ვირტუოზული ტექნიკით ულამაზესმა მარიკა მაჩიტაძემ, ნათია ბეჟუაშვილმა, ირინა შერაზადიშვილმა, ირინა ალექსიძემ, ლევან მაკარიძემ. ასევე საპრემიერო სპექტაკლში მონაწილე ყველა მომღერალმა.

დიდი მადლობა ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელს ბატონ გიორგი ნატროშვილს, რომ შესაძლებლობა მომცა გამომეთქვა ჩემი აზრი უკვდავი ოპერა „დაისის“ შესახებ და დიდი მადლობა პირადად თქვენ, ასეთი ერთგული გულშემატკივარი რომ ხართ ჩვენი ოპერის თეატრის და საინტერესო პუბლიკაციებს ბეჭქდავთ საპრემიერო სპექტაკლების შესახებ, როგორც რეგიონის, ისე თბილისში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში.




### ნანა ჭიჭინაძე

#### გამოთხოვნა დიდ ხელოვანთან

თენგიზ ვარლამის ძე მუშკუდიანის, საქართველოს სახელხო არტისტის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, „ხელოვნების ქურუმის“, კონსერვატორიის პროფესორის, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის წამყვანი სოლისტის, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი „მეტრის“ ნომინანტის, კეთილშობილებითა და რაინდობით გამორჩეული ულამაზესი ქართველი ხელოვანის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ქართველი მსმენელი, მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები, კოლეგები, მოსწავლეები. მუსიკალური საზოგადოება მწუხარებით გამოეთხოვა დიდ ხელოვანს. საპატიო ყარაულში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: პაატა ბურჭულაძე, ზაზა ახმაიფარაშვილი, ლევან მაკარიძე, სულხან გველეხიანი, გოჩა დათუსანი, ლევან ტაბატაძე და სხვები. ოპერის სოლისტთა ანსამბლმა „სულიკომ“ საგალობლები შეასრულა. დარბაზში ჟღერდა ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისის“ გულშიჩამწვდომი პანგები და თავად თენგიზ მუშკუდიანის მიერ შესრულებული პარტიები: მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი“), ღონ ბაზილიო (როსინის „სევკელიელი დალაქი“), გალიცკი (ბოროდინოს

„თავადი იგორი“), მეფე გიორგი (მ. ბალანჩვიძის „დარეჯან ცბიერი“), ხევისბერი (ო.თაქთაქიშვილის „მინდია“), ღონ ჯოვანი (მოცარტის „ღონ ჯოვანი“) და სხვა.

სამგლოვიარო ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდნენ: პაატა ბურჭულაძე, ელდარ გეწაძე, ლიანა კალმახელიძე, იმერი კავსაძე, თემურ გუგუშვილი, რევაზ ლაგვილავა, სულხან გველეხიანი, გოჩა დათუსანი და სხვები. კომენტარი ვთხოვე დამსწრე საზოგადოებას: მანანა ახმეტელი – მუსიკალური საზოგადოების დავძღვდომარე: დიდ პატივს ვცემდი ბატონ თენგიზ მუშკუდიანს, როგორც შესანიშნავ მომღერალს, ღირებულ პედაგოგს, უმწიკვლო ადამიანს. პაატა ბურჭულაძე – საქართველოს სახალხო არტისტი, ქართველი მომღერალი (ბანი), რომელიც ნაყოფიერ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა საზღვარგარეთ: სასიამოვნო გარეგნობის და არაჩვეულებრივი ხმის ტემბრის ვოკალისტმა დიდი აღიარება მოიპოვა მუსიკალურ საზოგადოებაში. იგი გადაღებულია ქართულ მხატვრულ ფილმებში: „აბუზარა“ და „დიდოსტატის მარჯვენა“; მის სახელს დავიწყება არ უწერია. თემურ გუგუშვილი – ოპერის მომღერალი (ტენორი), საქართველოს სახალხო არტისტი: 47 წელია სცენაზე ვმღერი და მისგან არავის არაფერი არ გეწყენია, იგი გამოირჩეოდა სანიმუშო, საოცარი სიმსუბუქით, ვირტუოზული ტექნიკითა და ფერების უხვი კასკადით. მის მიერ განხორციელებული ყველა პერსონაჟი განსაცვიფრებელი, მისაბადი და დამოუკიდებელია. გოდერძი გონაშვილი – ინჟინერ-ტექნოლოგი მეღვინეობის განხრით, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი „მეტრის“ ნომინანტი: 2014 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გახეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილის ნანა ჭიჭინაძის და საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარის ვახუშტი ქიზიყურაშვილის თაოსნობით გაიმართა „მეტრის“ ნომინანტების; რეზო ჩხეიძის, რეზო ტაკიძის, გიზო ჟორდანიას, გივი თოიძის, ვაჟა აზარაშვილის, ელდარ შენგელაიას, თენგიზ მუშკუდიანის, რობიზონ ნატროშვილის, მერაბ რობიტაშვილის და ჩემი დაჯილდოება. პირადად გავიცანი თენგიზ მუშკუდიანი, იმ ხანად იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა კონსერვატორიაში, მისმა მოსწავლეებმა: სულხან გველეხიანმა და გოჩა დათუსანმა ფურორი მოახდინეს. დღეს თვალს ვადევნებდი ეკრანზე თენგიზ მუშკუდიანის მთელ შემოქმედებას, მისი ხალასი ნიჭი, საოპერო შედეგები, რომლებიც დროს არ ექვემდებარებიან მარადიულ სიცოცხლეს გააგრძე-



თენგიზ ვარლამის ძე მუშკუდიანი

ლებენ ჩვენი ეროვნული ხელოვნების ოქროს ფონდში. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მისულმა ზღვა ხალხის მკუხარე აპლოდისმენტების ფონზე ოპერის სოლისტებმა გამოასვენეს ბატონი თენგიზ მუშკუდიანი და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძა-

ლეს 6 ივლისს. ლიტერატურული აღმანახი „ხორნაბუჯი“ გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ მისი ოჯახის წევრებს: მეუღლეს ქალბატონ ტატიანას, შვილებს ნინოს, ირაკლის და ლევან მუშკუდიანებს, ახლობლებსა და საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებას.



## მარიამ კოპიაშვილი

### ნინო ჭაბაშვილის პერსონალური გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით გაიმართა ახალგაზრდა მხატვრის ნინო ჭაბაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა.

სონსორი ნასრაშვილების საოჯახო მეღვინეობა გახლდათ.

გამოფენა გახსნა და საღამო საინტერესოდ მიჰყავდა ხელოვნებათმცოდნე ია ხურცილავას.

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო 50 გრაფი-

კული და ფერწერული ნამუშევარი პოპ-არტის სტილში. გამოფენას ფონად გასდევდა ნინოს დედის ნიჭიერი მუსიკოსისა და ცნობილი პედაგოგის თამილა ნადირაშვილის და მისი მოსწავლის თეკლა წიკლაურის მიერ შესრულებული სერგეი რახმანინოვის, ფრედერიკ შოპენის, ფერენც ლისტის, პეტრე ჩაიკოვსკის, გია ყანჩელის, ვაჟა აზარაშვილის, კახა ცაბაძის და სხვა კომპოზიტორების საფორტეპიანო ნაწარმოებები.

ზურაბ ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატმა ვიქტორია ჩაპლინსკაიამ აღნიშნა, რომ მხარი უნდა დაუჭიროთ ახალგაზრდა ხელოვანებს; საამაყოა, როცა ასეთი ნიჭიერი თაობა მოდის. დამსწრე საზოგადოებისათვის სიუპრიზი იყო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვანი სოლისტის, ბრწყინვალე სოპრანოს, ულამაზესი მავკალა ასპანიძის მიერ შესრულებული ლელას არია რევაზ ლაღიძის ოპერიდან „ლელა“, ასევე ახალგაზრდა მომღერლის მარიამ ფირცხალაიშვილის ლიუს არია პუჩინის ოპერა „ტურანდოტიდან“, ლევან ტაბატაძის კიაზოს არია ოპერა „დაისიდან“.

დიდი მოწონება დაიმსახურა უკრაინელი დამსახურებული არტისტის ეკატერინა ჩერნიშკის მიერ შესრულებულმა კომპოზიტორ გია ყანჩელის სიმღერამ „ყვითელი ფოთლები“ და უკრაინულმა სიმღერამ „ჩონა ბროცი“; კონცერტმაისტერები: ვიქტორია ჩაპლინსკაია და მავკალა ხორბალაძე. ეს ქალბატონები დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის მიერ გამართულ ღონისძიებათა მუდმივი მხარდამჭერები არიან.

გამოფენას სტუმრობდა არაერთი ცნობილი ადამიანი: გოგი ალექსი-მესხიშვილი, გოჩა გოგილაშვილი, მავკალა გონაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე და სხვები.

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ცერცვაძემ ნინოს გამორჩეულად ნიჭიერი და დიდი პოტენციალის მქონე მხატვარი უწოდა.

**რევაზ ადამიამ** – პარიზის საერთაშორისო ხელოვნების მუდმივმა წევრმა აღნიშნა, რომ უდიდეს პატივს სცემს ახალგაზრდა ნიჭიერ ხელოვანებს, ნინო ჭაბაშვილი პროფესიონალი მხატვარია, ამის ნათელი მაგალითი ილუსტრაციები და გრაფიკული ნამუშევრებია.

**მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძისა:** დედა-შვილის ბენეფისმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, ნინოს გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები თავის სიტყვას იტყვის ქართული მხატვრობის ისტორიაში.



*ნინო ჭაბაშვილი*

**დავით სონღულაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, კახეთის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატი** ესწრებოდა ღონისძიებას, რომელმაც განსაკუთრებული სიზმართი ისაუბრა მისი რაიონის წარმატებულ ადამიანებზე: ჩემთვის უაღრესად სასიამოვნოა დედოფლისწყაროელი დედა-შვილის, თამილა ნადირაშვილის და ნინო ჭაბაშვილის, ამ ორი ხელოვანის შემოქმედებით საღამოზე დასწრება, ნინოს ნახატებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

**პსპ-ს გენერალურ დირექტორი ბატონი გოჩა გოგილაშვილი.** ოჯახის წევრებთან ერთად ესწრებოდა ახალგაზრდა მხატვრის გამოფენას, მან აღნიშნა, რომ დედა-შვილის ეს სინთეზი მუსიკისა და ფერწერის ერთმანეთში შერწყმა განსაკუთრებულად ალამაზებდა საღამოს. აი, რას ამბობს, თავად მხატვარი ბატონი გოჩას შესახებ: „რომ არა ბატონო გოჩა მე ვერ შევძლებდი ჩემს პროფესიაში რეალიზებას. მისი გულისხმიერება შეუფასებელია“.

**ქეთევან ჯერვალიძე – ჩერქეზული (ადიდური) კულტურის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი:**

2023 წლის 31 მაისს საჯარო ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში გაიმართა ახალგაზრდა მხატვარ ნინო ჭაბაშვილი



*თამილა ნადირაშვილი,  
დავით სონღულაშვილი და ნინო ჭაბაშვილი*

ლის ნამუშევრების გამოფენა. ამ ღონიძიებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რამდენიმე მიზეზის გამო:

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ ჩვენი კულტურის დიდ მოყვარე და მოამაგე ქალბატონი ნანა ჭიჭინაძე, რომელსაც მე შემთხვევით შევხვდი ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნის საღამოზე 2023 წლის იანვრის ბოლოს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და აკადემიის „მაცნის“ ჩემი კუთვნილი ორი ეგზემპლარიდან ერთი ვაჩუქე. მეორე დღეს ქალბატონ ნანას ჟურნალის ყველა სტატია წაკითხული ჰქონდა და შეკითხვებით სავსემ დამირეკა. ბუნებრივია, უზომოდ აღფრთოვანებული დავრჩი. ეს ხომ ჩვენი ძველი სკოლაა?.. რომ არა ქალბატონი ნანა ჭიჭინაძე, მე ამ ღონისძიებაზე ვერ მოვხვდებოდი, ვერ ვნახავდი იმ ნახატებს და მათ უადრესად მოკრძალებულ ავტორს, ნინო ჭაბაშვილს, რომლის

ყველა ტილოში ჩანდა ავტორის სული, მოკრძალება და მაძიებელი ბუნება. შესრულების განხვავებული ტქნიკა და მიმართულება... მე, როგორც არაპროფესიონალმა, ეს დავიჭირე და თვითონ ავტორიც ძალიან მომეწონა გარეგნობითაც კი...

მშვენიერი ნინო ჭაბაშვილის ტილოების დამთვალიერებლებს წინ დიდი სიხარული გველოდა. ახლგაზრდა მხატვარს მხარში ედგნენ კოლეგები და პედაგოგები თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან. შესანიშნავი იყო ლევან ტაბატაძის მიერ შესრულებული კიაზოს არია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“ – რომელიც ფალიაშვილმა მარო მავაშვილს მიუძღვნა და როგორც ჩანს, სათაურად „დაისიც“, – მწუხრი/სიკვდილი – საგანგებოდ შეურჩია ავტორმა. ამით გამოიგლოვა დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიანი ისტორია და უზარმაზარი სისხლიანი მსხვერპლი; მარიამ ფირცხალაიშვილის ტურანდოტიც მშვენიერი იყო... ვუსმენდი აღფრთოვანებული შემსრულებლებს და გული მწყდებოდა, რომ არ მაქვს მუსიკალური განათლება და ჩემს ემოციათა სისწორეს იქ მეოფე მუსიკოსთა მიერ გამოხატული რეაქციით ვამოწმებდი... პედაგოგები – ვიქტორია ჩაპლინსკაია და მაყვალა ხორბალაძე – დაჰგარგარებდნენ საკუთარ აღსაზრდელებსა და აღზრდილთ.

ნინო ჭაბაშვილის ნახატების გამოფენის მხარდაჭერა დააგვირგვინა სოპრანო მაყვალა ასპანიძის მიერ შესრულებულმა ლელას არიამ რევაზ ლალიძის (1921-1981) ოპერიდან „ლელა“ (1973). ახლგაზრდა, ლამაზი და ნიჭიერი ქალბატონი მაყვალა ასპანიძე ლამაზად მღეროდა, მე კი თვალწინ მიდგებოდა მთელი კომპოზიცია ოპერის ლიტერატურული ნაწილისა, ანუ სცენარი, რადგან თუ რამ ვიცი კარგად, ეს ლიტერატურა და ისტორიაა. ამ ოპერის სცენარში კი, რომელშიც ამბავი საქართველოში რომაელთა ლაშქრობის პერიოდში ვითარდება, თავმოყრილია ისტორიული ამბავი, ბიბლიური ეპიზოდი ივდითისა (შეცვლილი სახით); აკაკის „ბაში-აჩუკი“ – აბდუშაჰილის (გელას) გამობრუნება; უიარაღოს „მამელუკი“ და, რაც მთავარია, ვაჟას „ბახტრიონი“. მისი გმირი ლელა – ლერწამი, ანუ შხის სხივი, ასხივოსნებს როგორც ვაჟას პოემას, ასევე ლალიძის ოპერას. ლელა ერთადერთი შუბოსანი პერსონაჟია ვაჟას პოემაში (ლერწმისგან ამზადებდნენ შუბის ტარს), ლელა პოემაში ერთადერთი წარმოსთქვამს სახელდებას საქართველო – ჩვენი ქვეყნის კუთხეების კრებით სახელს: „იკლებენ საქართველოსა, ბუმბერა-



ზობით დადიან“. ისმოდა სამშობლოსადმი უპირო ერთ-გულებისა და თავგანწირვის აქტის სიტყვები აკაკის „განთიადიდან“... წელს რევაზ ლაღიძის ქმნილებას, „ლელა“ ნახევარი საუკუნე უსრულდება... აი, ასეთი სიმბოლიზმით იყო აღბეჭდილი ახალგაზრდა მხატვარ ნინო ჭაბაშვილის ნახატების გამოფენა ჩემთვის. წარმატება ახალგაზრდა მხატვარს და ყველა შემსრულებელს, უკლებლივ ყველას და იქ დამსწრე საზოგადოებას მთლიანად...

**დალი ქურდაძე, ბორჯომის სახელოვნებო სკოლის დეკანოზი:** ჩემი კოლეგის თამილა ნადირაშვილის და მისი მოსწავლის თეკლა წიკლაურის მიერ შესრულებულმა საუკეთესო რეპერტუარით შერჩეულმა საფორტეპიანო ნაწარმოებებმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, რომელსაც ამშვენებდა. ახალგაზრდა მხატვრის ნინო ჭაბაშვილის პერსონალური გამოფენა. ბორჯომელების სახელით ვულოცავ დედა-შვილს ამ განსაკუთრებულ დღეს.

**ლამა კუხალაშვილი – ახალგაზრდა მხატვარი:** გულდასმით დავათვალიერე გამოფენა და მინდა აღვნიშნო, რომ სასიამოვნოდ გაცეცხული დავრჩი, მაღლობა ნინოს რომ ამ ისტორიულ დარბაზში ფერთა მეჯლისი მოაწყო.

**მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძისა – ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის პრეზიდენტი:** დედა-შვილის ბენეფისმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, ნინოს გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები თავის სიტყვას იტყვის ქართული მხატვრობის ისტორიაში. ქალბატონმა თამილა ნადირაშვილმა შეასრულა მსოფლიო პიანისტური რეპერტუარის საუკეთესო ნიმუშები; მისი დაკვრა გამოირჩევა მხატვრული სიმწიფით, ტექნიკური სრულყოფილებითა და არტისტიზმით.

**ლუბოვ სერგოვანცევა – თვითნასწავლი მხატვარი:** ნინო ჭაბაშვილის გამოფენის დათვალიერებისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნინო დიდი ხანია ხატავს ტექნიკურად, თემატიკურად; მის ნახატებში გადმოტანილია მხატვრის შეხედულებები, მისი აზრები, გრძნობები.

ქალების სერიები აფრიკულ და იაპონურ თემებზე ულამაზესია. განსაკუთრებულ მაღლობას გადავუხდი ღონისძიები ორგანიზატორს – ქალბატონ ნანას, რომელმაც მომიწვია ნინო ჭაბაშვილის გამოფენაზე და ნინო პირადად გავიცანი. მას 500-ზე მეტი ნამუშევარი აქვს. დღევანდელ გამოფენაზე მხოლოდ 50 ფერწერული ტილო იყო წარმოდგენილი. წარმატებებს ვუსურვებ ჩემს ახალგაზრდა კოლეგას.

**დავით ალუღიშვილი – დედოფლისწყაროს მუნიცი-**

**პალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:** დიდი პატივია ჩემთვის ამ ბრწყინვალე საგამოფენო დარბაზში ნინო ჭაბაშვილის პერსონალური გამოფენის გამართვა მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის და თანათავმჯდომარის ნანა ჭიჭინაძის თაოსნობით, რომელთაც არაერთი საინტერესო პროექტი განუხორციელებიათ ამ დარბაზში. პირადად მე ვესწრებოდი 21-ე საუკუნის პირველი ოცწლეულის ხელოვნებთან შეხვედრას 2021 წლის 20 დეკემბერს. ასევე შესანიშნავი იყო რევაზ ტაკიძის 80 წლის საიუბილეო საღამო 2022 წლის 19 სექტემბერს; რეზო ტაკიძის იუბილეს მიუძღვნა დედოფლისწყაროელმა მხატვრული ქარგვის ოსტატმა ლია მაისურაძე-გონაშვილმა ნაქარგების გამოფენა.

რაც შეეხება დღევანდელ გამოფენას, მინდა გითხრათ, რომ ნინო ჭაბაშვილის შემოქმედება განსაკუთრებული პერსონალურობით გამოირჩევა, თემატურად მრავალფეროვანია; საინტერესოა სხვადასხვა სტილში შესრულებული მისი პორტრეტები. თითოეულ ნახატში აღბეჭდილია შემოქმედის სული, საოცარი მოკრძალება და მოწიწება.



გონა გოგილაშვილი და ნინო ჭაბაშვილი



ნინო ჭაბაშვილის გამოფენა

თამილა ნადირაშვილის და მისი მოსწავლის თეკლა წიკლაურის საფორტეპიანო მუსიკის საღამომ უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა, როგორც დედაქალაქის ასევე რეგიონიდან მობრძანებულ სტუმრებს.

**ქეთევან მჭედლიშვილი – დედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი:** ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ნინო ჭაბაშვილის პერსონალური გამოფენა თემატურად მრავალფეროვანია და დამთვალიერებლებში დიდ ინტერესს იწვევს. თამილა ნადირაშვილის მიერ გამართული სოლო კონცერტები და სხვადასვა კონკურსის ლაურეატი მისი მოსწავლეების მიერ შესრულებული ქართული და უცხოელი კომპოზიტორების ქმნილებები ყოველთვის ადაფრთოვანებდა მსმენელს; ასე იყო ამჯერადაც. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დედოფლისწყაროელთა ნიჭის ზეიმის მოწმენი გავზნდით. ჩემთვის სიუპრიზი იყო ოპერის წამყვანი სოლისტის, ულამაზესი სოპრანოს, ღონისძიების ორგანიზატორის ნანა ჭიჭინაძის შვილობილის – მაცვალა ასპანიძის და ოპერის სტაჟიორის ლევან ტაბატაძის მიერ ცნობილი ქართველი კომპოზიტორის რევან ლაღიძის ოპერა „ლელა და ლელას და ხაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპ-

ერა „დაისიდან“ კიაზოს არიის შესრულება...

უდიდესი სიამოვნება მომგვარა თბილისში მცხოვრებ დედოფლისწყაროელებთან მაცვალა გონაშვილთან, მარინე ცხველიაშვილთან, მანანა კახეთელიძესთან, ლია ალხანიშვილთან, მარინე და ნუნუ ბიკაშვილებთან და სხვებთან შეხვედრამ, რომლებიც ოჯახის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ დედაშვილის ბენეფისს

მაცვალა გონაშვილმა აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია მუდამ გამორჩეული საღამოებით გვანებიერებს, რომლის სულისჩამდგმელია ნანა ჭიჭინაძე. დღევანდელი დღე, 31 მაისი, იყო მუსიკისა და მხატვრობის დიდი ზეიმი.

მაცვალა გონაშვილმა ნაყოფიერი საზოგადოებრივი და ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის ნანა ჭიჭინაძეს გადასცა „თამარიონის ენდელმა“ და „თამარ დედოფლის ჯვარი“.

საღამოს ორგანიზატორისათვის ეს მოულოდნელი ჯილდო აღმოჩნდა. მან მადლობა გადაუხადა იქ მობრძანებულ საზოგადოებას დაფასებისა და თანადგომისათვის.

# ნინო ჭაბაშვილი

მე ვარ ნინო ჭაბაშვილი პროფესიით დიზაინერი. ბავშვობიდან ხელოვნება ჩემთვის ძალიან ახლობელია. გამომდინარე იქიდან რომ ხელოვან ოჯახში გავიზარდე, დავიბადე – 1994 წლის 29 მაისს.

დავამთავრე დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა. დედა მუსიკოსია და ყოველთვის ძალიან ახლო კავშირი მქონდა კლასიკურ მუსიკასთან. სწორედ დედის გავლენით პატარაობიდანვე დიდი სიამოვნებით ვუსმენდი ბეთჰოვენის, შოპენის, ბახის და სხვა მრავალი გენიოსების შემოქმედებას. საბოლოო ჯამში კი ამან დიდი გავლენა მოახდინა ჩემი როგორც არტისტის გემოვნების ჩამოყალიბებაზე, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემთვის მისაბამ ადამიანს, ჩემი ცხოვრების მთვარე მოტივატორს და შემფასებელს – ჩემს დედიკოს თამილა ნადირაშვილს.

ბავშვობის ასაკიდან ხელოვნების სხვა და სხვა დარგით ვიყავი გატაცებული, პირველ ეტაპზე ვმღეროდი და ეს უზომო სიამოვნებას მანიჭებდა, შემდგომ ჰაინრიხ ჰაინეს პოემების გავლენის ფონზე ვწერდი ლექსებს და ნოველებს. ვიკეტებოდი ოთახში მარტო და ვდგავდი მონო სპექტაკლებს, ოცნება მქონდა გავმხდარიყავი მსახიობი. პარალელურად ვხაზავდი სახლის პროექტებს, ისე, როგორც მე შემემლო სკოლის ასაკში. როცა მოვიდა არჩევანის გაკეთების დრო სად ჩამებარებინა, თეატრალურ უნივერსიტეტში, თუ კონსერვატორიაში, ძალიან გამიჭირდა არჩევანის გაკეთება. მაგრამ ილიას უნივერსიტეტმა მომცა ყველაფერი.

2013-2017 წლებში ვსწავლობდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე (არჩეული მიმართულება ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი, მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი). ასევე დავამთავრე მეორად ფაკულტეტად მსახიობის ოსტატობა.

ჩემი ამჟამინდელი შემოქმედების ძირითადი თემებია Pop-Art ილუსტრაცია, ასევე შექმნილი მაქვს აბსტრაქტული ნამუშევრები. პოპ-არტი – ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული მიმდინარეობა, რომელიც პოპ-კულტურის მახასიათებლებით იყო გამოკვეთილი და მასობრივი რეკლამების, კომიქსებისა თუ, ზოგადად, კულტურის თემატიკას ერგებოდა, მეოცე საუკუნეში დიდ ბრიტანეთში წარმოიშვა. პოპ-არტი ჯერ მშობლიურ ბრიტანეთში გავრცელდა თავბრუდამხვევი სისწრაფით, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მოედო, ამის მიზეზი კი საზოგადოების მხრიდან დამსახურებული დიდი მოწონება გახდა. პოპ-არტიზმები თავიანთი ხელოვნებისათვის ნარატივებსა თუ ტექნიკას მასკულტურიდან სესხულობდნენ, ნამუშევრებს არა მადალი მატერიების შესახებ, არამედ ისეთ თემებზე ქმნიდნენ, რომელიც ყვე-



ლასათვის მარტივად აღსაქმელი და გასაგები იქნებოდა – განურჩევლად მაღალი თუ დაბალი ფენისა.

ჩემთვის ინსპირაციის ძირითადი საშუალება არის თავისუფლება. ვქმნი იმას, რასაც კონკრეტულ მომენტში განვიცდი. შთაგონება შეიძლება იყოს მუსიკა, ბუნება, წიგნი, ფილმი, რაიმე მოვლენა ან ადამიანები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ვხატავ. ჩემი ილუსტრაციები ძირითადად ერთი ადამიანის შესახებ არის და უფრო ინტროვერტულია. ის მოგვითხრობს ურთიერთობების შესახებ ან რაღაც ამბავს, ძირითადად ყველა ჩემი ნამუშევარი განცდებს უკავშირდება. ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნილი მაქვს დაახლოებით 500 ნამუშევარი. უპირატესობას ვანიჭებ ღია და ნათელ ფერებს. ჩემი მთავარი ამოცანაა ნამუშევრები იყოს საინტერესო, მხატვრული სათვისად ვივლი და გასაგები და ვიზუალურად ფერადი, ოპტიმისტური და შინაარსობრივად აქტუალური.

ჩემი, როგორც არტისტის, მიზანია დამთავალიერებელს განვაცდევინო ყველა ის ემოცია, რისი გამოწვევაც ფერებს შეუძლია. ვფიქრობ ხელოვნების მიზანი სტერეოტოპების ნგრევაა, ეს კი მხოლოდ მაყურებლის ესთეტიური და მენტალური წონასწორობის დარღვევითაა შესაძლებელი.

ნამუშევარი მაქვს სხვადასხვა პროექტებზე, მონაწილეობა მაქვს მიღებული უკრაინის მხარდამჭერ საქველმოქმედო ღონისძიებაში, ჩემი ნამუშევრები კერძო კოლექციაში აქვთ ცნობილ ქართველ მოცეკვავებს თეა დარჩიას, ფილოსოფოს ლევან დამბაშიძეს, ხელოვნებათმცოდნე ხათუნა ხაბულიანს, მსოფლიოში აღიარებულ პიანისტს იუჯა ვანგს, კანადაში მოღვაწე დიზაინერ დევიდ ჩიანგს...

31 მაისს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო 50 გრაფიკული ნამუშევარი.

სრულად ჩემი ნამუშევრების დათვალიერება შეგიძლიათ ინსტაგრამ გვერდზე – Tokitomo29.



ინამდვილი ანიმე



მომოტივა



აფიჩაველი ქალი



საპუჩანს აყვავებდა



აფიჩა



ჯიშობული  
მეგობრები



მახიბონალი

